



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

**EU4Environment**  
Green Economy in Eastern Partner Countries

გარემოსდაცვითი  
კანონმდებლობის  
აღსრულების სისტემა  
**საქართველოში**

არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები

Action implemented by:



# გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა საქართველოში

არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები

## წინასიტყვაობა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების კარგად ფუნქციონირებად სისტემას მრავალმხრივი სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია. ამგვარი სისტემა იცავს საზოგადოებრივ ჯანმრთელობას და გარემოს და ქვეყნებს ეხმარება გარემოსდაცვითი პოლიტიკის მცირე დანახარჯებით განახორციელებაში. ერთი მხრივ, ის ხელს უწყობს კანონის უზენაესობას და კარგ მმართველობას, მეორე მხრივ კი მოქალაქეების უფრო აქტიურ ჩართულობასაც უზრუნველყოფს. საბოლოო ჯამში, მას შეუძლია გააძლიეროს ინვესტორების ნდობა და, შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყოს ხელი.

წინამდებარე ანგარიში აღწერს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემის მდგომარეობას საქართველოში, მათ შორის მის სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოებს, მონიტორინგის და აღსრულების ხელშეწყობის აქტივობებს. მოცემული ანგარიში ასევე გამოავლენს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემის ნაკლოვანებებს და იძლევა რეკომენდაციებს მათი აღმოფხვრის მიზნით. ამ ანგარიშში აღწერილი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა არ ვრცელდება დაბინძურების მობილურ წყაროებზე.

წინამდებარე ანგარიში იმ მნიშვნელოვან სამუშაოს ეყრდნობა, რომელსაც ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (OECD) ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ახორციელებდა აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ხელშეწყობის მიზნით. მათ შორის, აღსანიშნავია ის სამუშაო, რომელიც გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის (EAP) სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა და ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო პოლიტიკის მწვანე ეკონომიკის პროგრამამ (EaP GREEN) გასწია. თუმცა, ის არ მოიცავს იმის შეფასებას, თუ რამდენად შეასრულა საქართველომ OECD-ს წინა ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციები გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებით. ანგარიშში ასევე არ არის შეფასებული, თუ როგორ ახორციელებს საქართველო ევროკავშირთან გაფორმებულ „ასოცირების შესახებ შეთანხმებას“.

კოვიდ-19-ის პანდემიამ ამ ანგარიშის მიზნებისთვის ინფორმაციის შეგროვების პროცესი გაართულა. რესპონდენტებთან გასაუბრებაც დისტანციურად ხდებოდა.

წინამდებარე მიმოხილვა „ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) პროგრამის ფარგლებში მომზადდა. კონკრეტულად, ის ამ პროგრამის შემდეგ კომპონენტებს ეხება: 3.2 „გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფის და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების რეჟიმები“, ქვეკომპონენტი 3.2.1 „გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემის, მექანიზმების და ინსტრუმენტების გაძლიერება“ და ქვეკომპონენტი 3.2.2 „კანონმდებლობის აღსრულების ძლიერი ზეგავლენის მქონე ინსტრუმენტების, მათ შორის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მექანიზმის, რეფორმირება“.

„ევროკავშირი გარემოსთვის“ პროგრამა მიზნად ისახავს დაეხმაროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს თავიანთი ბუნებრივი რესურსების კაპიტალის დაცვაში და მოსახლეობის გარემოსდაცვითი

კეთილდღეობის ამაღლებაში. ამ მიზნით, პროგრამა ხელს უწყობს გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებას; უფრო მწვანე ზრდის შესაძლებლობების გამოვლენას და დემონსტრირებას; ქმნის მექანიზმებს გარემოსდაცვითი რისკების და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების უკეთ მართვის მიზნით. პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ის ხორციელდება ხუთი პარტნიორი ორგანიზაციის მიერ: ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის (UNECE), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) და მსოფლიო ბანკი. ღონისძიებებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი დაახლოებით 20 მილიონ ევროს შეადგენს, ხოლო განხორციელების პერიოდი 2019-24 წლებს მოიცავს.

წინამდებარე დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ მისი ავტორების მოსაზრებებს წარმოადგენს და არცერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს აღქმული როგორც ევროკავშირის, მისი წევრი სახელმწიფოების, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობების ან პროექტის აღმასრულებელი პარტნიორების ოფიციალურ პოზიციად.

წინამდებარე ანგარიში ან მასში მოცემული ნებისმიერი რუკა არ აყენებს კითხვის ქვეშ ნებისმიერი ტერიტორიის სტატუსს ან მასზე სუვერენიტეტს, ნებისმიერი ტერიტორიის, ქალაქის თუ გეოგრაფიული არეალის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს.

ანგარიში მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

ნებადართულია ამ ანგარიშის ტექსტის გამოყენება იმ პირობით, რომ მითითებული იქნება ინფორმაციის წყარო.

აკრძალულია ამ ინფორმაციის გაყიდვა.

გთხოვთ მოიხსენიოთ ეს პუბლიკაცია როგორც: EU4Environment (2023), *გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა საქართველოში: არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები*.

© 2023, OECD. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირისათვის პირობებით.

## მადლიერების გამოხატვა

წინამდებარე ანგარიში აჯამებს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემას საქართველოში 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, გამოავლენს არსებულ ნაკლოვანებებს და რეკომენდაციებს იძლევა მათ აღმოსაფხვრელად.

ანგარიში შედგენილია ოლგა ოლსონის (OECD) მიერ, კრეიშტოფ მიხალაკის (OECD) ზოგადი ხელმძღვანელობით. რეკომენდაციების შემუშავებაში დახმარება უზრუნველყო საიმონ ბინგკემმა, შოტლანდიის გარემოს დაცვის სააგენტოს საერთაშორისო განვითარების მენეჯერმა. კოლინ მაკიმ, ლიდსის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ბიზნეს სამართლის ასოცირებულმა პროფესორმა, თავისი წვლილი შეიტანა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს კანონის ანალიზში, დუგლას ჰერიკმა (OECD) კი მნიშვნელოვანი დახმარება უზრუნველყო კვლევისათვის.

წინამდებარე ანგარიში მომზადდა სამაგიდო კვლევების და მეორადი წყაროების, მათ შორის, ქართველი კოლეგების მიერ მოწოდებული დოკუმენტების საფუძველზე; ასევე, დოკუმენტის მომზადებისათვის გამოყენებულია: „ევროკავშირი გარემოსთვის“ პროგრამის 3.1 და 3.2 კომპონენტების მიზნით ქ. თბილისში 2019 წლის ნოემბერში განხორციელებული მისიის დასკვნები; 2021 წლის ოქტომბერში ჩატარებული დისტანციური ინტერვიუები ქართველ კოლეგებთან (ჩამოთვლილია ქვემოთ); და „ევროკავშირი გარემოსთვის“ პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებზე ქართველი დაინტერესებული მხარეების მიერ გაკეთებული პრეზენტაციები. OECD-ის სამდივნომ წინამდებარე დოკუმენტის პროექტი წარადგინა და განიხილა საქართველოს სახელმწიფო ორგანოების დაინტერესებულ მხარეებთან ერთად 2022 წლის 28 აპრილს ვირტუალური ღონისძიების დროს. დაინტერესებული მხარეების მხრიდან მიღებული წერილობითი კომენტარების შემდეგ კი დოკუმენტის განახლებული ვერსია მომზადდა. წინასწარი დასკვნითი ანგარიში წარმოდგენილი და განხილული იყო „ევროკავშირი გარემოსთვის“ პროგრამის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების მესამე რეგიონულ სემინარზე - „უკეთესი გარემოსდაცვითი ინსპექტირება გარემოსდაცვითი მედეგობის გაძლიერებისთვის“, რომელიც 2022 წლის 5-6 დეკემბერს გაიმართა ბრიუსელში, ბელგია. დოკუმენტმა საბოლოო სახე მიიღო საქართველოს სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან დამატებითი წერილობითი კომენტარების გათვალისწინების შემდეგ.

ანგარიშის ავტორი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს ქვემოთ ჩამოთვლილი ქართველი კოლეგების მიმართ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს OECD-ს ვირტუალურ ინტერვიუებში და გაგვიზიარეს შესაბამისი ინფორმაცია: საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძე; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (კერძოდ, მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე ნელი კორკოტაძე (ქ-ნმა ნელიმ ასევე მონაწილეობა მიიღო 2022 წლის 28 აპრილს გამართულ ვირტუალურ ღონისძიებაში, რომელიც დოკუმენტის პროექტის განხილვას ეხებოდა, ასევე 2022 წლის 5 დეკემბერს ორგანიზებულ დისკუსიაში საბოლოო ანგარიშის წინასწარი ვერსიის განსახილველად); გარემოს ინტეგრირებული კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელი

დიმიტრი ლლონტი; განყოფილებების უფროსები: ეკატერინე კისკვიძე, ხათუნა ოშიაძე და კონსტანტინე ზარანდია და საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი ტარიელ ირემაძე (ბ-ნმა ტარიელმა ასევე მიიღო მონაწილეობა 2022 წლის 5 დეკემბერს ორგანიზებულ დისკუსიაში საბოლოო ანგარიშის წინასწარი ვერსიის განსახილველად); სამინისტროს გარემოსდაცვითი განათლების და ინფორმაციის ცენტრის უფროსი თამარ ალადაშვილი; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო (კერძოდ, სააგენტოს უფროსი ანდრო ასლანიშვილი; სააგენტოს უფროსის მოადგილე თამარ შარაბიძე, გარემოს დაბინძურების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი მარინე არაბიძე; ამჟამად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დეპარტამენტის უფროსი და მანამდე - იურიდიული დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსი აკაკი ველთაური (ბ-ნმა აკაკიმაც ასევე მონაწილეობა მიიღო 2022 წლის 28 აპრილს გამართულ ვირტუალურ ღონისძიებაში, რომელიც დოკუმენტის პროექტის განხილვას ეხებოდა); ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსი ზურაბ დეკანოიძე; გარემოს დაბინძურების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ელინა ბაქრაძე); გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი (კერძოდ, გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ქ-ნი ვენერაც მონაწილეობდა 2022 წლის 5 დეკემბერს ორგანიზებულ დისკუსიაში საბოლოო ანგარიშის წინასწარი ვერსიის განსახილველად); ინტეგრირებული მართვის განყოფილების უფროსი ნინო ობოლაშვილი; სკრინინგის განყოფილების უფროსი მარიამ ბერუაშვილი; და სტრატეგიული დაგეგმარების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქეთი ჩოხური; მსოფლიო ბანკის გარემოს დაცვის უფროსი სპეციალისტი დარეჯან კაპანაძე; „რიჩ მეტალ გრუპ კოპერი“-ს (RMG) გარემოსდაცვითი საკითხების მენეჯერი კონსტანტინე ხაჭაპურიძე; შპს „სანიტარის“ აღმასრულებელი დირექტორი ლევან კვიციანი და გარემოსდაცვითი საკითხების მენეჯერი გიორგი ბარძიმაშვილი; „ჰაიდელბერგემენტი საქართველოს“ მენეჯერი გარემოსდაცვის საკითხებში გიორგი ჩალაძე; გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) გარემოსდაცვითი და ენერჯეტიკის მიმართულების ხელმძღვანელი ნინო ანთაძე და გარემოს დაცვის პროექტის კოორდინატორი თეა ლევიძე; კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) პროექტის მენეჯერი ნინო შავგულიძე და პროექტის მენეჯერი ნინო თევზაძე; არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაძე და პოლიტიკის ანალიტიკოსი ქეთი გუჯარაძე; არასამთავრობო ორგანიზაციის „გავიგუდეთ“ დირექტორი და პროექტის მენეჯერი თინათინ მალედანი იურისტი ციალა რატიანი.

ასევე მადლობას ვუხდით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც ესწრებოდნენ 2022 წლის 28 აპრილს გამართულ ვირტუალურ ღონისძიებას დოკუმენტის პროექტის განსახილველად: გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის უფროსს მაია ბერაძეს, და იურიდიული დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მეორე კატეგორიის მთავარ სპეციალისტს ნანა თოთიბაძეს.

ანგარიშის ავტორი დიდად აფასებს „ევროკავშირი გარემოსთვის“ პროგრამის ეროვნული კოორდინატორის მალხაზ ადუიშვილის მიერ გაწეულ მნიშვნელოვან დახმარებას და ორგანიზაციულ მხარდაჭერას ინფორმაციის შეგროვების საქმეში.

წინამდებარე ანგარიშში ასახულ ხარვეზების შეფასებასა და გაცემულ რეკომენდაციებში გათვალისწინებულია ქართველი კოლეგების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები. ამავდროულად, ანგარიში ეყრდნობა საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც OECD-ს ამ სფეროში დაუგროვდა მრავალი წლის განმავლობაში, ისევე როგორც გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელების და აღსრულების ევროკავშირის ქსელის (IMPEL) გამოცდილებას.

ამას გარდა, მადლობას ვუხდით ასევე ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში გენერალური დირექტორატის (DG NEAR) ევროკომისიის პროგრამის მენეჯერს ანჟელა ბულარგას, რომელმაც ანგარიშის პროექტი განიხილა, შესაბამისი კომენტარებიც გააკეთა და მონაწილეობა მიიღო დოკუმენტის პროექტის განსახილველად 2022 წლის 28 აპრილს გამართულ ვირტუალურ დონისძიებაში, და კიდევ, ალექსანდრე დარას, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ატაშეს, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების სექტორულ კოორდინატორს, ვინც ასევე მონაწილეობდა ამ ვირტუალურ დისკუსიაში.

ანგარიშის ავტორი მადლიერებას გამოხატავს OECD-ს სამდივნოს თანამშრომლებისადმი: იუჯინ მაზურისადმი დოკუმენტის განხილვისა და კომენტარებისთვის, მარი ლევრესა და ჯონათან ვრაითისადმი გაწეული ლოგისტიკური მხარდაჭერისთვის, ასევე მარია დიუბუასადმი კომუნიკაციებში მხარდაჭერისთვის.



# სარჩევი

წინასიტყვაობა	2
მადლიერების გამოხატვა	4
აბრევიატურები და აკრონიმები	9
რეზიუმე	10
ძირითადი მიგნებები	10
ძირითადი რეკომენდაციები	13
1 შესავალი	16
2 გარემოსდაცვითი ნორმების აღსრულების საკანონმდებლო და სანებართვო სისტემა	17
გარემოსდაცვითი პოლიტიკა და სამართლებრივი ჩარჩო	17
საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებაში	19
სანებართვო სისტემა	21
3 გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ინსტიტუციური მოწყობა	25
ინსტიტუციური ვალდებულებების შეჯამება	25
ინსტიტუციური მოწყობის შეფასება	31
4 გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგის რეჟიმი	34
გარემოსდაცვითი ინსპექტირება	34
ეკოლოგიური აუდიტი	38
ლაბორატორიული მონიტორინგი და ანალიზი	39
კომპანიების მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად წარდგენა	40
დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრი	41
საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებული დამოუკიდებელი მონიტორინგი	42
5 გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა	43
სადამსჯელო ღონისძიებების პირამიდის გამოყენება გარემოსდაცვითი ნორმების დაუცველობის დროს	43
გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დებულებები	48



6 კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების ხელშემწყობი მექანიზმები	52
გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების ნებაყოფლობით შესრულების წახალისების მიზნით ინფორმაციის გაზიარება, ინფორმირებულობის ამაღლება და ტრენინგი	52
კანონმდებლობის შესრულების წამახალისებელი საქმიანობის შეფასება	54
7 დასკვნები და სამომავლო გეგმები	56
გამოყენებული ლიტერატურა	66
დანართი A. გარემოსდაცვითი კანონალსრულების სფეროში საქართველოს ძირითადი კანონმდებლობა	70
დანართი B. საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები, რომლის მონაწილე მხარეა საქართველო	74
დანართი C. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების გარემოს შესახებ მე-3 თავის დანართიდან ამონარიდები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის (ELD) და სამრეწველო ემისიების შესახებ (IED) ევროკავშირის დირექტივებზე	75

# აბრევიატურები და აკრონიმები

<b>BAT</b>	საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგია
<b>CITES</b>	გადაშენების პირას მდგარი ველური ფლორას და ფაუნის სახეობებით ვაჭრობის შესახებ კონვენცია
<b>DES</b>	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გზდ)
<b>EaP</b>	აღმოსავლეთ პარტნიორობა
<b>EIEC</b>	გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (გსგც)
<b>ELD</b>	გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივა
<b>ELV</b>	ემისიის ზღვრული მნიშვნელობები
<b>EU</b>	ევროკავშირი
<b>EU4Environment</b>	ევროკავშირი გარემოსთვის
<b>EUWI+</b>	ევროპის კავშირის წყლის ინიციატივა პლიუს
<b>GIZ</b>	საერთაშორისო თანამშრომლობის გერმანული საზოგადოება
<b>GPS</b>	გლობალური პოზიციონირების სისტემა
<b>IED</b>	სამრეწველო ემისიების დირექტივა
<b>IMPEL</b>	გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელების და აღსრულების ევროპის კავშირის ქსელი
<b>IT</b>	საინფორმაციო ტექნოლოგია
<b>MEPA</b>	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (გდსმს)
<b>OECD</b>	ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია
<b>PM</b>	მტვრის შეწონილი ნაწილაკები
<b>PRTR</b>	დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნული რეესტრი
<b>RMG</b>	„რიჩ მეტალ გრუპ“
<b>UNDP</b>	გაერო-ს განვითარების პროგრამა
<b>UNECE</b>	გაერო-ს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის
<b>WHO</b>	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო)

## რეზიუმე

საქართველოს შემუშავებული აქვს ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩარჩო. სხვა ძირითად დოკუმენტებთან ერთად, მასში შედის 2022-2026 წლებისათვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა, საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა. გარდა ამისა, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს ჩარჩო კანონი გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების გამოყენების საკითხებს აწესრიგებს და აყალიბებს გარემოს დაცვის ძირითად პრინციპებს. ის ასევე ადგენს მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს გარემოს დაცვის სფეროში. სხვა კანონები კონკრეტული გარემოს კომპონენტების დაცვას უზრუნველყოფენ ან ეხებიან კონკრეტულ საკითხებს, როგორცაა, მაგ. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“. საქართველო პრიორიტეტს ანიჭებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების განხორციელებას, რომლის მიხედვითაც ქვეყანამ მიიღო „კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ და კანონი სამრეწველო ემისიების შესახებ. რამდენიმე ხნის წინ, ევროკომისიამ რეკომენდაცია გასცა, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭოს მას შემდეგ, რაც ის რამდენიმე პრიორიტეტს დააკმაყოფილებს, რაც, სავარაუდოდ, დამატებით საკანონმდებლო რეფორმებს წაახალისებს.

პოლიტიკის სფეროში ზემოხსენებული პროგრესი ხელს შეუწყობს საქართველოში გარემოზე ზეწოლის, მათ შორის დაბინძურების მაღალი დონის და ბუნებრივი რესურსების გამოყენების არასათანადო კონტროლის შემცირებას. ქვეყნის მოსახლეობისთვის პრობლემურია შენობებს შიდა და გარე დაბინძურების მაღალი დონე, მდინარეების ხარისხზე გავლენას ახდენს გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვება და სახიფათო ნარჩენებიც არაადეკვატურად არის მართული. საქართველოში ასევე ფართოდ არის გავრცელებულ ტყის უკანონო ჭრა და დიდია ეკოსისტემებზე ზეწოლა სამთო, სამრეწველო, სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო დარგებიდან. ამბიციური პოლიტიკის და ძლიერი საკანონმდებლო ბაზის გარდა, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ძლიერი სისტემა სჭირდება, რათა მის წინაშე არსებულ გარემოსდაცვით გამოწვევებს გაუმკლავდეს და უზრუნველყოს, რომ გარემოსდაცვითმა პოლიტიკამ სასურველი შედეგი მოიტანოს. წინამდებარე ანგარიშში შეფასებულია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა, გამოვლენილია მიღწევები და ხარვეზები, ასევე მოცემულია რეკომენდაციები გაუმჯობესების მიზნით.

### ძირითადი მიგნებები

#### საკანონმდებლო და სანებართვო სისტემა

- საქართველოს გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზა ყოვლისმომცველია. სამრეწველო ემისიების შესახებ კანონის მეშვეობით მიღწეულია პროგრესი ინტეგრირებული ნებართვებისა და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გამოყენების შესახებ რეგულაციების შემუშავების მხრივ. საქართველომ ასევე ცოტა ხნის წინ მიიღო „კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ (2021 წ.) და „კანონი გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ (2018 წ.).

- გარემოსდაცვითი კანონების შესახებ კონსულტაციები ქვეყანაში სხვადასხვა არხებით მიმდინარეობს. გაუმჯობესებულია გარემოსდაცვითი ინფორმაციის საზოგადოებისთვის გაზიარება ელექტრონული საშუალებებით.
- თუმცა, ზოგიერთი კანონი განახლებას საჭიროებს და არ არის შესაბამისი და თანმიმდევრული სხვადასხვა საკითხის ფორმულირების და განმარტებების მხრივ. სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებაში, თუმცა, კერძო სექტორი ჯერ კიდევ არ არის კარგად ინფორმირებული ახალი კანონების შესახებ.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაუმჯობესდა ინფორმაციის შიდაუწყებრივი მართვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემისთვის და იგეგმება ბუნებრივი რესურსებისთვის ელექტრონული ლიცენზირების სისტემის ჩამოყალიბება. თუმცა, არ არსებობს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების მონაცემთა ბაზა, რომელიც გაზიარებული იქნებოდა სამინისტროს ყველა სააგენტოსა და დეპარტამენტში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (DES) ჩათვლით.

### **გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ინსტიტუციური ჩარჩო**

- გაუმჯობესდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ინსტიტუციური ჩარჩო. კერძოდ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შექმნამ 2013 წელს ხელი შეუწყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებას. ერთმანეთისგან მკაფიოდ არის გამიჯნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება და კონტროლთან დაკავშირებული საქმიანობა.
- გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის განხორციელების მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოში შეიქმნა გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დეპარტამენტი. საქართველოს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი მნიშვნელოვან ფუნქციებს ახორციელებს, როგორცაა ინფორმაციის მიწოდება, ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების განვითარება.
- პროგრესის მიუხედავად, არაკონკურენტული ანაზღაურების და სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამების არარსებობის გამო, კანონმდებლობის აღსრულებაზე მომუშავე დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების დეფიციტია.
- მიუხედავად იმისა, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სხვადასხვა ასპექტზე რამდენიმე დეპარტამენტი მუშაობს, კონსულტაციები და კოორდინაცია ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი.
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უკვე რამდენიმე წელია, რაც თავისი აღჭურვილობის მოდერნიზებას ახორციელებს და ინფორმაციის მართვის სისტემების გაციფრულებაზე მუშაობს, მაგრამ არა აქვს სავსე და ლაბორატორიული სინჯების ასაღებად საჭირო აღჭურვილობა და ელექტრონული ტექნოლოგია.

### **გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგის სისტემა**

- საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგის სისტემა კარგად არის განვითარებული. როგორც OECD-სა და ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში, აღნიშნულ სისტემაში შედის: გეგმური ინსპექტირება; არაგეგმური ინსპექტირება; გამოკვლევები; აუდიტები; გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცხელი ხაზი და ელფოსტა შეტყობინებებისა და საჯარო მოკვლევებისთვის; 24/7 რეაგირების ჯგუფი დეპარტამენტში, ნაკლებად სერიოზული გარემოსდაცვითი

ინციდენტებისთვის; თვითკონტროლი კომპანიების მიერ; და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების მიერ.

- საქართველოში გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის სადგურების რაოდენობა გაიზარდა ბოლო წლებში. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ლაბორატორია ნიმუშების აღებას და მათ საბაზისო ანალიზს უზრუნველყოფს, ხოლო გარემოს ეროვნული სააგენტო უფრო სიღრმისეულად ახორციელებს სინჯების აღებას და ანალიზს, შემდეგ კი გარემოსდაცვით ინფორმაციას აქვეყნებს. თუმცა, მონიტორინგის სადგურების რაოდენობა კვლავ არასაკმარისია, განსაკუთრებით მიწისქვეშა წყლებისთვის.
- კომპანიების მიერ თვითმონიტორინგი სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისობის მონიტორინგის შემავსებელი კომპონენტია. კომპანიებმა თვითმონიტორინგის ანგარიშები უნდა წარმოადგინონ და, ამას გარდა, ახლახან დაიწყო ჰაერის დაბინძურების უწყვეტი თვითმონიტორინგი. ონლაინ ინფორმაციის შეგროვების რამდენიმე პლატფორმა არსებობს. თუმცა, კომპანიები ხანდახან უწყვეტი თვითმონიტორინგის ანგარიშებს საერთოდ არ, ან გვიან წარადგენენ ხოლმე და არც დამაბინძურებლების ემისიის და გადატანის რეესტრი (PRTR) არსებობს.
- გეგმური ინსპექტირება რისკზეა დაფუძნებული, რაც საერთაშორისო კარგ პრაქტიკას შეესაბამება. 2019 წელს მიღებული რისკის კრიტერიუმები დაგეგმილი ინსპექტირების ტიპებსა და სიხშირეს ადგენს, ასევე რისკების შეფასების და ინსპექტირების დაგეგმვის სისტემას განსაზღვრავს. ინსპექტირების გეგმები და განრიგი ინტერნეტშია გამოქვეყნებული.
- თუმცა, წლიური ინსპექტირების რაოდენობა დაბალია, მაღალი და საშუალო რისკის მქონე სუბიექტების საერთო რაოდენობისა და არსებული ინსპექტორების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით. ამავდროულად, ზოგიერთი შემოწმება უჩვეულოდ ხანგრძლივია და ადგილზე 120 დღემდე გრძელდება.

### **გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა**

- საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოში ხორციელდება სხვადასხვა რეაგირება გარემოსდაცვითი ნორმების შეუსრულებლობაზე, აღსრულების პირამიდის მიხედვით: მითითება დარღვევის აღმოფხვრაზე, ჯარიმები, საქმიანობის შეჩერება, ნებართვის ჩამორთმევა და საქმის სასამართლოსთვის გადაცემა. ადმინისტრაციული ჯარიმები ყველაზე ხშირად გამოყენებული სასჯელია. თუმცა, ასეთი ჯარიმები საკმარის შემაკავებელ ფაქტორს არ წარმოადგენს, რადგან ჯარიმის ოდენობა ჯერ კიდევ დაბალია და არ ხდება მისი ინდექსირება ინფლაციის მიხედვით.
- აღსრულების სხვა ინსტრუმენტები, განსაკუთრებით სისხლისსამართლებრივი სასჯელები, არარეგულარულად გამოიყენება, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, არის მაღალი ხარჯები და მოსალოდნელი ხანგრძლივი და რთული სასამართლო საქმისწარმოება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონისა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი თავები გარემოს დაცვის შესახებ მოძველებულია, მაგრამ ახლა მიმდინარეობს მათი გადახედვა, უფრო მკაცრი სასჯელის შემოღების მიზნით.
- 2021 წელს მიღებული კანონით გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ დადგენილია ფულადი პასუხისმგებლობა გარემოს მიმართ ზიანის მიყენებისთვის, განსაზღვრულია მოთხოვნა გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების თაობაზე და გამოყოფილია სახელმწიფო ფონდი გამოსასწორებელი ღონისძიებებისთვის. იმის მიუხედავად, რომ ეს სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, კანონი მაინც განსხვავდება ევროკავშირის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივისგან. მაგალითად, კანონის მიხედვით, პრევენციული და გამოსასწორებელი პროგრამების შესრულება ძლიერადაა დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტზე. ასევე, განსხვავებულია კანონის თვალსაწიერი და განმარტებები. ამას გარდა, მნიშვნელოვანი ზიანის დასადგენად კანონში განსაზღვრული კრიტერიუმების სამეცნიერო საფუძველი გაურკვეველია. საქართველოს ჯერ კიდევ არ აქვს ჩამოყალიბებული

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისთვის ფინანსური უზრუნველყოფის სისტემა, კანონში შესაბამისი სამართლებრივი დებულებების არსებობის მიუხედავად.

### **გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ხელშეწყობის ინსტრუმენტების გამოყენება**

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, თავიანთ ვებგვერდებზე და ფეისბუქის მეშვეობით, საზოგადოებას უზიარებენ ინფორმაციას და სიახლეებს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველსაყოფად.
- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი უზრუნველყოფს გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას და გაზიარებას. ის ასევე ახორციელებს ცნობიერების ამაღლებისა და საგანმანათლებლო ღონისძიებებს. ცენტრი ასევე სთავაზობს ტრენინგ კურსებს საზოგადოებას, კერძო სექტორსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებს.

თუმცა, ინფორმაციის გაზიარება ძირითადად პასიურად ხდება, ანუ მოწოდებულია მოთხოვნებზე პასუხების სახით. როგორც ჩანს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ იყენებს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორცაა შეხვედრები, ვიდეო და რადიო კამპანიები. კერძო სექტორის წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოხატავენ, რომ შეზღუდულად მიეწოდებათ ინფორმაცია ისეთი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ, როგორცაა ახალი კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ.

## **ძირითადი რეკომენდაციები**

### **საკანონმდებლო და სანებართვო სისტემა**

- უნდა მოხდეს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გადახედვა, განახლება და ჰარმონიზაცია, მისი აღსრულების მიზნით და საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის განხილვის კონტექსტში.
- კერძო სექტორის წარმომადგენლებს უნდა მიეცეთ მეტი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კანონმდებლობის შემუშავებაში, რისთვისაც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ყველა მფლობელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ფოსტით ან ელექტრონულად გაგზავნილი წერილებით. ამას გარდა, კანონპროექტი გაზიარებული უნდა იქნას ბიზნეს და სავაჭრო ასოციაციების მეშვეობით, კომენტარების მისაღებად.
- დაჩქარდეს ინტეგრირებულ ნებართვებზე გადასვლის პროცესი და გაუმჯობესდეს ნებართვების გაცემის სისტემა: ნებართვის მისაღებად საჭირო განაცხადის წარდგენის პროცედურის გაციფრულებით, ნებართვის მოქმედების ფიქსირებული ვადის დადგენით და სანებართვო მოსაკრებლების უფრო მეტად დიფერენცირებითა და მოსაკრებლის დონეების განსაზღვრით; კომპანიებისათვის უფრო ცხადი უნდა გახდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული სანებართვო პროცედურები.
- უნდა ხდებოდეს მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი კანონებისა და ნებართვების შესახებ რეგულარული კონსულტაციები ნებართვის გამცემ უწყებასა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შორის.



### **გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ინსტიტუციური სისტემა**

- ჩატარდეს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების პროცესში ჩართული სხვადასხვა ორგანოების სტრუქტურული მიმოხილვა, მათი რაოდენობის შემცირების, ასევე მათ შორის კოორდინაციის და კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით.
- ინსპექტირებისთვის, საჩივრების განხილვისა და დარღვევებზე რეაგირებისთვის ინფორმაციის მართვის პროცესების გაუმჯობესება და გაციფრულება.
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ინსტიტუტებში საკადრო საკითხების მოგვარება საუკეთესო პერსონალის შესანარჩუნებლად ფინანსური წახალისების გაუმჯობესებით; სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამების დანერგვა, მათ შორის, არსებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ახალი პერსონალის ტრენინგი.
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სინჯების აღებისა და ლაბორატორიული ანალიზისათვის საჭირო აღჭურვილობის და ციფრული ტექნიკის მოდერნიზება და გაფართოება.

### **გარემოსდაცვით კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგის სისტემა**

- გარემოსდაცვითი ინსპექტირების სისტემის გაუმჯობესება, ინსპექტირების რაოდენობის გაზრდით, რათა მინიმუმ სრულად დაიფაროს მაღალი რისკის და საშუალო რისკის აქტივობები და ოპტიმალურად დაიხარჯოს ინსპექტორების დრო, რისთვისაც აუცილებელ მინიმუმამდე უნდა შემცირდეს ინსპექტირების ხანგრძლივობა და ანგარიშების მოცულობა.
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის სადგურების საკმარისი რაოდენობის მისაღწევად არსებული საჭიროებების გამოვლენა, განსაკუთრებით, მიწისქვეშა წყლების ხარისხის მონიტორინგისთვის, ასევე, გეგმების შემუშავება, რაშიც შედის დაფინანსების მოზიდვა მათი შესყიდვისა და მონტაჟისთვის.
- კომპანიების წახალისება, რომ დროულად წარადგინონ თვითმონიტორინგის ანგარიშები, დაჯილდოების ღონისძიებების მეშვეობით, როგორცაა ჯარიმის შემცირება, ან, საჭიროების შემთხვევაში, სადამსჯელო ზომების გამოყენებით, როგორცაა ყოველდღიური ჯარიმები.
- დამაბინძურებლების გარემოში ემისიების და გადატანის ეროვნული რეესტრის (PRTR) შექმნა, არსებული ონლაინ საინფორმაციო სისტემების გამოყენებით.
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეაგირების შესაძლებლობების გაფართოება, რათა 24/7 რეჟიმში შეძლოს სერიოზულ გარემოსდაცვით ინციდენტებზე რეაგირება.

### **გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა**

- გარემოსდაცვითი კანონაღსრულების პოლიტიკის ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება, მიღება და გამოქვეყნება, სადაც გაცხადებული იქნება აღსრულების მთავარი პრინციპები და მიეთითება, თუ რა ჯარიმები იარსებებს და როდის მოხდება მათი გამოყენება. ამგვარი დოკუმენტი უფრო მეტ მართლზომიერებას და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გადახედვის და განახლების დასრულება კანონდარღვევების გამო დაწესებულ ჯარიმებთან დაკავშირებით, რაშიც შედის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და სისხლის სამართლის კოდექსის თავები გარემოს დაცვის შესახებ, სახდელის გადამარწმუნებელი ეფექტის გასაძლიერებლად.
- ამ კონტექსტში განხილულ უნდა იქნას ჯარიმების უფრო ფართო სპექტრი, გარდა ადმინისტრაციულია; საჭიროა ანალიზის ჩატარება სისხლისსამართლებრივი სასჯელების შეზღუდული გამოყენების შესახებ.



- პოლიციის, პროკურორების და მოსამართლეების გადამზადება გარემოსდაცვით საკითხებში; ამას გარდა, გარემოსდაცვით საკითხებში პროკურორების სპეციალიზაციის შექმნა.
- გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისთვის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბება.

### ***გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ხელშეწყობის ინსტრუმენტების გამოყენება***

- ინფორმაციის გაზიარების პროაქტიული და არა რეაქციული მიდგომის დამკვიდრება, როგორცაა რეგულარული გაფრთხილებები ელექტრონული ფოსტით, ბიზნეს ასოციაციების და სავაჭრო პალატების ჩართულობა; კერძო სექტორისთვის ახალი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება კიდევ უფრო მრავალფეროვანი ფორმებით.
- რესურსების მობილიზება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრისთვის, რათა ცნობიერების ამაღლება და ტრენინგების ორგანიზება გარემოსდაცვითი რეგულაციების შესახებ უფრო მეტად გახდეს შესაძლებელი.


# 1 შესავალი

1. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების გამართულ სისტემას დიდი სარგებელი მოაქვს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისთვის. ის იცავს საზოგადოებრივ ჯანმრთელობას და გარემოს და ზრუნავს იმაზე, რომ ბუნებრივ რესურსებს კვლავ შეეძლოთ საზოგადოებისთვის ღირებული საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფა. ის ეხმარება ქვეყნებს უკეთესი გარემოსდაცვითი შედეგების მიღწევაში, რათა მათ საერთო ჯამში, განახორციელონ გარემოსდაცვითი პოლიტიკა უფრო დაბალი ხარჯებით, რაც მიიღწევა მწირი რესურსების იქ მიმართვით, სადაც ისინი ყველაზე მეტად საჭიროა და სადაც მათ ყველაზე მეტი ეფექტი მოაქვთ. ის ხელს უწყობს კანონის უზენაესობას და კარგ მმართველობას, ასევე ინვესტორების ნდობას ზრდის ბიზნეს რისკების შემცირების გზით და ინოვაციასაც ახალისებს. ამას გარდა, ის ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და კომპანიებს თამაშის თანაბარ წესებს სთავაზობს. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ღონისძიებებით ასევე შესაძლებელია გაიზარდოს გამჭვირვალობა და მოქალაქეთა ჩართულობა წესების აღსრულებაში.
2. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ქმედითი სისტემის უზრუნველყოფით საქართველოს შეძლებს ეფექტურად დაძლიოს არსებული გარემოსდაცვითი გამოწვევები. 2020 წელს მტვრის შეწონილი ნაწილაკების (PM<sub>2.5</sub>) ზემოქმედება საქართველოს მოსახლეობაზე საშუალოდ ოთხჯერ აღემატებოდა ჯანმო-ს განახლებულ გაიდლაინს (OECD, 2020; WHO, 2021). PM<sub>2.5</sub>-ით ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული ნაადრევი სიკვდილის სოციალური ხარჯები მშპ-ს 8.7%-ის ეკვივალენტური იყო 2019 წელს, იმ დროს, როცა ეს მაჩვენებელი ევროკავშირში საშუალოდ არის 3.3% (OECD, 2019). საქართველოში მაღალია შენობებსშიდა და გარე ჰაერის დაბინძურების დონე, ფართოდაა არის გავრცელებული ხე-ტყის უკანონო ჭრა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე არასაკმარისი კონტროლი შეიმჩნევა (World Bank, 2018). უხვი წყლის რესურსები ბინძურდება გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით (OECD, 2021). სამთო სექტორში საკანონმდებლო ბაზა მოძველებული და შეუსაბამოა. ამას გარდა, ეს დარგი არაეფექტური ინსტიტუციური მმართველობის შედეგებს განიცდის და სახეზეა პასუხისმგებლობის ნაკლებობა წიაღისეულის მოპოვების მიტოვებული ადგილების ეკოლოგიურ პრობლემებზე (World Bank, 2018). მუნიციპალური ნაგავსაყრელები და ქვეყანაში დაგროვებული სახიფათო ნარჩენები კვლავ წარმოადგენს გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს (EEA, 2018). ბუნებრივ კატასტროფებსა და გლობალურ დათბობასთან ერთად, ნიადაგის არამდგრადი გამოყენება მიწის დეგრადაციას იწვევს, რის შედეგადაც ქვეყანაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ორი მესამედი ეროზიას განიცდის, ან დეგრადირებულია (World Bank, 2018; EEA, 2018). საქართველოში წყალდიდობების, გვალვის, მიწისძვრების და ტყის ხანძრების რისკი მაღალია (EEA, 2018).
3. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, წინამდებარე ანგარიშში მიმოხილულია საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა. მე-2 თავში განხილულია აღსრულების უზრუნველყოფის საკანონმდებლო და სანებართვო სისტემა, ხოლო მე-3 თავი ინსტიტუციურ მოწყობას აღწერს. მე-4 თავში გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროცესის ანალიზი გრძელდება, ინსპექტირების ჩათვლით. მე-5 თავში მიმოხილულია გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვის უზრუნველყოფაზე მიმართული სხვადასხვა ღონისძიება. მე-6 თავში წარმოდგენილია მიგნებები გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემასთან დაკავშირებით. ანგარიშში გამოვლენილია ხარვეზები და შემოთავაზებულია წინადადებები ამ სისტემის სხვადასხვა ასპექტების გასაუმჯობესებლად, რაც ასევე შეჯამებულია ანგარიშის ბოლოს მოცემულ ცხრილში 7.1.

## 2 გარემოსდაცვითი ნორმების აღსრულების საკანონმდებლო და სანებართვო სისტემა

4. საკანონმდებლო და სანებართვო სისტემის ხარისხი პირდაპირ ზეგავლენას ახდენს გარემოსდაცვითი ნორმების შესრულებაზე. გარემოსდაცვითი რეგულაციების გონივრულობა და სიცხადე, ერთი მხრივ, უშუალოდ განაპირობებს იმას, თუ როგორია რეგულირების ობიექტების ქცევა გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების ჭრილში და, მეორე მხრივ, გადამწყვეტ ელემენტს წარმოადგენს იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად დამაკმაყოფილებლად გადაწონის გარემოსდაცვითი რეგულაციები წესების დაუცველობისგან მიღებულ სარგებელს. ნებართვების და სანებართვო პროცედურების გამართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეფექტური რეგულირების და მონიტორინგის უზრუნველყოფისთვის, მათ შორის, ინსპექტირებისთვის. ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელების და აღსრულების ქსელის (IMPEL) „სწორად მოქცევის“ მეთოდოლოგიის მიხედვით, საკანონმდებლო და სანებართვო რეჟიმი გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის ციკლის განუყოფელი ნაწილია (სურათი 2.1).

### სურათი 2.1. IMPEL-ის „სწორად მოქცევის“ მეთოდოლოგია



წყარო: (Kramers, 2020).

### გარემოსდაცვითი პოლიტიკა და სამართლებრივი ჩარჩო

5. საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავების მხრივ (World Bank, 2020). ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლიტიკის წარმმართველი ყოვლისმომცველი დოკუმენტი გახლავთ 2022-2026 წლებისათვის საქართველოს გარემოს

დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა. გარდა ამისა, საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ქვეყანაში განსახორციელებელ ქმედებებს კლიმატის ცვლილების შერბილების მიმართულებით ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტში ჩამოყალიბებული მიზნების შესრულებაში (საქართველოს მთავრობა, 2021).

6. 1997 წელს მიღებული კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მოხმარების მარეგულირებელ ყოვლისმომცველ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს. ის მთავარ გარემოსდაცვით პრინციპებს და ასევე მოქალაქეთა უფლებებს და ვალდებულებებს განსაზღვრავს გარემოს დაცვის სფეროში. აღსანიშნავია, რომ ეს კანონი აწესებს პრინციპს „დამბინძურებელი იხდის“ და აცხადებს, რომ მოქალაქეებს უფლება აქვთ უსაფრთხო გარემოში იცხოვრონ. კანონი შეიცავს დებულებებს გარემოს დაცვის სფეროში განათლების და სამეცნიერო კვლევის შესახებ, რაშიც შედის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის (EIEC) შექმნა. მასში აღწერილია სახელმწიფო გარემოსდაცვითი მმართველობის სტრუქტურა, ეკონომიკური ჩარჩო, საინფორმაციო მხარდაჭერა (მათ შორის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის კოორდინაცია), სტანდარტები და ნარჩენებთან დაკავშირებული მოთხოვნები, ეკოსისტემების და დაცული ტერიტორიების დაცვის დებულებები, გლობალური და რეგიონული მმართველობა, სახელმწიფო კონტროლი გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში, პასუხისმგებლობა გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის და კომპენსაცია (საქართველოს პარლამენტი, 1997).
7. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტებია 2015 წლის დადგენილება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (უწყება, რომელიც გარემოსდაცვითი ინსპექციის მოვალეობებს ახორციელებს) მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ და 2019 წლის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება რეგულირების ობიექტების გეგმიური შემოწმების პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (რომელიც უფრო დეტალურად განხილულია მონიტორინგის შესახებ თავში). საქართველოს მთავარი კანონები, რომლებსაც შემხებლობა აქვს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემასთან, მოცემულია დანართ I-ში. დანართ II-ში კი მოცემულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების სია, რომლებზეც მიერთებულია საქართველო.
8. საქართველოში გარემოს დაცვის დარგში საკანონმდებლო რეფორმის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორია ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელსაც ქვეყანამ ხელი 2014 წელს მოაწერა, ხოლო ძალაში 2016 წლის 1 ივლისს შევიდა 2016 (European Commission, 2021). შეთანხმების მესამე თავი გარემოსდაცვით თემებს ეხება. სხვა საკითხებთან ერთად, მასში შედის გარემოსდაცვითი სფეროს მმართველობა და ჰორიზონტალური საკითხები, განათლება და გადამზადება, მონიტორინგისა და გარემოსდაცვითი ინფორმაციის სისტემები, ინსპექტირება და აღსრულება, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, გარემოსდაცვით დანაშაულებთან ბრძოლა, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, საჯარო წვდომა გარემოსდაცვით ინფორმაციაზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესები და ადმინისტრაციული და სასამართლო განხილვის მოქმედი პროცედურები (European Union, 2014). შეთანხმებაში გათვალისწინებულია საქართველოს ჰარმონიზაცია ევროკავშირის მთელ რიგ ნორმებსა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან. დანართი III შეიცავს ამონარიდებს შეთანხმებიდან, ევროკავშირის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივის (ELD) და სამრეწველო ემისიების დირექტივის (IED) საქართველოს კანონმდებლობაში გადმოტანასთან დაკავშირებული დებულებების და ვადების მითითებით.
9. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ შესაბამისად, საქართველომ 2021 წელს მიიღო კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, რომლის თანახმადაც კომპანიებზე გავრცელდა გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოსწორების ანაზღაურების მოთხოვნა (უფრო დეტალურად აღწერილია „აღსრულების“ თავში). 2023 წლის 29 ივნისს საქართველომ ასევე

- მიიღო კანონი სამრეწველო ემისიების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს ინტეგრირებული ნებართვების შემოღებას და „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის“ (BAT) გამოყენებას.
10. 2017 წლის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გარემოსდაცვითი მმართველობა საქართველოში, მათ შორის, გაზარდა დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის დონე. ამან დადებითი ზეგავლენა მოახდინა გარემოსდაცვითი კანონების აღსრულებაზე ქვეყანაში (EEA, 2018). 2022 წლის ივნისში ევროკომისიამ რეკომენდაცია გასცა, რომ საქართველოს კანდიდატი წევრის სტატუსი მიენიჭოს მას შემდეგ, რაც ის რამდენიმე პრიორიტეტს დააკმაყოფილებს. ეს, სავარაუდოდ, შთაგონების წყარო გახდება უფრო მეტი სამართლებრივი რეფორმებისთვის (European Commission, 2022).
  11. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კარგად განვითარებული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა აქვს, ქვეყანა მაინც გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას მის აღსრულებასთან დაკავშირებით. საქართველოში არ არსებობს მოქმედი კანონმდებლობის რეგულარულად გადახედვის ვალდებულება და ამიტომაც ზოგი კანონი მოძველებულია, მათ შორის, კანონი გარემოს დაცვის შესახებ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი და კანონი წიაღის შესახებ. ზოგ შემთხვევაში, უფრო ახალი და ძველი კანონები ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებებს შეიცავს, როგორცაა, მაგალითად, შეუსაბამობა ფორმულირებებსა და განმარტებებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველო დიდად წაადგებოდა გარემოს დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის გადასინჯვა იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად შეესაბამება ის თავის მიზანს და რამდენად თანმიმდევრულია. საჭიროა მოძველებული კანონების განახლება ან გაუქმება, ასევე ამ კანონების შესაბამისობაში მოყვანა და ჰარმონიზაცია.

## საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებაში

12. საქართველოში გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და რეგულაციების შემუშავების დროს დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარულად გადიან კონსულტაციას. მაგალითად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კონსულტაციები გაიარა საქართველოს ბიზნეს ასოციაციის დაახლოებით 60 წევრთან გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონთან დაკავშირებით (გდსმს, 2021). სამრეწველო ემისიების შესახებ კანონზე კონსულტაციებში შესაბამისი სამინისტროები და ბიზნეს სექტორის 200-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.
13. ქვემოთ მოცემულია სამთავრობო ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოების მონაწილეობას გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებაში:
  - **საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტი**, რომელიც აწყოებს სამუშაო ჯგუფებს სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების და ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით. ამას გარდა, კომიტეტი ასევე მოსმენებს და თემატურ მოკვლევებს აორგანიზებს, კანონების ეფექტურობის განხილვის და მათი შესრულების ხელშეწყობის მიზნით.
  - **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო** ინტერნეტში აქვეყნებს კანონპროექტებს<sup>1</sup> და ინფორმაციას გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) საჯარო მოსმენების შესახებ<sup>2</sup>. ამას გარდა, ახალი კანონმდებლობის შესახებ სამინისტრო ინფორმაციას აზიარებს ელექტრონული ფოსტის, სოციალური მედიისა და ბეჭდური მედიის მეშვეობით.

<sup>1</sup> <https://mepa.gov.ge/Ge/DraftLaws>

<sup>2</sup> <https://mepa.gov.ge/Ge/PublicDiscussion>



- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი** საჯარო მოსმენებს აწყობს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ, ავრცელებს ინფორმაციას გზშ-ს საჯარო განხილვების და ახალი კანონმდებლობის შესახებ ელექტრონული ფოსტის, თავისი ვებგვერდის (რომელშიც მოცემულია საჯარო განხილვების კალენდარი) და სოციალური მედიის მეშვეობით. ცენტრის მიზანია UNECE-ის „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის“ (ორპუსის კონვენცია) და UNECE-ს „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ სტრატეგიის განხორციელების მხარდაჭერა საქართველოს მიერ.
  - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი** ინფორმაციას ავრცელებს გზშ-ს საჯარო მოსმენების თაობაზე სხვადასხვა საშუალებებით, როგორცაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე, სკოლებში, სავაჭრო ცენტრებსა და საფოსტო განყოფილებებში გამოკრული განცხადებები.
  - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **გარემოს ეროვნული სააგენტო** თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას გზშ-ს საჯარო განხილვების თაობაზე<sup>3</sup>.
14. საქართველომ საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) მთლიანი ინფრასტრუქტურა გააუმჯობესა საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მათ შორის, სპეციალიზებული პორტალების შემუშავებით.<sup>4</sup> ის განაგრძობს გარემოსდაცვითი მონაცემებისა და ინფორმაციის გაზიარების შესახებ კანონმდებლობის განახლებას. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელებაში და დაინტერესებული მხარეებისათვის უზრუნველყოფს ბმულებს სხვადასხვა საინფორმაციო სისტემებთან.<sup>5</sup> ამით გადაჭრილია ევროპული გარემოს სააგენტოსგან ადრე მიღებული კრიტიკა იმის თაობაზე, რომ საქართველოს არ გააჩნდა ერთიანი ვებპლატფორმა ინფორმაციისა და მონაცემების სხვადასხვა წყაროზე მარტივი წვდომისთვის (EEA, 2020).
15. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებაში. თუმცა, კერძო სექტორი ნაკლებად არის ინფორმირებული ახალი კანონების, ასევე მათ შესრულებასთან დაკავშირებული ვადების და ხარჯების შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანიები ახალი კანონების შესახებ მხოლოდ მათი გამოქვეყნების შემდეგ იგებენ. მთავრობამ გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებაში კერძო სექტორის მონაწილეობა უფრო მეტად უნდა გაზარდოს. მას შეუძლია უფრო ფართო და ხშირი საკონსულტაციო პროცესები გამოიყენოს და რაც შეიძლება მეტი დეტალები მიაწოდოს მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ. ინფორმაციის გავრცელების

<sup>3</sup> <https://nea.gov.ge/Ge/GZSH-Applications>

<sup>4</sup> ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი (<https://air.gov.ge/>); საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი (<https://atlas.mepa.gov.ge/?l=ka>); ნარჩენების მართვის სისტემა (<https://waste.mepa.gov.ge/Login>); სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რუკა (<http://map.emoe.gov.ge/>); გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი საინფორმაციო პორტალი (<http://eia.gov.ge/>); წყლის მართვის სისტემა, შემუშავებული ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის ერთობლივი გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემის II East პროექტის მხარდაჭერით. გეოპორტალის ტესტირება საქართველოშიც მიმდინარეობს. (<https://air.gov.ge/>); (<https://atlas.mepa.gov.ge/?l=ka>); (<https://waste.mepa.gov.ge/Login>);

<sup>5</sup> <https://eiec.gov.ge/En/InformationSystems>

არხებს შორის შეიძლება იყოს საფოსტო ან ელექტრონული წერილების გაგზავნა ყველა ნებართვის მფლობელისთვის, ასევე კანონპროექტის გაზიარება კომენტარებისთვის ბიზნეს და სავაჭრო ასოციაციების მეშვეობით. მთავრობამ ასევე უნდა წახალისოს კერძო სექტორი, რომ ელექტრონული პლატფორმები გამოიყენონ კანონპროექტების შესახებ კონსულტაციებისთვის.

16. საქართველომ ასევე დამატებითი საკითხები უნდა გადაჭრას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ამაში მოიაზრება ინფორმაციის მიწოდების დაბალი ხარისხი, ბუნდოვანი ჩანაწერები და შემდგომი რეაგირება კონსულტაციების დროს მიღებულ შენიშვნებსა და წინადადებებზე, საჩივრების განხილვის სისტემების შესახებ საზოგადოების დაბალი დონის ინფორმირებულობა და ამ სისტემაზე დაბალი ხელმისაწვდომობა და პროექტის განმახორციელებელი უწყებების სუსტი შესაძლებლობები საჩივრების განხილვის ინკლუზიური მექანიზმების მართვაში (World Bank, 2020).

## სანებართვო სისტემა

17. 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა დერეგულაციამ ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის გარემოსდაცვით სტანდარტებზე. საქართველოს მთავრობამ აღნიშნული დერეგულაცია განახორციელა ბიზნესისთვის ზოგადი ხელშემწყობი გარემოს გაუმჯობესებისა და ადმინისტრაციული ტვირთის შემცირების მიზნით (UNECE, 2016). ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, სანებართვო სისტემაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება დაფიქსირდა.

### *გზმ-ს, როგორც მთავარი სანებართვო ინსტრუმენტის გამოყენება*

18. საქართველოს მიერ 2017 წელს მიღებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც ძალაში 2018 წლის 1 იანვარს შევიდა, ქვეყანაში გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემის პროცესის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს. მასში მოცემულია გზმ-ს, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურები. კოდექსი დიფერენცირებულ მიდგომას იჩენს გარემოზე მაღალი და დაბალი ზემოქმედების მქონე საქმიანობის მიმართ. I დანართში ჩამოთვლილია გარემოზე მაღალი ზემოქმედების მქონე საქმიანობები, რომლებიც გზმ-ს ექვემდებარება. II დანართში მოცემულია გარემოზე დაბალი ზემოქმედების მქონე საქმიანობები, რომლებიც სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება გზმ-ს განხორციელების საჭიროების დასადგენად (გარდა კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტში გათვალისწინებული ღონისძიებებისა). „ევროკავშირი გარემოსთვის“ პროექტის ფარგლებში, UNECE დახმარებას უწევს საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებისათვის გზმ-ს სახემძღვანელოს და ასევე ტრანსსასაზღვრო კონტექსტში სგმ სახელმძღვანელოს განახლებაში.
19. იმ საქმიანობათა ნებართვებს, რომელიც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსს არ ექვემდებარება, ტექნიკური რეგლამენტი აწესრიგებს. ტექნიკურ რეგლამენტს დაქვემდებარებული საქმიანობის ოპერატორებმა გარემოს დაცვის სააგენტოს ინფორმაცია უნდა წარუდგინონ ზედაპირული წყლების აღების ტექნიკური პირობების შესახებ. მათ ასევე უნდა წარმოადგინონ ტექნიკური ანგარიში ემისიის წერტილოვანი წყაროების და ჰაერში გაფრქვეული დამაბინძურებლების ინვენტარიზაციის თანხლებით.
20. საქართველოში გარემოზე ზემოქმედების შესახებ გადაწყვეტილება (Environmental Decision) გარემოსდაცვითი ნებართვების ეკვივალენტურია და ის დიდი ობიექტებიდან სამრეწველო ემისიებს და ნივთიერებების ჩაშვებას აწესრიგებს. ეს მიდგომა განსხვავდება სხვა ქვეყნების უმეტესობაში დანერგილი მიდგომისგან, სადაც გზმ საქმიანობის დაგეგმვამდე ტარდება და შემდეგ კი ნებართვა გაიცემა კონკრეტული ობიექტისთვის კონკრეტულ ადგილზე. საქართველოში, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები“ ადგენს ემისიის ზღვრულ დონეებს (ELVs) გარემოს მიმღებ მედიუმში და ინდივიდუალურად არის დადგენილი თითოეული



საწარმოსთვის (ობიექტისათვის). კონკრეტული ობიექტისთვის ნებართვები გამოთვლებს ეფუძნება, სადაც სხვადასხვა ტექნიკური პარამეტრი არის გათვალისწინებული. მათში შედის საკვამურის სიმაღლე, ხარჯის პარამეტრი (კუბური მეტრი წამში), მანძილი ახლომდებარე დასახლებებამდე, ჰაერის ხარისხის სტანდარტები (ე.წ. მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციები, ანუ MAC-ები) და ჯამური ზემოქმედება/ფონური კონცენტრაცია ტერიტორიაზე (ე.ი. ობიექტები მრავალი ემისიებით).

21. საერთაშორისო საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღებამ საქართველოში ნებართვების გაცემის ეფექტურობა და გამჭვირვალობა გააუმჯობესა. თუმცა, კოდექსი მნიშვნელოვანი შეზღუდვებით გამოირჩევა განხორციელების, მონიტორინგისა და აღსრულების შესაძლებლობების ჭრილში (World Bank, 2020). ოპერატორების აზრით, კოდექსი კომპლექსური და ბუნდოვანია, საქმიანობების კატეგორიზაციის ჩათვლით. სასარგებლო იქნება ამ კოდექსის შესახებ მეტი განმარტებითი ღონისძიება და მისი გამოყენების პრაქტიკული სახელმძღვანელოების შემუშავება.
22. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება საქართველოში 2011 წლიდან სხვა პროცედურით – ღია ელექტრონული აუქციონის გზით – გაიცემა (UNECE, 2016). გამოყენებულ პროცედურას და მეთოდოლოგიას გამჭვირვალობა აკლია (UNECE, 2016). გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ სავალდებულო გახდეს პრეტენდენტების პროფესიონალური შესაბამისობის და კეთილსინდისიერების შემოწმება, მათ მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევების/აღსრულების ისტორიის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ ისინი დაშვებულ იქნან ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად.

### **ინტეგრირებული ნებართვის გამოყენება**

23. საქართველო თავის კანონმდებლობაში ადრეც იყენებდა დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციისა და კონტროლის ცნებას. აღსანიშნავია, რომ საქართველომ „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის“ კონცეფცია შემოიტანა კანონებში „გარემოს დაცვის შესახებ“ და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“.
24. საქართველოს მიერ 2023 წლის 29 ივნისს სამრეწველო ემისიების შესახებ კანონის მიღებით ქვეყანაში შესაძლებელი გახდება ინტეგრირებულ ნებართვების გაცემა და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის გამოყენება. კანონი აღწერს ინტეგრირებული ნებართვის გაცემის პროცედურას/გზს-ს და ინტეგრირებული ნებართვის გაცემის კომბინირებულ პროცედურას, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის დასკვნების, მონიტორინგის/ანგარიშგების და საზოგადოების მონაწილეობის საფუძველზე. ინტეგრირებული ნებართვების სისტემა 2026 წლიდან ამოქმედდება. კომპანიების მიერ საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის დანერგვის ვადები ეკონომიკური სექტორების მიხედვით დადგინდება. ეს კანონი და კანონქვემდებარე აქტები ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტვინიგის პროექტის ფარგლებში შემუშავდა, რომელიც ევროკავშირის „სამრეწველო ემისიების დირექტივასთან“ დაახლოებას ისახავს მიზნად.
25. ინტეგრირებული ნებართვა სასარგებლო იქნება როგორც ოპერატორებისთვის, ასევე მარეგულირებლებისთვის. ნებისმიერი დამატებითი გარე დახმარება, რომელიც შეიძლება საქართველომ მიიღოს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისა და შესაძლებლობების გასაძლიერებლად, ქვეყანაში BAT მიდგომის დანერგვას დააჩქარებს. მომავალში, საქართველომ ინტეგრირებული სანებართვო სისტემა უნდა გააფართოოს, რათა ის შეეხოს არა მხოლოდ სამრეწველო ემისიების დირექტივით გათვალისწინებულ ობიექტებს, არამედ ისეთებსაც, რომლებიც ემისიების მრავალ წყაროს მოიცავენ.

### **სანებართვო პროცედურა**

26. ჩანართი 2.1 აღწერს „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების“ (ნებართვის) მიღების პროცედურას იმ საწარმოებისთვის საქართველოში, რომლებიც გზს-ს ექვემდებარება.

## ჩანართი 2.1. საქართველოში გზშ-ს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ნებართვის) მიღების პროცედურა

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ნებართვის) მისაღებად შემდეგი პროცედურა მოქმედებს:
- განმცხადებელი (ოპერატორი) ან ოპერატორის კონსულტანტი გზშ-ის ანგარიშს განსახილველად წარუდგენს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს. განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიებისა და ზედაპირული წყლის ობიექტებსა და ჩამდინარე წყლებში ჩაშვებული დამაბინძურებლების ზღვრული ლიმიტირებული მნიშვნელობების გაანგარიშების შესახებ.
- გზშ-ის საჯარო მოსმენები ორ ეტაპად იმართება. გარემოს ეროვნული სააგენტო ასევე იღებს კომენტარებს ელექტრონული ფოსტით.
- გარემოს ეროვნული სააგენტო შეისწავლის გზშ-ის ანგარიშს და, საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებელი ორგანიზაციიდან მიღებულ და ასევე სხვა ინფორმაციას, რომელიც საზოგადოებასა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან გამართული კონსულტაციებიდან არის მიღებული.
- გარემოს ეროვნული სააგენტო განცხადების რეგისტრაციიდან სამი დღის ვადაში ქმნის საექსპერტო კომისიას, რომელიც ამ განცხადებას შეისწავლის. ექსპერტთა კომისიაში შეიძლება შევიდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა დეპარტამენტების, სხვა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები, ან გარე ექსპერტები.
- გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი ხელს აწერს „გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას“.
- გადაწყვეტილებაში შეიძლება განმცხადებელ სუბიექტს მოეთხოვოს გარკვეული ზომების მიღება საქმიანობის დაწყებამდე ან საქმიანობის დროს.
- გარემოს ეროვნული სააგენტო გზშ-ის ყველა დოკუმენტს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს.

წყაროები: (საქართველოს პარლამენტი, 2017).

27. მაშინ, როცა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში დანერგილია კორპორაციული კონტენტის და დავალებების მართვის ელექტრონული სისტემა (eDoc), სანებართვო განაცხადები საფოსტო ან ელექტრონული წერილით იგზავნება და ხელით რეგისტრირდება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პრიორიტეტად უნდა დაისახოს ნებართვების ციფრულად გაცემა რაც შეიძლება მალე, რადგან ეს მრავალმხრივ სასარგებლო იქნება. ამჟამად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან თანამშრომლობით და ფინანსთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, ავითარებს გარემოსდაცვითი ნებართვის ონლაინ სისტემას. ამ მონაცემთა ბაზაში შევა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები (ნებართვები) და 2018 წლის შემდეგ გაცემული ნებართვებთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაცია. მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისთვის და გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტისთვის. ამ მონაცემთა ბაზის შემუშავების საწყისი ეტაპის შემდეგ, საქართველოს ეძლევა რეკომენდაცია, რომ ამ სისტემის მოქმედება გააფართოოს და ყველა ნებართვა მოიცვას, 2018 წლამდე გაცემული ნებართვების ჩათვლით. საქართველოს ნებართვების მონაცემთა ბაზა ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის.
28. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო გეგმავს ბუნებრივი რესურსების „ელექტრონული ლიცენზირების სისტემის“ შექმნას, სადაც

გაზიარებული იქნება ინფორმაცია ლიცენზირების შესახებ და მოხდება ელექტრონული განაცხადების მიღება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებისთვის. ეს სისტემა ინერგება მას შემდეგ, რაც გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ახალი პორტალი ჩაუშვა საშემოსავლო სამსახურის ვებგვერდზე 2018 წელს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ლიცენზიის მოსაპოვებლად ელექტრონულ აუქციონზე რეგისტრაცია და დოკუმენტების წარდგენა.


29. საქართველოში ნებართვები უვადოა. ყველაზე ადრე გაცემული ნებართვა 1996 წლით თარიღდება. საჭიროა მხოლოდ ჩაშვების (წყლისა და ჰაერის ემისიების) ამსახველი დოკუმენტების ვალიდაცია ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. მნიშვნელოვანია დადგინდეს ფიქსირებული ვადა, რათა ობიექტებმა ხელახლა შეიტანო განაცხადი თავიანთი ნებართვისთვის. ამით მკაფიოდ იქნება შესაძლებელი ობიექტის მხრიდან გარემოზე მიყენებული ზემოქმედების გადახედვა, ორგანიზაციის მიერ გარემოსდაცვით კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების ისტორიის შემოწმება და დადგენა, თუ რამდენად აუცილებელი არის ნებართვის შეცვლა. ევროპის ბევრ ქვეყანაში სტანდარტული ნებართვის ხანგრძლივობა 8-12 წელია. სამრეწველო ემისიების შესახებ საქართველოს კანონი სავალდებულოს გახდის გაცემული ნებართვების პერიოდულ გადახედვას იმ ობიექტებისათვის, რომელთაც ამ კანონის მოქმედება შეეხება.
30. საქართველოში სანებართვო განაცხადის ფიქსირებული საფასურია 500 ლარი (დაახლოებით 143 ევრო). სანებართვო მოსაკრებლები საქმიანობის ზომის და კომპლექსურობის უფრო პროპორციული უნდა გახდეს და განისაზღვროს დონეების მიხედვით, „დამზინძურებელი იხდის პრინციპის“ შესაბამისად.
31. გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის სასარგებლო იქნება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან კონსულტაციების გავლა მნიშვნელოვანი ნებართვების შესახებ, როგორცაა სამრეწველო ემისიების დირექტივით დაფარული აქტივობები და დიდი კარიერები. არსებული კანონმდებლობის მიხედვით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ოფიციალურად არ არის ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამიტომ, გარემოს ეროვნულ სააგენტოს იშვიათად მართავს კონსულტაციებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან სანებართვო განაცხადების შესახებ.

# 3 გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ინსტიტუციური მოწყობა

## ინსტიტუციური ვალდებულებების შეჯამება

32. საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სფეროში ძირითადი უწყებებია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული დეპარტამენტები და სუბიექტები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გარემოს ეროვნულ სააგენტოს და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. სურათი 3.1 იმ უწყებების ძირითად ამოცანებს გვიჩვენებს, რომლებიც გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების საკითხებზე თანამშრომლობენ.

სურათი 3.1. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემის ძირითადი უწყებები საქართველოში



33. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (გდსმს) მთავარი ფუნქცია გახლავთ სახელმწიფოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელება ნავთობის და გაზის სექტორების გამოკლებით; გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემა; სახელმწიფო მართვის და ზედამხედველობის პოლიტიკის გატარება გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში, ნავთობის და გაზის სექტორების გამოკლებით; გარემოს დაბინძურების კონტროლი; გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და გარემოსდაცვით საკითხებში განათლება და ცნობიერების ამაღლება (საქართველოს პარლამენტი, 1997). 2021 წელს სამინისტროს საერთო ბიუჯეტი გახლდათ დაახლოებით 629

მილიონი ლარი (დაახლოებით 175.7 მილიონი ევრო), რომელიც ფარავს როგორც გარემოსდაცვით, ასევე სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებულ აქტივობებს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2017 წელს შეიქმნა, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შერწყმის შედეგად (EEA, 2020).

34. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **იურიდიული დეპარტამენტი** გარემოსდაცვითი კანონებისა და რეგულაციების პროექტებს შეიმუშავებს ან განიხილავს და კოორდინაციას უწევს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანონშემოქმედებით საქმიანობას.
35. **გარემოს ეროვნული სააგენტო (გეს)** იურიდიული პირია, რომელიც სამინისტროს ფარგლებში 2008 წელს ჩამოყალიბდა. მის ვალდებულებაში შედის გაფრთხილებების და შეტყობინებების მომზადება და გავრცელება მოულოდნელი ბუნებრივი, ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური კატასტროფების შესახებ; ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზის მომზადება; გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება და გავრცელება; მინერალური რესურსების შესახებ გაერთიანებული საინფორმაციო ფონდის მართვა; მიწის რესურსების შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნა და მისი მართვა; წარსულში შესრულებული და მიმდინარე სამრეწველო, სამეცნიერო და გეოლოგიური სამუშაოების აღრიცხვა და თვალყურის მიდევნება. გარემოს ეროვნული სააგენტო ასევე ამტკიცებს ჰაერისა და წყლის დაცვის დოკუმენტაციას<sup>6</sup> და დასამტკიცებლად იღებს ოპერატორებისგან ტექნიკური ინვენტარიზაციის ანგარიშებს ემისიის წერტილოვანი წყაროების და ჰაერში გაფრქვეული დამაბინძურებლების შესახებ.
36. გარემოს ეროვნული სააგენტო რამდენიმე ტიპის ლიცენზიას გასცემს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე (ნავთობის და გაზის გამოკლებით), თავის დაქვემდებარებაში მყოფი ლიცენზირების დეპარტამენტის მეშვეობით. მათ შორისაა ლიცენზიები სატყეო რესურსებით სარგებლობაზე, რაშიც შედის სპეციალური ლიცენზიები მერქნის წარმოებასა და სანადირო მეურნეობებზე, თევზჭერასა და ცალკეულ აქტივობებზე, რომელიც მოცემულია კონვენციის დანართში *გადაშენების პირას მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობების საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ* (CITES).
37. გარემოს ეროვნულ სააგენტოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებაზე მომუშავე დეპარტამენტებია:
  - **გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი.** ეს დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარემოს, მათ შორის წყლის, ჰაერის და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგს საქართველოში. ის აფიქსირებს დაბინძურების დონეებს, ინფორმაციას იძლევა გარემოს დაბინძურების შესახებ, შეიმუშავებს მონაცემთა ბაზას და მონაწილეობას იღებს არსებული რისკების და შესაძლო მიყენებული ზარალის შეფასების პროცესში საგანგებო გარემოსდაცვითი სიტუაციების შემთხვევაში.
  - **გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი.** გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში 2022 წელს შეტანილი ცვლილებების შედეგად, გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი პასუხისმგებელი გახდა გარემოზე ზეგავლენის შეფასებისა (გზშ) და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიშების განხილვასა და „გარემოსდაცვით გადაწყვეტილებების“ (ნებართვების) გაცემაზე. ამ ცვლილებებამდე, გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ცალკე დეპარტამენტი იყო. გზშ და სგშ აქტივობებისთვის სულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 901,000 ლარი (დაახლოებით 251,667 ევრო) იყო გამოყოფილი 2022 წელს, ხოლო 2021 წელს - 930,000 ლარი (დაახლოებით 259,770

<sup>6</sup> ამაში შედის ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების ზღვრული მნიშვნელობების გამოთვლის შესახებ; ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად გაშვებული დამაბინძურებლების ზღვრული მნიშვნელობები; ზედაპირული წყლების ალების ტექნიკური პირობები.

ევრო). 2021 წლის ბიუჯეტი მთლიანად სამინისტროს ბიუჯეტის დაახლოებით 0.1% არის, რაც ძალიან მცირეა იმის გათვალისწინებით, თუ რა სამუშაოებს გასწევს დეპარტამენტი **გზმ** და **სგმ** პროცედურების აღსასრულებლად. 2022 წლის ივლისისთვის, გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტში 27 თანამშრომელი მუშაობდა და 5 პოზიცია ვაკანტური იყო.

- **გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დეპარტამენტი.** „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, საქართველომ ეს დეპარტამენტი შექმნა გარემოს ეროვნულ სააგენტოში. ის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან მუშაობს კანონის აღსრულების მიზნით. დამატებითი დეტალები „აღსრულების თავში“ არის წარმოდგენილი.

38. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გზდ)** უზრუნველყოფს სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში, გარდა სამთო საქმიანობის, მათ შორის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და რადიოაქტიურობის ლიცენზიებთან შესაბამისობის კონტროლისა. გზდ 2013 წლის მასში დაარსდა (გზდ, 2021). ის 10,000-მდე სუბიექტს ზედამხედველობს, რომელთაგან მხოლოდ 1,060 ფლობს ნებართვას (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები) და დანარჩენი უმეტესობა ტექნიკურ რეგლამენტებს ექვემდებარება (8,000-ზე მეტი სუბიექტი). 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, რეგულირებას დაქვემდებარებულ სხვა სუბიექტებს შორის იყო: ხე-ტყის წარმოების სპეციალური ლიცენზიის 12 მფლობელი, ექსპორტის ლიცენზიის 24 მფლობელი, ნადირობის სპეციალური ლიცენზიის 16 მფლობელი და თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის 16 მფლობელი (კორკოტაძე, 2022). სახელმწიფო ბიუჯეტიდან გზდ-სთვის 2022 წელს 20.25 მილიონი ლარი (დაახლოებით 5.7 მილიონი ევრო) იქნა გამოყოფილი, ხოლო 2021 წელს - 16.85 მილიონი ლარი (დაახლოებით 4.7 მილიონი ევრო), რაც მთელი სამინისტროს დაახლოებით 2.7%-ს შეადგენდა იმ წელს. 2023 წლისთვის დაფინანსების გაზრდა იგეგმება 25 მილიონ ლარამდე (დაახლოებით 8.7 მილიონი ევრო) (კორკოტაძე, 2022). ზრდის მიუხედავად, გზდ-ს საბიუჯეტო წილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტში მაინც ჯერ კიდევ ცოტაა. უფრო დეტალურ ინფორმაციას გზდ-ს აქტივობების და ფუნქციების შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ ჩანართში 3.1. ქვემოთ მოცემულ სურათზე 3.2 გზდ-ს სტრუქტურა არის ასახული. გზდ-ს რვა ტერიტორიული განყოფილება აქვს, მათ შორის არის ცენტრალური ოფისი დედაქალაქ თბილისში.

### ჩანართი 3.1. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გზდ)

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიზანია დაიცვას ჰაერი, წყალი, ნიადაგი, წილი და ბიომრავალფეროვნება. დეპარტამენტის მთავარი ამოცანებია:

- გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის დაგეგმვა, კოორდინაცია და განხორციელება;
- გარემოს დაცვის სფეროში გაცემული ლიცენზიების/ნებართვების პირობების შესრულების, ასევე, საქართველოს საერთაშორისო გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.
- ბუნებრივი რესურსებით უკანონოდ სარგებლობის და გარემოს დაბინძურების შემთხვევების პრევენცია, გამოვლენა და აღმოფხვრა; ასევე, გარემოსდაცვით სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების პრევენცია და გამოვლენა;
- კანონმდებლობის შესრულებაზე მონიტორინგი, რაშიც შედის რეგულირების ერთეულების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა და მათ მიერ ლიცენზიების/ნებართვების პირობების დაცვასთან დაკავშირებით არსებული ანგარიშების ანალიზი;
- გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის მეთოდოლოგიის და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება;
- გზდ-ს საქმიანობის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

გარდა ამისა, გზდ, სხვა უფლებამოსილ სააგენტოებთან ერთად, ამოწმებს საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხს სამთავრობო სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. 2023 წლიდან, გზდ ასევე პასუხისმგებელი გახდა მანქანების გამონაბოლქვის კონტროლზე.

გზდ ანგარიშვალდებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის და ამ სფეროს კურატორი მინისტრის მოადგილის წინაშე. გზდ-ს უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის წარდგინებით.

გზდ-ს მთავარი ინსპექტორი უზრუნველყოფს ინსპექტორების მუშაობის ზედამხედველობას და კოორდინაციას ოფიციალური მოვალეობების განხორციელებისას, ამლევს მათ სამუშაო დავალებებს, მონაწილეობას იღებს სახელმწიფო კონტროლის სფეროში შემავალი კანონების, ინსტრუქციებისა და გაიდლაინების შემუშავებაში, წინადადებებს და მოსაზრებებს ამზადებს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და მეთოდოლოგიების შესახებ, ხელს აწერს დოკუმენტებს, ამტკიცებს ინსპექტირების გეგმებს და ამოწმებს ინსპექტირებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, სხვა დავალებებს შორის.

ამ ანგარიშის მომზადების დროს გზდ-ს 120 ინსპექტორი ჰყავდა ყველა რეგიონულ ოფისში. ხელმძღვანელები ყოველწლიურად აფასებენ ინსპექტორებს დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. ინსპექტორების მოვალეობები მოცემულია დადგენილებაში „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“. დადგენილებაში მოცემულია, რომ ინსპექტორები და გზდ-ს სხვა თანამშრომლები საჯარო მოხელეები არიან, ვისთვისაც გარანტირებულია ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

წყაროები: (გზდ, 2021); (გზდ, 2021); (კორკოტაძე, 2022); (საქართველოს მთავრობა, 2015)



**სურათი 3.1. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სტრუქტურა**



წყარო: (კორკოტაძე, 2022)

39. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (გიგც) უნიკალურია. ის 2013 წელს დაარსდა და ხელს უწყობს გარემოსდაცვითი და სასოფლო-სამეურნეო საკითხებში განათლებას და საზოგადოების ცნობიერებას ამაღლებას ქვეყანაში. ის ასევე ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში და უზრუნველყოფს ინფორმაციაზე წვდომას (გიგც, 2021). მისი 2022 წლის ბიუჯეტი 3 მილიონ ლარს შეადგენდა (0.9 მილიონი ევრო), ხოლო 2021 წლის ბიუჯეტი დაახლოებით 5 მილიონი ლარი (1.5 მილიონი ევრო) იყო, რაც იმ წლისთვის სამინისტროს მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 0.7%-ს შეადგენდა. გიგც-ის თანახმად, ბიუჯეტი მას შემდეგ შემცირდა, რაც ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთიანი პოლიტიკა ამოღებული იქნა გიგც-ის პასუხისმგებლობის სფეროდან. ეს ცენტრი და მისი საქმიანობა უფრო დეტალურად არის აღწერილი მე-6 თავში.
40. სამინისტროს სხვადასხვა უწყება ერთმანეთთან თანამშრომლობს, განსაკუთრებით ნებართვების გაცემის და გარემოსდაცვითი სინჯების აღების სფეროებში. სამინისტროს დეპარტამენტები გზდ-ს ინფორმაციას უზიარებენ ნებართვების, ტყითსარგებლობის გეგმების დამტკიცების, ნადირობის მართვის გეგმების, წყლის ობიექტებისა და თევზჭერის მართვის გეგმების შესახებ, ასევე სხვა ინფორმაციას, რომელიც ეხება ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღებას, ჰაერის დაბინძურების სტაციონარულ წყაროებს და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ინვენტარიზაციას (საქართველოს მთავრობა, 2015). გარემოს ეროვნული სააგენტო გზდ-ს ინფორმაციას უზიარებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების, სამთო საქმიანობის დამტკიცებისა და სამთო ლიცენზიის მფლობელთა განვითარების გეგმების შესახებ, (თუმცა ის არ არის პასუხისმგებელი სამთო მოპოვების ლიცენზიების გაცემაზე. ამას ახორციელებს წიაღისეულის ეროვნული სააგენტო (საქართველოს მთავრობა, 2015).
41. გარდა ამისა, სხვა სამთავრობო უწყებებს წვლილი შეაქვთ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფაში. მათი მანდატები და გზდ-სთან თანამშრომლობის დონე აღწერილია ცხრილში 3.1.

**ცხრილი 3.1. გზდ-ს თანამშრომლობა სხვა სამთავრობო უწყებებთან, რომლებიც ჩართულნი არიან გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებაში საქართველოში**

სააგენტო და პასუხისმგებელი სამინისტრო	მანდატი	გზდ-თან თანამშრომლობა
ეროვნული სატყეო სააგენტო, გდსმს	<ul style="list-style-type: none"> <li>• მართავს სატყეო ფონდს</li> <li>• ზრუნავს და აღადგენს ტყეებს</li> <li>• არეგულირებს ტყეებით სარგებლობას</li> <li>• ახორციელებს კონტროლს სატყეო ფონდის ტერიტორიაზე (სალიცენზიო პირობების გარდა)</li> <li>• რეაგირებს ტყეებით უკანონოდ სარგებლობის ფაქტებზე ან/და კონტრაქტის პირობების დარღვევაზე</li> <li>• მონაწილეობს ტყით უკანონოდ სარგებლობის ფაქტების გამოვლენაში და იძლევა ინფორმაციას ამ ფაქტების შესახებ</li> <li>• აწარმოებს სატყეო ფონდის აღრიცხვას</li> </ul>	მჭიდრო თანამშრომლობა
დაცული ტერიტორიების სააგენტო, გდსმს	<ul style="list-style-type: none"> <li>• მართავს საქართველოს ნაკრძალებს, ეროვნულ პარკებს და ძეგლებს, დაცულ ლანდშაფტებს, ბიოსფერულ ნაკრძალებს, მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და საერთაშორისო მნიშვნელობის დაცულ ჭარბტენიან ნიადაგებს</li> <li>• აკონტროლებს ბუნებრივი რესურსებით უკანონოდ სარგებლობას დაცულ ტერიტორიებზე</li> </ul>	საშუალო თანამშრომლობა (აცნობებს გზდ-ს იმ დარღვევების შესახებ, რომლებიც არ შედის სააგენტოს კომპეტენციაში)
ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო, გდსმს	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუშაობს ლიცენზიების და ნებართვების გაცემაზე ბირთვულ საქმიანობასთან დაკავშირებით</li> <li>• ახორციელებს ბირთვული და რადიაციული აქტივობების გეგმურ და ერთჯერად ინსპექტირებას, რადიოაქტიური ნარჩენების მართვას და ა.შ.</li> </ul>	თანამშრომლობა არ ხდება
ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტო, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო.	<ul style="list-style-type: none"> <li>• არეგულირებს და ახორციელებს კონტროლს ბუნებრივ აირსა და ნავთობთან დაკავშირებული ოპერაციების მიმართ, მათ შორის მოპოვებას, გადამამუშავებას, შენახვას და ტრანსპორტირებას</li> <li>• აკონტროლებს და ზედამხედველობას უწევს სალიცენზიო პირობების დაცვას</li> </ul>	მჭიდრო თანამშრომლობა (ურთიერთგაგების მემორანდუმში), მათ შორის გარემოსადმი ზიანის მიყენებაზე; გზდ აზიარებს ინფორმაციას რეგულირების ობიექტების, ინსპექტირებისა და ლაბორატორიული ტესტების შედეგების შესახებ

წყარო: (საქართველოს პარლამენტი, 1999; საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2021; გზდ, 2021; საქართველოს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო).

## ინსტიტუციური მოწყობის შეფასება

### ინსტიტუციური კოორდინაცია

42. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემადგენლობაში ბევრი სხვადასხვა დეპარტამენტი და დაქვემდებარებული უწყებაა, რომლებიც გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებაზე მუშაობს. უმეტეს ქვეყნებში, ერთიდან სამამდე უწყება თანამშრომლობს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიზნით, რომლებშიც გაერთიანებულია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, გარემოს ეროვნული სააგენტოს (და მისი გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი), გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფუნქციები და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ასპექტები. საერთო წყობა ასეთია: არსებობს ერთი სუბიექტი, რომელიც გარემოს ეროვნული სააგენტოს (გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის ჩათვლით) და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფუნქციებს ასრულებს, ხოლო მეორე მხრივ, არსებობს მეორე უწყება, როგორცაა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და ლაბორატორია. სხვადასხვა სუბიექტების დიდმა რაოდენობამ შეიძლება ბარიერები შექმნას ინფორმაციის გაზიარებისა და ქმედებების განხორციელებისთვის, ასევე არსებობს დუბლირების რისკი, იზრდება საოფისე ხარჯები, ასევე, სიტუაცია გაურკვეველი ხდება ოპერატორებისა და საზოგადოებისთვის. რეკომენდებულია, რომ საქართველომ სტრუქტურული ცვლილებები განახორციელოს და რამდენიმე დეპარტამენტი, ერთეული და ფუნქციები გააერთიანოს ზემოხსენებული მიმართულებებით. იდეალურ შემთხვევაში, ამ აქტივობებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს.
43. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა უწყებასა და დეპარტამენტებს შორის მიმდინარე თანამშრომლობის მიუხედავად, კერძო სექტორიდან ზოგიერთი დაინტერესებული მხარე თვლის, რომელიც არასაკმარისია ინსტიტუციური კოორდინაცია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფის საკითხში. შესაძლებელია როგორც გარე, ასევე შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება, განსაკუთრებით, სპეციალური ნებართვის გამცემ და აღმასრულებელ განყოფილებებს შორის. უფრო გამარტივებული სტრუქტურა, რომელშიც უფრო ცოტა ცალკეული ერთეულები იქნებოდა წარმოდგენილი, ამ საკითხის გადაჭრას ხელს შეუწყობდა. ამ კუთხით უფრო მოსახერხებელია უფლებამოსილი უწყებების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზა, ყველა უწყებასა და დეპარტამენტს შორის იქნებოდა გაზიარებული. ასევე სასარგებლო შეიძლება იყოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის პროცესის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს მის ჩართულობას და კომენტარებს მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და ნებართვების პროექტების მომზადებისას.

### ადამიანური რესურსების რაოდენობა და უნარები

44. საჯარო გარემოსდაცვით დაწესებულებებს, რომლებიც გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებაზე მუშაობენ, საკმაოდ უჭირთ კვალიფიციური და გამოცდილი კადრების მოზიდვა და შენარჩუნება, რომლებიც ხშირად სამუშაოდ კერძო სექტორში გადადიან. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ამ პრობლემის გამო ვერ ხდება ქვეყნის ყველა გეოგრაფიული არეალის დაფარვა და ინსპექტირებაც უფრო დაბალი სიხშირით ხორციელდება (კორკოტამე, 2022). რეკომენდებულია, რომ საქართველომ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების დაწესებულებებში საკადრო სირთულეები რაც შეიძლება მალე მოაგვაროს ფინანსური და სხვა წახალისების გზით, რათა მომსახურების ხარისხი და თანმიმდევრულობა შეინარჩუნოს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ეს საკითხი ცნობილია და ის საკანონმდებლო წინადადებებზე მუშაობს, რომლებიც გამოცდილი ადამიანური რესურსების მოზიდვას და პერსონალის წახალისებას ისახავს მიზნად (გდსმს, 2019). გარემოსდაცვითი

ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2013-22 წლებში თანამშრომლების რაოდენობა 330-დან 856-მდე გაზარდა (2019 წელს ეს რიცხვი გაორმაგდა), ხოლო სამომავლოდ მობილური პატრულირებისა და რეაგირების ჯგუფის გაზრდას გეგმავს (გდსმს, 2019); (კორკოტაძე, 2022). 2023 წელს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრიც აპირებს მუდმივი პერსონალის რაოდენობის გაზრდას 17-დან 25-მდე; მას ჰყავს 50-მდე დროებითი ხელშეკრულებით აყვანილი და რამდენიმე დაქირავებული თანამშრომელი.

45. ინსპექტორების მომზადების მიუხედავად,<sup>7</sup> გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის საჭირო უნარების ნაკლებობა, ისევე როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დანარჩენ დეპარტამენტებში, ფართოდ არის აღიარებული. გარდა ამისა, გზდ-ის თბილისის ცენტრალურ ოფისში უფრო მეტი კვალიფიციური ადამიანია, ვიდრე რეგიონულ ოფისებში. ამ პრობლემას ბევრი მიზეზი აქვს, რასაც ასევე ხელს უწყობს პერსონალის წახალისების მექანიზმების ნაკლებობა (კერძო სექტორთან შედარებით დაბალი ხელფასები) და პერსონალის არასაკმარისი გამოცდილება. უფრო მეტიც, დაუდასტურებელი დინფორმაციით, ინსპექტორებისთვის სასწავლო მასალებისა და კურსების ნაკლებობას განიცდის.
46. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გააანალიზოს ნებართვების გამცემი პერსონალისა და ინსპექტორების უნარები, ხარვეზები გამოავლინოს და შესაბამისი სტრუქტურირებული ტრენინგის სტრატეგია შეიმუშაოს, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ ვის რა ტიპის ტრენინგი უნდა ჩაუტარდეს. მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტების ადამიანური რესურსების განყოფილებები პასუხისმგებელი არიან ასეთ ტრენინგზე, არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა რაიმე სასწავლო სტრატეგიის არსებობაზე ამ დანაყოფებში. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებულმა ტრენინგმა, რომელსაც სამინისტროს დაინტერესებული მხარეები, მათ შორის ინსპექტორები ესწრებოდნენ, მონაწილეთაგან თითქმის ერთგვაროვანი მოწონება დაიმსახურა. თუმცა, ცენტრს არც სამინისტროსთვის არ აქვს სტრუქტურირებული გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა. ამის ნაცვლად, ის თავის სასწავლო პროგრამას პრიორიტეტების ყოველწლიურ სიაზე დაყრდნობით ადგენს, რომელიც სამინისტროს პერსონალზე, მარეგულირებელ ცვლილებებზე და გარემოსდაცვით მიზნებზე არის დამოკიდებული.
47. გარდა ამისა, საჭიროა პერსონალის უწყვეტი სწავლა და კვალიფიკაციის ამაღლება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა განიხილოს ინსპექტორებისთვის რუტინული ტრენინგის დაწესება, განსაკუთრებით ახალი ინსპექტორებისთვის, გადინების მაღალი დონის გათვალისწინებით. სამინისტროს მიდგომა ორიენტირებული უნდა იყოს კომპეტენციის უზრუნველყოფასა და შენარჩუნებაზე. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, რომელიც უკვე ატარებს სხვადასხვა ტრენინგს ბევრი დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის ინსპექტორებისთვის, ასეთი ტრენინგის გამართვა შეუძლია. თუმცა, მას შეიძლება მეტი დაფინანსება და პერსონალი დასჭირდეს ამ დამატებითი ამოცანების შესრულებისთვის. გარდა ამისა, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა ელექტრონული სწავლების სასწავლო პლატფორმა უნდა დანერგოს სამინისტროს ოფიციალური პირებისთვის, რომელსაც ის ავითარებს, როგორც დამხმარე რესურსს. მან ასევე ტრენინგთა გადამზადების სისტემა უნდა შეინარჩუნოს და გააფართოოს, რათა უფრო მეტი ტრენინგი გაიმართოს უფრო მეტ ადგილას.

<sup>7</sup> 2018 წელს კვალიფიკაციის ამაღლების 12 აქტივობა განხორციელდა (გზდ, 2018), 12 - 2017 წელს (გზდ, 2017), 8 - 2016 წელს (გზდ, 2016) და 6 - 2015 წელს (გზდ, 2015). 2018 წელს ტრენინგის თემები მოიცავდა ევროკავშირის „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივის“ და „სამრეწველო ემისიების დირექტივის“ პრაქტიკულ განხორციელებას. ტრენინგების უმეტესი ნაწილი მიზნობრივია, თითოეულ სესიას 10-20 ინსპექტორი ესწრება (MEPA, 2019). გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გადაუდებელი რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებმა და მეტყვევებმა მონაწილეობა მიიღეს GIZ-ის მხარდაჭერით ორგანიზებულ ტრენინგში (130 თანამშრომელი 2022 წელს, 260 - 2020 წელს, 156 - 2019 წელს და 180 - 2017 წელს) (კორკოტაძე, 2022).

### ინსპექციის სამსახურის საინფორმაციო მართვა და აღჭურვილობა

48. ბოლო წლების განმავლობაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი საკუთარი ინფორმაციის მართვის სისტემას აფართოებს და სულ უფრო და უფრო მეტი პროცედურის გაციფრულებას აპირებს. მან შემდეგი ელექტრონული სისტემები დაანერგა:
- მერქნის რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა, რომელსაც შეუძლია თვალყურის ადევნოს პროცესს ხეების ჭრიდან დამუშავებამდე;
  - სახერხი საამქროს ელექტრონული სისტემა, რომელიც არეგისტრირებს სახერხ საამქროებს, ასევე მორების მიღებას და დამუშავებას;
  - ელექტრონული სისტემა გადამფრენი ფრინველების გარემოდან ამოღების საფასურის გადახდისთვის;
  - თევზჭერის მართვის ელექტრონული სისტემა სპეციალური თევზჭერის ლიცენზიის მფლობელთათვის და სამრეწველო თევზჭერა;
  - შიდა ოფიციალური ინფორმაციის მართვის სისტემა რეგულირების ობიექტებისა და დარღვევების შესახებ (თუმცა დარღვევების რეგისტრაციის მონაცემთა ახლანდელი ბაზა მოძველებულია)
49. სატელიტური ელექტრონული მონიტორინგის სისტემა საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების კონტროლისთვის, რომლებიც უცხო ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიულ წყლებში ან ღია ზღვებში ახორციელებენ თევზჭერას (კორკოტაძე, 2022 წ.). პროგრესის კიდევ უფრო მეტად ხელშეწყობისთვის, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ინსპექტირების მართვის ელექტრონული სისტემის დაანერგვას გეგმავს, რომელიც მოიცავს მონაცემებს საკონტროლო საქმიანობისა და ნებართვის პირობების შესახებ და ელექტრონულ მეთოდს რისკის რაოდენობრივი განსაზღვრისთვის (გდსმს, 2019). ის ასევე აყალიბებს სამაცივრო აგენტების მართვის ელექტრონულ სისტემას და ქმნის ტყის ინსპექტირების ელექტრონული აქტის და ოქმის შედგენის შესაძლებლობას (კორკოტაძე, 2022). გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს რეკომენდაცია ეძლევა, რომ თავისი მთავარი პროცედურების, მათ შორის ინსპექტირების დაგეგმვის და შედეგების დამუშავების, საჩივრების განხილვისა და დარღვევებზე რეაგირების პროცესების გაციფრულების სამუშაოების დააჩქაროს.
50. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი თავის მატერიალურ-ტექნიკური ბაზას აახლებს. გზდ-მ 2019 წელს ახალი მანქანები და მოწყობილობები მიიღო, მათ შორის ე.წ. პიკაპის ტიპის 65 სატრანსპორტო საშუალება, რამაც სამჯერ გაზარდა GPS-ით აღჭურვილი, პატრულირებისთვის განკუთვნილი ავტომობილების რაოდენობა. გზდ-მ ასევე მიიღო გარკვეული აღჭურვილობა გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების მომსახურებისთვის, როგორცაა სამხრე კამერები, ლეპტოპები, საველე პლანშეტები და ღამის ხედვის ბინოკლები (გზდ, 2019), (კორკოტაძე, 2022). 2016 წელს, გზდ-მ სხვადასხვა აღჭურვილობა შეიძინა თავისი სწრაფი რეაგირების ჯგუფისთვის, მათ შორის მანქანები, ნავები, ბინოკლები, ხმაურის საზომი მოწყობილობები, მაგნიტური ველის ენერჯის ნაკადის საზომი ხელსაწყოები და გასაზომი ინსტრუმენტები ტყის ინსპექტორებისათვის (გზდ, 2016). მიუხედავად ამისა, გზდ-ს ჯერ კიდევ აკლია აღჭურვილობა თავისი ფუნქციების ეფექტურად შესასრულებლად. კერძოდ, მას აკლია სხვა ძირითადი ტიპის საზომი მოწყობილობა, საველე და ლაბორატორიული სინჯის აღების მოწყობილობა და ელექტრონული ტექნოლოგია, როგორცაა საველე პლანშეტები (კორკოტაძე, 2022). მობილური საოფისე ტექნოლოგიები, როგორცაა პლანშეტები, ინსპექტორებს საშუალებას მისცემს, რომ ველზე უფრო მეტი დრო გაატარონ, ვიდრე ოფისში. ანგარიშის გენერირების / წარდგენის ავტომატური სისტემის გამოყენებამ შეიძლება შეამციროს ის დრო, რაც ობიექტზე ყოფნისთვის არის საჭირო ინსპექტირების განმავლობაში.



## 4 გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგის რეჟიმი

51. საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა რისკზე დაფუძნებული ინსპექტირების, დათვალიერების, აუდიტის და ნებართვის მქონე ობიექტების თვითმონიტორინგის, აგრეთვე ლაბორატორიული კონტროლისა და ანალიზის და მოსახლეობის საფრთხის შესახებ შეტყობინების საშუალებით ხორციელდება.

### გარემოსდაცვითი ინსპექტირება

#### ინსპექტირების სახეები

52. „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონი საქართველოში გარემოსდაცვითი ინსპექტირების სამ კატეგორიას ითვალისწინებს: i) გეგმიური შემოწმება; ii) არაგეგმიური შემოწმება; და iii) დათვალიერება (საქართველოს პარლამენტი, 1997).
53. **ინსპექტირება (შემოწმება)** შეიძლება მოიცავდეს თვითმონიტორინგის შესახებ ანგარიშების, ობიექტების და მოწყობილობების, საწარმოო პროცესებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების შემოწმებას. შემოწმების ფარგლებში ასევე შესაძლებელია ემისიების და ნარჩენების შეფასება და ნედლეულის შესყიდვა-გასაღების და მარაგების დოკუმენტაციის შესწავლა. გარდა ამისა, ინსპექტირება შეიძლება მოიცავდეს ლაბორატორიული ნიმუშების აღებას და გაზომვებს. როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტი, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გზდ) „პრევენციულ“ ინსპექტირებას ახორციელებს, რომელიც უკანონო საქმიანობის გამოვლენას და აღკვეთას ისახავს მიზნად. ამაში იგულისხმება გენმოდირიცირებული ორგანიზმების კონტროლი, საწვავის ხარისხის კონტროლი, შავი ზღვის დაბინძურების კონტროლი, თევზჭერის, მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამუშავების და სხვა ობიექტების კონტროლი (გზდ, 2019).
54. ინსპექტირება შეიძლება კატეგორიების თვალსაზრისით იყოს კომპლექსური (როდესაც მოწმდება ყველა ვალდებულების შესრულება), მიზნობრივი (როდესაც მოწმდება კონკრეტული მოთხოვნების/ვალდებულებების შესრულება და გარემოს ცალკეული კომპონენტების მდგომარეობის შესწავლა), ან შერჩევითი (როდესაც მოწმდება დიდი ფართობის მქონე ობიექტი, როგორცაა ტყითსარგებლობის ლიცენზიის მფლობელი ან სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის მფლობელი) (გდსმს, 2019).
55. **არაგეგმიური შემოწმება** ტარდება მოქალაქეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი, მათ შორის, გზდ-ის ცხელი ხაზის მეშვეობით მიღებული დასაბუთებული საჩივრების საპასუხოდ; უწყებების/ორგანიზაციების ხელმძღვანელობისგან მიღებულ საჩივრებზე რეაგირებისთვის; და წინა ინსპექტირებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შესამოწმებლად (კორკოტაძე, 2022). არაგეგმიური შემოწმების საფუძველია საგანგებო სიტუაციებზე მათ შორის, ემისიებზე, რეაგირების ღონისძიებები; გარემოსდაცვითი რეგულაციების დარღვევის შემდგომ გატარებული ზომები დეტალური კვლევისთვის; გარკვეული მცურავი სატრანსპორტო საშუალებების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების კონტროლი; ობიექტების თვითმონიტორინგის ანგარიშების ვერიფიკაცია; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სალიცენზიო / სანებართვო პირობების დარღვევის აღკვეთა და სალიცენზიო პირობების შესრულების ვერიფიკაცია; ასევე

დარღვევების გამოსწორების მოთხოვნების შესრულების ვერიფიკაცია (საქართველოს მთავრობა, 2015).

56. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2021 წელს 2,719 შემოწმება ჩაატარა (აქედან 93 გეგმიური და 46 არაგეგმიური<sup>8</sup>); 2020 წელს 1,760 ინსპექტირება (აქედან 84 გეგმიური და 28 არაგეგმიური) და 2,884 შემოწმება 2019 წელს (აქედან 60 გეგმიური და 87 არაგეგმიური).
57. გარემოსდაცვითი **დათვალიერება** მიზნად ისახავს რეგულირების ობიექტის ვიზუალურად დათვალიერებას და მის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვებას. ეს ინფორმაცია მოგვიანებით შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგულირების ობიექტის მიმართ შემოწმების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების, ისე შესაბამისი რეაგირების ზომების მისაღებად. დათვალიერება შესაძლებელია მოიცავდეს რეგულირების ობიექტების საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვებას; უძრავი ქონების ობიექტების, ნაგებობებისა და დანადგარების ვიზუალურ შემოწმებას; მოპოვებული ბუნებრივი რესურსების დათვალიერებას და მათ შედარებას დაშვებულ ოდენობებთან; ასევე ლაბორატორიული სინჯების აღებას და გაზომვების ჩატარებას.

### **რისკის შეფასების მეთოდოლოგია გარემოსდაცვითი ინსპექტირებისთვის**

58. საქართველომ 2019 წელს დაამტკიცა რისკის შეფასების მეთოდოლოგია შემოწმებათა ჩატარების დასაგეგმად (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება „რეგულირების ობიექტების გეგმიური შემოწმების პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“). მეთოდოლოგია ადგენს გეგმიური შემოწმებების ჩატარების ტიპებსა და სიხშირეს, ზოგადი რისკის შეფასების და ინსპექტირების დაგეგმვის სისტემას, ინსპექტირების წლიური გეგმის შინაარსს და შემოწმების პრიორიტეტების განსაზღვრის ეტაპებს. ამ მეთოდოლოგიის ძირითად სამიზნეს გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე ის მსხვილი ობიექტები წარმოადგენს, რომლებმაც გაიარეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) და რომლებზეც გაცემულია „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება“ (ნებართვა), ასევე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელები.
59. ქვემოთ მოცემულია რისკის კატეგორიები და შემოწმების ჩატარების შესაბამისი სიხშირე:
  - მაღალი კატეგორიის რისკი – შემოწმება უნდა ჩატარდეს ყოველწლიურად (ეხება 174 ობიექტს)
  - საშუალო კატეგორიის რისკი – შემოწმება უნდა ჩატარდეს 2 წელიწადში ერთხელ (ეხება 605 ობიექტს)
  - მცირე კატეგორიის რისკი – შემოწმება უნდა ჩატარდეს სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ (ეხება ყველა დანარჩენ, სანებართვო პირობებს ან ტექნიკურ რეგულაციებს დაქვემდებარებულ ობიექტს) (გდმს, 2019).

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი რისკის კატეგორიების გადახედვას დაახლოებით 3 წელიწადში ერთხელ ატარებს.

60. ობიექტების რისკის შეფასების პროცედურა შემდეგია:
  - ეკოლოგიური რისკის განსაზღვრა სხვადასხვა გამოკვლევებზე, შეფასებებზე, სანებართვო/სალიცენზიო და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით;
  - კონკრეტული ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებული ეკოლოგიური რისკის განსაზღვრა, რომელიც ხორციელდება ობიექტის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების შესახებ ინფორმაციის, ინსპექტირების შედეგების, ობიექტის მიერ

<sup>8</sup> ამ ციფრებში არ არის შეტანილი მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა შემოწმების რაოდენობა.



წარმოდგენილი ანგარიშების, სამინისტროს ან სხვა უწყებების/ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და საჩივრების საფუძველზე;

- რეგულირების ობიექტის რისკის კატეგორიებად დაყოფა და შემოწმების სიხშირის განსაზღვრა ამ კონკრეტული ობიექტისთვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის III დანართით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე მინიჭებული პირობითი ქულების მიხედვით.

ძირითადი დოკუმენტის დანართებში ასევე მოყვანილია კრიტერიუმები იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ფლობენ ტყითსარგებლობის ლიცენზიებს, თევზჭერის ლიცენზიებს და სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიებს.

61. რისკის კატეგორიებად დაყოფის გარდა, ინსპექტირების სიხშირესა და პრიორიტეტებზე გადაწყვეტილებას იღებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი, რამდენიმე ისეთი ფაქტორის საფუძველზე, როგორცაა: ხელმისაწვდომი ფინანსური და ადამიანური რესურსები, ინსპექტორების რაოდენობა და კვალიფიკაცია, კომპანიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, კომპანიის და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებული ინსპექტირებები, რეგულირების ობიექტების კომპლექსურობა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ადგილობრივი ხელისუფლების პრიორიტეტები და ასევე აუცილებლად შესამოწმებელი მსხვილი კომპანიებისა და საშუალო და მცირე ობიექტების მინიმალური რაოდენობა (გდსმს, 2019). მცირე და საშუალო ბიზნესის ინსპექტირების რაოდენობას გზდ განსაზღვრავს ყოველწლიურად, პრიორიტეტული აქტივობებისა და გეოგრაფიული არეალის სპეციფიკური მახასიათებლების საფუძველზე.

### **ინსპექტირებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები**

62. საქართველომ მიიღო დადგენილება, რომელიც ადგენს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში სახელმწიფო კონტროლის ძირითად პრინციპებს, მოთხოვნებსა და პროცედურებს, მათ შორის, ინსპექტირებას და საქმისწარმოებას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ (საქართველოს მთავრობა, 2015). ეს დადგენილება - „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ - ასევე ადგენს შემოწმების პროცედურებს, რაშიც შედის ობიექტზე შესვლა, ინსპექტორის მოვალეობები და ნაბიჯები, რომლებიც შემოწმების დროს უნდა იქნას დაცული. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ინსპექტირების სიებს შეიმუშავებს, დამატებითი სახელმძღვანელო დოკუმენტის სახით.
63. მცირე გამოწვევის გარდა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ან გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით უნდა დაამტკიცოს გეგმიური ან არაგეგმიური შემოწმება (საქართველოს პარლამენტი, 1997). ინსპექტირებისგან განსხვავებით, დათვალისწინებისთვის საჭირო არ არის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ბრძანება.
64. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ყოველწლიური ინსპექტირების გეგმა ყოველი კალენდარული წლის ბოლოს უნდა დამტკიცდეს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ (საქართველოს მთავრობა, 2015). გეგმა უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი გახდეს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ვებგვერდზე. გეგმა შეიძლება გადაისინჯოს მიღებული ახალი ინფორმაციის შესაბამისად (საქართველოს მთავრობა, 2019). შემდეგ, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ადგენს შემოწმებათა გრაფიკს, რაც ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონულად. შესამოწმებელი

- ობიექტების გეგმური შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს ამ ობიექტების წინასწარი გაფრთხილებით ან გაუფრთხილებლად (საქართველოს მთავრობა, 2015).
65. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნებართვების დეპარტამენტი გზდ-ს უგზავნის ინფორმაციას შემოწმებას დაქვემდებარებული გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემის, გადაცემის, შესწორების ან გაუქმების შესახებ, მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და სანებართვო მოწმობის ასლს (საქართველოს მთავრობა, 2015). გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს აქვს გაცემული ნებართვების ონლაინ ნახვის შესაძლებლობა და ის ასევე, ოპერატორთან ერთდროულად, მიიღებს შეტყობინებას სანებართვო გადაწყვეტილებების შესახებ. თუმცა, არ არსებობს საერთო ონლაინ მონაცემთა ბაზა, სადაც ყველა ნებართვა იქნებოდა ასახული, როგორც აღნიშნულია თავში „საკანონმდებლო და სანებართვო სისტემა“.
  66. რეგულირების ობიექტის ინსპექტირება შეიძლება 60 დღემდე გაგრძელდეს და ეს ვადა შესაძლებელია კიდევ გაიზარდოს (საქართველოს მთავრობა, 2015). ინსპექტირების უმეტესობა 30 დღეზე ნაკლები გრძელდება, თუმცა, ზოგ შემთხვევაში შეიძლება 120 დღემდეც გაგრძელდეს (მაქსიმალური ხანგრძლივობა კანონმდებლობის მიხედვით). ძირითადად, უფრო მეტი დრო მაშინ არის საჭირო, როდესაც კომპანია დიდ ტერიტორიას იკავებს და კომპლექსური შემოწმება უნდა გაიაროს. ზოგიერთი კომპანია წელიწადში რამდენჯერმე გადის ინსპექტირებას.
  67. ინსპექტირების დროს კომპანიის წარმომადგენლები ყოველდღიურ ჩანაწერებს („სავლე აქტები“) ამზადებენ და ხელს აწერენ. აღნიშნული ჩანაწერების საფუძველზე, ინსპექტირების დასრულების შემდეგ, ინსპექტორები ორ დოკუმენტს ამზადებენ: ინსპექტირების აქტი (რომელშიც ასახულია ჩატარებული ღონისძიება) და ინსპექტირების ანგარიში (რომელშიც აღწერილია ყველა ღონისძიება, შედეგი და გამოვლენილი დარღვევა). ორივე დოკუმენტის ასლი გადაეცემა შემოწმებულ ობიექტს შენიშვნებისთვის. შემოწმებულ ობიექტს უფლება აქვს წარმოადგინოს შენიშვნები და ახსნა-განმარტებები, მათ შორის, ნებისმიერ ადმინისტრაციულ დარღვევასთან დაკავშირებით, და შეუძლია უარი თქვას ინსპექტირების ანგარიშზე ხელმოწერაზე. ინსპექტირების ანგარიშის მოცულობა შეიძლება 10-დან 100 გვერდამდე მერყეობდეს; რაიმე საერთო შაბლონი არ არსებობს (კორკოტაძე, 2022). გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ინფორმაციას დაუყოვნებლივ გადასცემს თავის ხელმძღვანელობას და სხვა შესაბამის უწყებებს (გდსმს, 2019). ის ინსპექტირების შედეგებს ასევე თავის ვებგვერდზე აქვეყნებს.

### **გარემოსდაცვითი შემოწმებების ანალიზი**

68. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ინსპექტირება გაუმჯობესდა 2013 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დაარსების შემდეგ, ინსპექტირების რეჟიმი შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს რამდენიმე გზით (UNECE, 2016).
69. ყოველწლიური ინსპექტირების რაოდენობა მცირეა, ხელმისაწვდომი ინსპექტორების რაოდენობისა და ნებართვის მქონე ობიექტების რისკის გათვალისწინებით. ის ყოველწლიურად არ მოიცავს ყველა მაღალი რისკის მქონე ობიექტს და ამის შედეგად მცირეა შემოწმებების რაოდენობა თითო ინსპექტორზე. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა ინსპექტირების ასეთი მაჩვენებლის მიზეზი უნდა გამოიკვლიოს და, სულ მცირე, უნდა მოიცვას მაღალი რისკის ინსპექტირება ყოველწლიურად, ხოლო საშუალო რისკის ინსპექტირება - ორ წელიწადში ერთხელ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანახმად, გეგმური ინსპექტირების მცირე რაოდენობის გამოწვევი მიზეზია ინსპექტორების მცირე რაოდენობა და მათი მაღალი დატვირთვა, ასევე, არაგეგმიური შემოწმებების სიმრავლე და საჩივრებზე რეაგირებაში დახარჯული დრო. თუმცა, ინსპექტირების დაბალი რაოდენობა სხვა მიზეზებითაც შეიძლება იყოს გამოწვეული, როგორცაა პრიორიტეტების არასწორად დადგენა ან მიზანმიმართულობა, სახსრების ნაკლებობა, ადგილზე ინსპექტირების ხანგრძლივი დრო და ინსპექტირების ანგარიშების ძალიან დიდი მოცულობა, რაც ინსპექტორებს ძვირფას დროს აკარგვინებს. ინსპექტირების

გეგმები ასევე უნდა იყოს შემუშავებული ისე, რომ ინსპექტორებმა ძირითადად მათი დასრულება შეძლონ. მრავალწლიანი ინსპექტირების გეგმები შეიძლება გამოყენებულ იქნას წლიური გეგმების საფუძვლად, რათა უზრუნველყოფილი იქნას სათანადო ზედამხედველობა და არ მოხდეს მნიშვნელოვანი ობიექტების გამოტოვება.

70. ინსპექტირების ხანგრძლივობა ერთ ადგილზე შეიძლება ძალიან გრძელი იყოს და სამიდან ხუთ დღემდე უნდა შემცირდეს, ინსპექტირების ანგარიშის მომზადების, შესრულებისა და დაწერის ჩათვლით. იდეალურ შემთხვევაში, ობიექტზე ერთიდან სამ დღემდე უნდა იქნას გატარებული, სისხლისსამართლებრივი შეუსაბამობის დროსაც კი. ეს ასევე ინსპექტორებს გამოათავისუფლებს სხვა სამუშაოების შესასრულებლად.
71. ინსპექტირების ანგარიშები 2-10 გვერდიანი უნდა იყოს, ამჟამინდელი 100 გვერდის ნაცვლად. ძირითადად, ინსპექტირების ანგარიში ოპერატორს საკვანძო შეტყობინებებს გადასცემს იმის შესახებ, თუ რა უნდა გამოსწორდეს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის. ინფორმაცია უნდა იყოს მკაფიო, ლაკონური და პრიორიტეტების მიხედვით დალაგებული. ზედმეტად ტექნიკური ენით დაწერილი 100-გვერდიანი ანგარიში საფრთხეს ქმნის, რომ ობიექტები ან არ წაიკითხავენ, ან ვერ გაიგებენ მას კარგად და ასევე, ძვირფას დროს ართმევენ ინსპექტორებს.
72. პოზიტიურ დინამიკას წარმოადგენს ის, რომ საქართველოში რისკის შეფასებას ოფიციალური სახე აქვს. ლოგიკურია, რომ მაღალი კატეგორიის რისკის მქონე ობიექტებში უფრო ხშირად და უფრო სიღრმისეული შემოწმებები ტარდება. ასევე პოზიტიურია ის, რომ შემოწმებათა გეგმა საჯაროა, თუმცა კი, შემოწმების გრაფიკი, ტაქტიკები და დეტალები, როგორცაა შემოწმების ჩატარების დრო, კონფიდენციალურად უნდა დარჩეს. რისკის შეფასება მოქნილი უნდა იყოს, რათა ასახოს ისეთი ფაქტორები, როგორცაა კანონმდებლობის მოთხოვნებთან წინა შესაბამისობა, ემისიების ცვლილება ან სტრატეგიული მიზნები. კატეგორიების გადახედვა სამ წელიწადში ერთხელ საკმარისი მოქნილობის საშუალებას არ იძლევა.

## ეკოლოგიური აუდიტი

73. ინსპექტირების გარდა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ობიექტების ეკოლოგიურ აუდიტებს ატარებს. ეკოლოგიური აუდიტი არის „მიმდინარე საქმიანობის განხორციელების პროცესში ამ საქმიანობის ტექნიკური, ეკოლოგიური და სოციალური მაჩვენებლების კომპლექსური ანალიზი, რომელიც მოიცავს მთელ საწარმო-ტექნოლოგიურ ციკლს“. აუდიტის „ტარდება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების საშუალებების დადგენისა და აღნიშნული საქმიანობის გარემოსდაცვით ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით და რომლის შედეგად დგება ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში“ (საქართველოს პარლამენტი, 2017). შიდა ეკოლოგიური აუდიტი აანალიზებს ოპერატორის მხრიდან გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებსა და გარემოსდაცვით სტანდარტებთან, მათ შორის, ოპერატორის მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და ნორმებთან, შესაბამისობას. ასევე აანალიზებს თავისი „გარემოსდაცვითი მართვის სისტემის“ ეფექტურობას (საქართველოს პარლამენტი, 1997). მეორე მხრივ, ინსპექტირება შეიძლება იყოს ან რეგულირების ობიექტის საქმიანობის ვიზუალური დათვალიერება, ან ანალიზი, რომლის მიზანია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების შემოწმება (საქართველოს მთავრობა, 2015).
74. აუდიტი ტარდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით ან ოპერატორის ინიციატივით. აუდიტთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს აუდიტის ინიციატორი. შესაძლებელია აუდიტის შედეგების საზოგადოებისთვის გაცნობა, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან საწარმოო საიდუმლოებას.
75. აუდიტის ხარჯები აუდიტის სუბიექტმა კომპანიამ უნდა დაფაროს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სუბიექტია მისი ინიციატორი, რათა დაკმაყოფილებული იქნას „დამზინძურებელი იხდის“ პრინციპი. ამ ტიპის მოთხოვნა, როგორც წესი, ჩადებულია ზოგად გარემოსდაცვით

კანონში. ეს ასევე შეიძლება განხორციელდეს რეჟიმისთვის დამახასიათებელი კონკრეტული კანონმდებლობით, თუმცა ამ მიდგომას შეიძლება მეტი დრო დასჭირდეს.

## ლაბორატორიული მონიტორინგი და ანალიზი

76. გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო პასუხისმგებელია გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის სისტემის საერთო კოორდინაციაზე და იმაზე, რომ მონიტორინგის შედეგები ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებრიობისათვის (საქართველოს პარლამენტი, 1997).
77. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს აქვს თავისი საკუთარი ლაბორატორია, რომელშიც ტარდება მარტივი სინჯების აღება და ანალიზი. თუმცა, უფრო სრულყოფილი ტესტირების პროცესში ჩართულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო (გეს). გარკვეული ოდენობის სინჯების აღება კერძო კომპანიების მიერაც ხორციელდება.
78. გარემოს ეროვნულ სააგენტოში ტარდება ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის მდგომარეობის ინტენსიური გარემოსდაცვითი მონიტორინგი; სააგენტოში შედის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური; ის ასევე ახორციელებს შავი ზღვის სანაპიროზე ზღვის წლის ხარისხის მონიტორინგს. გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს სამ ლაბორატორიას, რომლებიც ჩვეულებრივ სამუშაო საათებში ატარებენ გარემოდანსინჯების აღებას. გეს-ი მონიტორინგის, მათ შორის, ინსპექტირების, შესახებ ინფორმაციას თავის ვებგვერდზე აქვეყნებს. იგი ასევე გამოსცემს ყოველკვარტალურ და ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენებს.
79. მთავრობა თავისი ეკოლოგიური მონიტორინგის სადგურების ქსელს აფართოებს. ზედაპირული წყლის ხარისხის მონიტორინგის სადგურების ქსელი 2009 წელს არსებული 41 სადგურიდან 2014 წელს 69-მდე გაიზარდა, რომლებიც განლაგებულია 40 წყლის ობიექტზე. ასევე გაიზარდა მონიტორინგის პარამეტრების რაოდენობაც (UNECE, 2016). საქართველო აპირებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტი მონიტორინგის 27 ავტომატური სადგურის დამონტაჟებას, წყლის ხარისხის მონიტორინგის განხორციელებას 200 ლოკაციაზე და ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგის განხორციელებას 70-მდე ლოკაციაზე (გდსმს, 2021). საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გეგმაში აქვს მიწისქვეშა წყლის მონიტორინგის გაძლიერება (გდსმს, 2021).
80. საქართველო ონლაინ მონიტორინგის სისტემებს აუმჯობესებს, მათ შორის, ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ონლაინ სისტემის<sup>9</sup> და ეროვნულ სატყეო სააგენტოში შექმნილი ტყის რესურსების მაღალტექნოლოგიური ციფრული მონაცემთა ბაზის საშუალებით, რათა შესაძლებელი იყოს მათზე დროთა განმავლობაში დაკვირვება და აღრიცხვა.
81. გარემოს ეროვნული სააგენტო სხვადასხვა სახის მხარდაჭერას იღებს შესაძლებლობათა გაძლიერების კუთხით, რაც მისი მონიტორინგის პოტენციალის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. რამდენიმე მაგალითი მოყვანილია 4.1. ჩანართში.

<sup>9</sup> <https://air.gov.ge/en/>

#### ჩანართი 4.1. საქართველოში გარემოსდაცვითი მონიტორინგის შესაძლებლობათა გაძლიერების მაგალითები

- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაძლიერება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. შედეგები ამ ეტაპზე მოიცავს რჩევებს აუცილებელი მონიტორინგის სადგურებსა და მათ ტექნოლოგიურებასთან დაკავშირებით, მონაცემთა ვერიფიკაციას და მონაცემთა დამუშავებას, ასევე ჰაერის კონცენტრაციის შემოწმებასთან დაკავშირებულ მეთოდურ მითითებებს. პროექტის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაციაა ქვეყანაში ამჟამად არსებული მონიტორინგის რვა სადგურების რიცხვის გაზრდა. ამჟამად რვა ასეთი სადგური არსებობს.
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესება „ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუსი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებისათვის (EUWI+)“ პროექტთან თანამშრომლობით.
- ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის განვითარება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით.
- ხე-ტყის მასალის ციფრული საზომი საშუალების „თიმბეთერ“-ის განვითარება ესტონეთის მთავრობის დაფინანსებით. აღნიშნული ინსტრუმენტის მიზანია ანგარიშგების გამარტივება და ხის ზომების განსაზღვრა.

წყარო: (გდსმს, 2021).

82. მონიტორინგის სადგურების დაფარვის არეალის გაფართოებისა და გაციფრულებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინიციატივის მიუხედავად, აუცილებელია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების ლაბორატორიული მონიტორინგისა და ანალიზის არსებული დონის რამდენიმე მიმართულებით გაუმჯობესება.
83. პირველი, გარემოს ეროვნული სააგენტოს სამივე ლაბორატორიაში არასაკმარისია არსებული შესაძლებლობები და ადამიანური რესურსები, შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით მიღებული მნიშვნელოვანი მხარდაჭერის მიუხედავად. მეორე, საქართველომ უნდა დაადგინოს საჭირო მონიტორინგის სადგურების რაოდენობა, განსაკუთრებით მიწისქვეშა წყლების ხარისხთან დაკავშირებით და გადადგას ნაბიჯები მისი გაზრდის მიზნით, მათ შორის, დაფინანსების მოზიდვით. მან ასევე უნდა გააუმჯობესოს სადგურების ტექნოლოგია და ავტომატიზაცია. მესამე, იმის გათვალისწინებით, რომ მიწისქვეშა წყლების ხარისხი და რაოდენობა საქართველოსთვის სტრატეგიული გარემოსდაცვითი საკითხია, გარემოს დაცვის სააგენტომ უნდა გააუმჯობესოს მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის შესაძლებლობები და განავითაროს ზედამხედველობის სისტემა ძირითადი უბნების ირგვლივ. მეოთხე, არსებობს იმის საშუალება, რომ გაუმჯობესდეს პირველადი მონაცემების გამოყენება, მასზე წვდომა და შედარებითობა. საქართველოში არ არსებობს ლაბორატორიული ინფორმაციის მართვის სისტემა (LIMS).

#### კომპანიების მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად წარდგენა

84. საქართველოში კომპანიები ვალდებული არიან აწარმოონ თვითმონიტორინგი და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველწლიური ანგარიშები წარუდგინონ ნარჩენების, წყალსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შესახებ.
85. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი აცხადებს, რომ რეგულირების ობიექტი ვალდებულია აწარმოოს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგი ყველა საქმიანობისთვის, გარდა ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ზოგიერთი საქმიანობისა (საქართველოს მთავრობა, 1999). თვითმონიტორინგი მოიცავს გაფრქვევათა გაზომვას, გაფრქვევათა აღრიცხვის



წარმოებას და გაფრქვევათა ანგარიშგების წარმოებას. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას. საჯაროდ ხელმისაწვდომი „გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის“ (emoe.gov.ge) მეშვეობით ელექტრონული ანგარიშგების წარმოებამ 2017 წელს ქალაქში დაფუძნებული ანგარიშგება ჩაანაცვლა. შეგროვებული ინფორმაცია მოიცავს წლიურ ემისიებს და ინფორმაციას ემიტერის შესახებ (სახელი, მისამართი, ზუსტი ადგილმდებარეობა, საქმიანობის ტიპი, საწვავის და მასალის გამოყენება, წარმოების რაოდენობა და ა.შ.).

86. ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი მონიტორინგის წარმოება სავალდებულოა 2021 წლის 1 ივნისიდან ზოგიერთი საქმიანობისთვის (გდსმს, 2021). ეს ეხება 94 დიდ სტაციონარულ ობიექტს (კორკოტაძე, 2022). ისინი ვალდებული არიან, რომ დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდნენ. სისტემა მუდმივად იღებს მონაცემებს იმ მოწყობილობებიდან, რაც ოპერატორების მავნე ემისიების წყაროზე დამონტაჟებული (კორკოტაძე, 2022). 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, სისტემაში მხოლოდ 15 კომპანია იყო რეგისტრირებული (კორკოტაძე, 2022).
87. „ნარჩენების მართვის კოდექსში“ აღნიშნულია, რომ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც საქმიანობიდან გამომდინარე ეხებათ ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება ან/და დამუშავება და მათ, ვინც წლის განმავლობაში 2 ტონაზე მეტ არასახიფათო ნარჩენს (გარდა მუნიციპალური ნარჩენისა) ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენს წარმოქმნის, ნარჩენების აღრიცხვისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე ანგარიშგების ვალდებულება ეკისრებათ (საქართველოს პარლამენტი, 2015).
88. საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნულ კლასიფიკატორში მითითებულმა ზოგიერთმა სუბიექტმა, 2022 წლის იანვრიდან დაწყებული, ქალაქში შესრულებული ფორმების ნაცვლად, წყალღების, წყლით სარგებლობის და წყლის ჩაშვების შესახებ ანგარიშები იმავე ელექტრონული სისტემის გამოყენებით უნდა წარადგინონ, როგორც ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შემთხვევაში (emoe.gov.ge). საქართველო გეგმავს, რომ ეს ანგარიშგების სისტემა კიდევ უფრო გააფართოვოს.
89. საქართველო ასევე გეგმავს მიწის და ნიადაგის თაობაზე ანგარიშგების ელექტრონული სისტემის ჩამოყალიბებას 2025 წლისთვის.
90. დაუზუსტებელი მონაცემებით, ბევრი კომპანია, რომლებიც ვალდებული არიან უწყვეტად აწარმოონ ჰაერის მონიტორინგი, არ წარადგენენ თვითმონიტორინგის ანგარიშებს ან დაგვიანებით წარადგენენ. საჭიროა ზომების მიღება ასეთი შეფერხებების აღსაკვეთად და ანგარიშების დროული წარდგენის წახალისება. ასეთ ღონისძიებებში შეიძლება შევიდეს დაჯილდოების ისეთი მექანიზმები დროული წარდგენისთვის, როგორცაა შემცირებული გადასახადები ან ჯარიმები, ან სადამსჯელო ზომები დამრღვევთათვის, როგორცაა ყოველდღიური ჯარიმები.

## დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრი

91. საქართველოს ხელი აქვს მოწერილი „ორჰუსის კონვენციის“ „დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრის შესახებ“ (PRTR) ოქმზე და მის რატიფიცირებას აპირებს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აპირებს, რომ ფუნქციონირებადი PRTR შექმნას. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ არსებული ელექტრონული სისტემები ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების ანგარიშგებისა და წყლის ანგარიშგების მიმართ, ასევე დამუშავების პროცესში მყოფი ნარჩენების ანგარიშგების სისტემა სწორედ რომ PRTR-კენ გადადგმულ ნაბიჯებს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი ერთიანი ეროვნული PRTR, რათა უზრუნველყოფილი იქნას სხვადასხვა ინფორმაციის შეგროვება ერთ ადგილზე. საქართველოს მიზანი უნდა იყოს PRTR-ის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკის შემუშავებას, რისკის შეფასებას (თუკი ჯდება რისკის

შეფასების სქემაში) და აღსრულებას. ამ მიზნით, წახალისებულია კოორდინირებული გეგმის ამოქმედება, რათა მონაცემები სხვადასხვა არსებული და მომავალი ელექტრონული სისტემებიდან ერთად შეგროვდეს ერთ ცენტრალურ ადგილას.

## საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებული დამოუკიდებელი მონიტორინგი

92. მოსახლეობას და სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია, რომ 24 საათის განმავლობაში დარეკოს ცხელ ხაზის ნომერზე „153“ და დარღვევების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში 2021 წელს 2,866 შეტყობინება შევიდა დარღვევების შესახებ (კორკოტაძე, 2022). 2,592 შეტყობინება 2020 წელს, (გზდ, 2021), 3,259 შეტყობინება 2019 წელს (გდსმს, 2019) და 2,601 შეტყობინება 2018 წელს აღნიშნული ცხელი ხაზის მეშვეობით (გზდ, 2018). 2021 წელს მიღებული შეტყობინებების პირველი ხუთეული ეხებოდა სახერხი საამქროს ელექტრონულ ჟურნალს, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას, ტყის კანონმდებლობის დარღვევას, ნარჩენებით და სუნიტ დაბინძურებას (კორკოტაძე, 2022). ცხელი ხაზის გარდა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს აქვს SMS შეტყობინების სისტემა და ორი ელექტრონული ფოსტის მისამართი საჩივრების მისაღებად (კორკოტაძე, 2022). გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა უნდა ჩამოაყალიბოს მკაფიო პროცესი, იდეალურ შემთხვევაში - ელექტრონული, რათა თვალყური ადევნოს გარემოსდაცვითი საჩივრების განხილვას.
93. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს ჰყავს 24-საათიან რეჟიმში მომუშავე სწრაფი რეაგირების ჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა ბრაკონიერობა, ხე-ტყის უკანონო ჭრა და უკანონო თევზჭერა. 2022 წელს გუნდს ჰყავდა 103 თანამშრომელი, რაც მნიშვნელოვანი ზრდაა 2018 წლის 64-თან შედარებით (კორკოტაძე, 2022). გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი გეგმავს, რომ გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების პოტენციალი გაზარდოს და სრული გეოგრაფიული მოცვა უზრუნველყოს (გზდ, 2018). როგორც ჩანს, ეს ჯგუფი მუშაობს ნაკლებად მძიმე დარღვევებზე და ავარიებზე/შემთხვევებზე და რომ ამისათვის შესაძლებელია ჩვეულებრივი ინსპექტორების გამოძახება და 24-საათიან რეჟიმში რეაგირებისას მათი გამოყენება. როგორც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი აღნიშნავს, ეს ძირითადად კადრებისა და შესაბამისი კვალიფიკაციების ნაკლებობის, ასევე მძიმე დატვირთვისა და არასაკმარისი ანაზღაურების შედეგია. აუცილებელია 24-საათიანი რეაგირების პოტენციალის გაზრდა ისე, რომ უფრო სერიოზული ეკოლოგიური ავარიები/ინციდენტები მოიცვას, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, სპეციალისტის ჩარევას საჭიროებს.
94. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს ეკოლოგიურ მონიტორინგში. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები თვალყურს ადევნებენ „რიჩ მეტალს გრუპის“ (RMG) კომპანიების გარემოსდაცვით ვალდებულებებს. კომპანიას შეთანხმება აქვს დადებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, რომ ის მონიტორინგს გაუწევს თავის გარემოს დამაბინძურებელ საქმიანობას, რათა შეამციროს გარემოსთვის მიყენებული ზიანი (გდსმს, 2021).




# 5 გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა

## სადამსჯელო ღონისძიებების პირამიდის გამოყენება გარემოსდაცვითი ნორმების დაუცველობის დროს

95. 2020-22 წლებში გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. 2022 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 9,484 დარღვევა გამოავლინა, მათ შორის 9,080 ადმინისტრაციული, ხოლო 404 - სისხლისსამართლებრივი ხასიათის (კორკოტაძე, 2022). ყველაზე მეტად დარღვევები ეხებოდა ნარჩენების მართვის კოდექსს (24%), ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობას (16%), სატყეო კანონმდებლობას (13%), ხე-ტყის ტრანსპორტირებას (10%), თევზჭერისა და ნადირობის წესებს (9%) (კორკოტაძე, 2022). გარემოსდაცვით ნორმებთან შეუსაბამობის მრავალი მიზეზი არსებობს, მათ შორის სტიმულის ნაკლებობა ნებართვების მქონე კომპანიებისათვის, რომ დაიცვან გარემოსდაცვითი ნორმები ასევე მწვანე ტექნოლოგიის ნაკლებობა საწარმოებში, ასევე არაეფექტური სანქციები ნორმების დამრღვევთა მიმართ.
96. საკანონმდებლო ნორმების შესრულების უზრუნველყოფის პირამიდის შესაბამისად (სურ. 5.1), საქართველოში კანონმდებლობასთან შეუსაბამობაზე საპასუხოდ სხვადასხვა სახის სასჯელი არსებობს. სასჯელებში შედის მითითება დარღვევის აღმოფხვრაზე, საქმიანობის შეჩერება, ჯარიმები გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის, ჯარიმები სანებართვო და სალიცენზიო პირობების დარღვევისთვის, ჯარიმები გარემოსდაცვითი ნორმების დარღვევებისთვის, ნებართვის გაუქმება და საქმის აღძვრა სასამართლოში. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი წინასწარ აფრთხილებს ობიექტს მისაღები სანქციის შესახებ.

სურათი 5.1. კანონმდებლობის აღსრულების პირამიდა



97. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აღსრულებითი საქმიანობის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი არის ის, რომ მან მსგავს სიტუაციებში სამართალდამრღვევების მიმართ ერთი და იგივე მეთოდები უნდა გამოიყენოს (საქართველოს მთავრობა, 2015). თუ შემოწმების დროს კანონმდებლობასთან შეუსაბამობა გამოვლინდება, ისეთი გარემოებების ჩათვლით, რომლებიც უშუალო საფრთხეს უქმნის კანონდარღვევის მტკიცებულებას, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილმა საჯარო მოსამსახურემ აუცილებლად უნდა განახორციელოს მტკიცებულების მოპოვებისთვის საჭირო ღონისძიება, მათ შორის, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა, მტკიცებულების დალუქვა, ნიმუშების აღება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა (საქართველოს მთავრობა, 2015). ოფიციალურმა პირმა ასევე შესაბამისი საგანგებო საპასუხო ზომა უნდა მიიღოს. მას უფლება აქვს რეგულირების ობიექტს დაავალოს, რომ განახორციელოს გამოვლენილი დარღვევის აღმოსაფხვრელად საჭირო სავალდებულო ზომები გონივრულ ვადებში, გარემოს ეროვნულის სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტთან კონსულტაციით (საქართველოს მთავრობა, 2015). 2022 წელს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა გამოვლენილი დარღვევების გონივრულ ვადებში აღმოფხვრის მოთხოვნით წერილები გაუგზავნა 191 რეგულირების ობიექტს, ხოლო 2021 წელს - 96 ობიექტს (კორკოტაძე, 2022). გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს გენერალურ პროკურატურაში ან შინაგან საქმეთა სამინისტროში შეაქვს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე საქმეები და გარემოსთვის მიყენებული პოტენციურად დიდი ზიანის შემცველ საქმეები (1,000 ლარზე მეტი, დაახლოებით 278.5 ევრო), რასაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების თავისი მეთოდოლოგიით განსაზღვრავს.

98. 2021 წლის სექტემბრიდან, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შეუძლია შეზღუდოს სუბიექტის საქმიანობა კანონმდებლობით განსაზღვრულ გარემოებებში. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შეუძლია ნაწილობრივ ან მთლიანად შეზღუდოს რეგულირების ობიექტის საქმიანობა შემდეგ შემთხვევებში, თუ:

- ის საქმიანობას ნებართვის/ლიცენზიის გარეშე ახორციელებს;
- მისი საქმიანობა გარემოს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის და მისი აღმოფხვრა სავალდებულოა, თუმცა, ამის დაუყოვნებლივ განხორციელება შეუძლებელია;
- მისმა საქმიანობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან ან ჯანმრთელობას (კორკოტაძე, 2022).

საქმიანობის შეზღუდვა ძალაში რჩება რეგულირების ობიექტის მიერ აღნიშნული საფრთხეების აღმოფხვრამდე.

დადგენილება „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ უზრუნველყოფს რეგულირების ობიექტის საქმიანობის ნაწილობრივ ან მთლიანად შეზღუდვის დამატებით საფუძვლებს შემდეგ შემთხვევებში:

- გამწმენდი მოწყობილობის გამოუყენებლობა ან არარსებობა;
- კომპანიის ფუნქციონირების პერიოდში დამაბინძურებელ ნივთიერებათა დადგენილი ზღვრული ნორმების 5-ჯერ ან მეტჯერ გადაჭარბება;
- საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის ისეთი დარღვევა, რამაც გაუთვალისწინებელი გაფრქვევები გამოიწვია;
- აკრძალულ ზონაში საქმიანობის განხორციელება.

2022 წელს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 84 რეგულირების ობიექტს გაუგზავნა შეტყობინება საქმიანობის სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდვის მოთხოვნით (კორკოტაძე, 2022). ამ შეზღუდვების შეუსრულებლობისთვის საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილია შემდეგი ჯარიმები: 10,000 ლარიდან 30,000 ლარამდე (დაახლოებით 2,820 ევროდან 8,458 ევრომდე) პირველი დარღვევისთვის, ხოლო 20,000 ლარიდან 60,000 ლარამდე (დაახლოებით 5,639 ევროდან 16 916 ევრომდე) განმეორებით ჩადენილი დარღვევისთვის.


99. სისხლის სამართლის კოდექსის XXXVI თავი „დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ“ საკითხებს აწესრიგებს და რამდენიმე სახის დარღვევას მოიცავს.<sup>10</sup> სისხლის სამართლის სასჯელებში შედის ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო, თავისუფლების აღკვეთა, შინაპატიმრობა და თანამდებობის დაკავების აკრძალვა ან მუშაობის უფლების ჩამორთმევა.
100. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანახმად, კომპანიების უმეტესობა (დაახლოებით 70-80%) ასაჩივრებს მათზე დაკისრებულ სასჯელს. გასაჩივრების პირველი დონეა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, რის შემდეგაც საჩივრები სასამართლო სისტემაში გადაინაცვლებს.
101. საქართველოს გარემოსდაცვითი დანაშაულის შესახებ ცვლილებები შეაქვს სხვადასხვა კანონში. სხვა კანონებთან ერთად შესწორებები შედის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში; სისხლის სამართლის კოდექსში; ნარჩენების მართვის კოდექსში; კანონში „ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ“; კანონში „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“; კანონში გარემოს დაცვის შესახებ; და, სხვათა შორის, კანონში „ცხოველთა სამყაროს შესახებ“. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით უფრო მკაცრი ჯარიმები იქნება დაწესებული ლიცენზიის გარეშე წიაღისეულის მოპოვებისთვის, ხე-ტყის უკანონო ჭრისა და ხის მასალის ტრანსპორტირებისთვის (კორკოტაძე, 2022). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდება აკრძალული მოწყობილობებით თევზაობისთვის, როგორცაა ელექტრომოწყობილობებით თევზჭერა (კორკოტაძე, 2022).

### **გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადასახდელები და ადმინისტრაციული ჯარიმები (ფულადი მოსაკრებლები კანონმდებლობის დარღვევისთვის)**

102. გარემოს დამბინძურებლებთან მიმართებაში სახელმწიფო გადასახადები საქართველოში არ არსებობს. 2022 წელს კანონმდებლობის დარღვევებისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმების ოდენობამ 5,641,650 ლარი (დაახლოებით 1,913,779 ევრო) შეადგინა (კორკოტაძე, 2022). სურათი 5.2 გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციული ჯარიმების შეფარდების ტენდენციას ასახავს 2013-22 წლებში.

<sup>10</sup> სამუშაოების დროს გარემოსდაცვით წესების დარღვევა, სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნების დარღვევა, გარემოსთვის სახიფათო ნივთიერებების ან ნარჩენების დამუშავების წესების დარღვევა, ცოცხალი გენმოდირებული ორგანიზმების გამოყენების საქმიანობის წესების დარღვევა, ვეტერინარული მედიცინის სფეროში არსებული კანონმდებლობის დარღვევა, წყლის გამოყენების წესების დარღვევა, წყლის დაბინძურება, ზღვის დაბინძურება, ადამიანის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმების ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების ან სხვა ნარჩენების/მავნე ნივთიერებების ზღვაში ჩაშვების შეუტყობინებლობა; საქართველოს კონტინენტური შეღვის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შესახებ კანონმდებლობის დარღვევა; მიწის სარგებლიანობის დაკარგვა, წიაღისეულით სარგებლობის, ან მათი დაცვის წესების დარღვევა გარკვეულ შემთხვევებში, ან სამთო საწარმოს ან მიწისქვეშა ნაგებობის ექსპლუატაციის წესების დარღვევა; წიაღისეულით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე, უკანონო თევზჭერა, უკანონო ნადირობა, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი და გადაშენების პირას მყოფი გარეული ცხოველის ან მცენარის ადგილმდებარეობის დარღვევა; ხეების და ბუჩქების უკანონო ჭრა, ტყის ან მცენარის დაზიანება ან განადგურება და დაცული ტერიტორიის დარღვევა.

**სურათი 5.2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შეუსრულებლობისთვის დაკისრებული ჯარიმები 2013-2022 წლებში**



წყარო: (გდსმს, 2019), (ნ. კორკოტაძე, 2022).

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ დაკისრებულ ჯარიმებს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო ამოიღებს და ამ თანხებს ცენტრალურ ბიუჯეტში მიმართავს. ამოღებული ჯარიმები არ არის განკუთვნილი გარემოსდაცვითი საქმიანობისთვის და არ არის განკუთვნილი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საქმიანობისთვის. 2022 წელს დაკისრებული ჯარიმების თითქმის ნახევარი იქნა ამოღებული, რაც დაბალია (კორკოტაძე, 2022). საჭიროა ჯარიმების ამოღების დაბალი მაჩვენებლის გაუმჯობესება, ან ამის ნაცვლად აღსრულების სხვა ღონისძიებების გათვალისწინება.

**შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმების გამოყენების ანალიზი**

103. კანონები, რომლებიც გარემოსდაცვითი დარღვევებისთვის სასჯელების საკითხებს აწესრიგებს, უნდა გადაიხედოს და განახლდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიზნის შესაფერისი იყოს. კანონი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ 1984 წლით თარიღდება. მიუხედავად იმისა, რომ მასში პერიოდულად ხდებოდა შესწორებების შეტანა უფრო ახალ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ის მოძველებულია. ასევე მოძველებულია 1999 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს მთავრობა ამ კუთხით უკვე ახორციელებს ზომებს. ის ასევე აპირებს გადახედოს კანონს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ და ჰაერის დაბინძურებისთვის დაწესებულ სასჯელებს, რათა ისინი ევროპულ სტანდარტებს დაუახლოვდეს (გდსმს, 2020).
104. აუცილებელია შეიქმნას ერთი ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება საქართველოში კანონის აღსრულების პოლიტიკა და ჩამოთვლილი იქნება არსებული ჯარიმები და აღწერილი იქნება, თუ როდის არის შესაძლებელი მათი გამოყენება. ამ დოკუმენტით უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ შედარებადი სამართალდარღვევების მიმართ მიდგომა მსგავსი იყოს. ის ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს აღსრულების პოლიტიკის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით. ასეთი დოკუმენტით შესაძლებელი გახდება იმ კრიტიკის დაძლევა, რაც სააღსრულებო მოქმედებების შეუსაბამობისა და კორუფციის შესახებ არსებობს. ამგვარი პოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტების

რამდენიმე მაგალითია „აღსრულებისა და სანქციების პოლიტიკა ინგლისში“ (მე-7 თავი ყურადღებას ამახვილებს „აღსრულების ვარიანტებზე“) (Environment Agency, 2019) და „გარემოსდაცვითი ნორმების აღსრულების ეროვნული სტრატეგია ნიდერლანდებში“ (Circabc, 2014).

105. კანონმდებლობის შეუსრულებლობაზე საპასუხოდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ძირითადად ადმინისტრაციულ ჯარიმებს იყენებს. თუმცა, მან უფრო მეტად უნდა გამოიყენოს სხვა ინსტრუმენტები, როგორცაა, მათ შორის, აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, დამრღვევების დასახელება და შერცხვენა. აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებში, დამრღვევი მარეგულირებელს ნებაყოფლობით სთავაზობს ადგილობრივი გარემოს გამოსწორებას და აღდგენას, ასევე, შეუსაბამობის კიდევ განმეორების თავიდან აცილებას. სანაცვლოდ, მარეგულირებელი ფულად ჯარიმებს აუქმებს ან ამცირებს (Mazur, 2022). დამნაშავეს ასევე შეუძლია ნებაყოფლობით გადარიცხოს თანხა, როგორც წესი, საქველმოქმედო ორგანიზაციაში, რათა კანონდარღვევა და მისი შედეგები აანაზღაუროს. აღსრულების ღონისძიებები განხილული უნდა იქნას იმ შემთხვევებში, როცა ამ დარღვევის გამო დევნის აღძვრა, რაც, როგორც წესი, ძვირადღირებულია ხოლმე, საზოგადოებრივ ინტერესებში არ შევიდოდა. ამით შეიძლება დაიძლიოს პოლიციის მხრიდან ჩარევის ნაკლები სურვილი ან შესაძლებლობა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი თავის ვებგვერდზე აქვეყნებს სტატიებს ნორმებთან შეუსაბამობის შემთხვევების შესახებ, მაგრამ უფრო ხშირად შეიძლება დამრღვევების დასახელების და შერცხვენის მიდგომის გამოყენება. დეპარტამენტმა უნდა განაგრძოს კანონის აღსრულებაზე მიმართული თავისი ღონისძიების, მათ შორის, დაკისრებული ჯარიმების, შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.
106. შესწავლისას დადგინდა, რომ ნებართვის მქონე ზოგიერთ ობიექტს არ აქვს ხარისხიანი გამწმენდი მოწყობილობები ან ისინი ვერ ახერხებენ არსებული ტექნიკური საშუალებების სათანადოდ ოპერირებას. სასარგებლო იქნებოდა, რომ არსებობდეს კომპანიებთან ორმხრივად შეთანხმებული გეგმები მათი ტექნიკური საშუალებების განახლების მიზნით, სადაც გაწერილი იქნებოდა სავალდებულოდ შესასრულებელი ვადები და ეტაპები, რომლებიც წინასწარ იქნებოდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან შეთანხმებული. ასეთი მოთხოვნების შეტანა შეიძლება სანებართვო პირობებში და გეგმის შეუსრულებლობას შესაძლებელია კომპანიისთვის გარკვეული სასჯელი მოჰყვეს შედეგად. ასეთი მიდგომა ხშირად გამოიყენება ევროპის მასშტაბით, როდესაც ხდება ახალ, უფრო გამკაცრებულ კანონმდებლობაზე გადასვლა.
107. კანონმდებლობის სერიოზული დარღვევის შემთხვევების მაღალი რიცხვის მიუხედავად, დარღვევების გამო სისხლის სამართლის ბევრი საქმე არ არის აღძრული. 2021 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა პროკურატურას/შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე 416 შემთხვევა, რომლებიც პატრულირების ან ინსპექტირების დროს იქნა აღმოჩენილი, 426 შემთხვევა – 2020 წელს, ხოლო 758 შემთხვევა – 2019 წელს. თუმცა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს არ აქვს ინფორმაცია ამ შემთხვევების შედეგების შესახებ. არ არიან გარემოსდაცვით საკითხებზე სპეციალიზებული პროკურორები, და ისინი რეგულარულად არ გადიან გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ კურსებს (ცნობილია მხოლოდ ერთი ტრენინგი, რომელიც მოსამართლეებისთვის იქნა ორგანიზებული გარემოსდაცვით საკითხებზე 2022 წლის დეკემბერში) (კორკოტაძე, 2022). უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებას დიდი დრო სჭირდება და ხარვეზები არსებობს მტკიცებულებების შეგროვებაში (კორკოტაძე, 2022). რეკომენდებულია აღსრულების ჯაჭვის გაძლიერება სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფის კუთხით. სასარგებლო იქნებოდა მიმოხილვის ჩატარება იმის გასარკვევად, თუ რატომ არ გამოიყენება სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფის ინსტრუმენტები და შემდეგ გვემუშავა მიღებულ შედეგებზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანი იქნებოდა პროკურორებთან მუშაობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საქმეების მომზადება მოხდეს იმ მიმართულებით, რომელიც აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს; პოლიციის თანამშრომლებისთვის, პროკურორებისა და

მოსამართლეებისთვის საჭირო ტრენინგების ჩატარება ეკოლოგიურ საკითხებზე და გარემოს დაცვის საკითხებში სპეციალიზებული პროკურორების მომზადების გათვალისწინება.

108. სხვა ქვეყნებთან შედარებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მოყვანილი ჯარიმები შედარებით დაბალია. ბევრი ჯარიმა დიდი ხანია არ გადასინჯულა და არ არის კორექტირებული ინფლაციის გათვალისწინებით. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი და იმავე დონის ჯარიმა დგინდება კრიტიკული და არაკრიტიკული სანებართვო პირობების დარღვევისთვის (კორკოტაძე, 2022). გარკვეულ შემთხვევებში, ჯარიმების დონეები ბოლო წლებში გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ისინი გაიზარდა 2021 წელს სამრეწველო ემისიებისთვის, რომლებიც არ იყენებენ მტვრის შეგროვების სისტემას, და სანებართვო პირობების შეუსრულებლობისთვის, ასევე ნებართვის გარეშე ოპერირებისთვის (კორკოტაძე, 2022). თუმცა, ჯარიმის დონეები კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს, რათა დამაბინძურებელი სუბიექტების გადარწმუნება მოხდეს. ამასთან, ჯარიმები ინდექსირებული უნდა იყოს ინფლაციის გათვალისწინებით და დანაშაულის სიმძიმეს უნდა ასახავდეს.

## გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დებულებები

### საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ

109. საქართველომ 2021 წლის 2 მარტს მიიღო კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ძალაში 2022 წლის 1 ივლისს შევიდა. კანონი, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივის გადმოღებას (ELD), ევროპელ ექსპერტებთან ერთად შემუშავდა. ის ჩაანაცვლებს მთავრობის დადგენილებით ადრე დამტკიცებულ გარემოსდაცვითი ზიანის გამოთვლის მეთოდოლოგიებს.
110. კანონი მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის რეჟიმის გაძლიერების პროცესში და ისეთ საკითხებს ეხება, როგორცაა გარემოსდაცვითი ზიანის პრევენცია ამგვარი ზიანის გარდაუვალი საფრთხის შემთხვევაში, ზიანის შერბილება, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსწორება და გარემოსდაცვითი ზიანის ფულადი კომპენსაცია. კანონის I დანართში მოცემულია ბიომრავალფეროვნების, მიწისა და წყლის მნიშვნელოვანი ზიანის დადგენის კრიტერიუმები, ხოლო II დანართი იმ საქმიანობას განსაზღვრავს, რომლებიც განსაკუთრებით სახიფათოა გარემოსთვის (საქართველოს პარლამენტი, 2021).
111. კანონი გარემოს დამბინძურებელ კომპანიებს ავალდებულებს, რომ გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრისთვის თანხა გადაიხადონ და შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები განახორციელონ დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მიზნით (გდსმს, 2021). გამოსასწორებელ ღონისძიებებში შედის:
- პირველადი გამოსწორება (დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა);
  - დამატებითი გამოსწორება (დაზიანებული ბუნებრივი რესურსების/გაუარესებული ეკოლოგიური მომსახურებებისთვის სანაცვლო/ეკვივალენტური ალტერნატივის შექმნა მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე);
  - საკომპენსაციო გამოსწორება (შუალედური დანაკარგების კომპენსაცია).
- დამატებითი და საკომპენსაციო ღონისძიებები განიხილება, როდესაც გარემოს აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში შეუძლებელია, ან თუ პირველადი აღდგენითი ღონისძიებები ძალიან ძვირია, ან არაგონივრულად დიდ დროს მოითხოვს.
112. კანონი ადგენს ჯარიმას 1,000-8,000 ლარის (დაახლოებით 351-2,810 ევრო) ოდენობით სხვადასხვა შემთხვევისათვის. ეს მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როცა დამბინძურებელი არ შეატყობინებს ხელისუფლებას გარემოსთვის ზიანის მიყენების შესახებ, არ შეიმუშავებს



აღდგენის გეგმას, არ ასრულებს პრევენციულ ან შემარბილებელ ღონისძიებებს ან აღდგენის გეგმით გათვალისწინებულ გამოსასწორებელ ღონისძიებებს, ან ოპერირებს გარემოსდაცვითი დაზღვევის გარეშე.

113. კანონი გარემოსდაცვითი ღონისძიებების „გარემოსდაცვითი პროგრამის“ შექმნას ითვალისწინებს. ამ პროგრამის ფარგლებში გარემოს დამბინძურებლისაგან ფულადი კომპენსაცია იქნება ამოღებული. პროგრამა ასევე აწესებს სავალდებულო შენატანს სარეაბილიტაციო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული გამოსასწორებელი ღონისძიებების სავარაუდო ღირებულების 2%-ის ოდენობით. გარემოსდაცვითი ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს ზიანის პრევენციას, დაზიანებული გარემოს აღდგენას, ზოგად გაუმჯობესებას, კვლევით საქმიანობას ან სხვა ღონისძიებებს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განსაზღვრავს პროგრამულ თანხებს სამთავრობო კომისიის რეკომენდაციით.
114. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის შესრულებაზე ერთდროულად პასუხისმგებელია გარემოს ეროვნული სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. გარემოს ეროვნული სააგენტო ამტკიცებს გამოსასწორებელ ღონისძიებებს გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანისთვის, ასევე დამბინძურების მიერ შემუშავებულ აღდგენის გეგმას. ამას გარდა, სააგენტო უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას გეგმის დამტკიცებაში და გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის ფინანსური უზრუნველყოფის ოდენობას/საშუალებას განსაზღვრავს. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი აღმოაჩენს და აფასებს გარემოს მიმართ მიყენებულ ზიანს, ახორციელებს ან ზედამხედველობას უწევს პრევენციულ და შემარბილებელ ზომებს და ზედამხედველობას უწევს აღდგენის სამოქმედო გეგმის განხორციელებას.
115. საქართველო ამჟამად კანონქვემდებარე აქტების შემუშავების პროცესშია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. კანონქვემდებარე აქტები შემდეგ საკითხებს შეეხება: გარემოსთვის მიყენებული ზიანისათვის ფულადი კომპენსაციის განსაზღვრის პროცედურა; მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის კრიტერიუმები; მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შედგენის პროცედურა; და დამატებითი ღონისძიებების შერჩევის პროცედურა დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ზიანის გამოსასწორებლად.

### **საქართველოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის კანონის ევროკავშირის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივასთან შესაბამისობის ანალიზი**

116. მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომ საქართველომ მიიღო ცალკე კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, არსებული კანონმდებლობის კორექტირების ნაცვლად, რაც განხორციელების თვალსაზრისით სარისკო იქნებოდა. ევროკავშირის ბევრმა ქვეყანამ მიიღო ცალკე კანონი, მათ შორისაა ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი და სლოვაკეთი. თუმცა, საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ გარკვეულ ელემენტებს შეიცავს, რომლებიც არ ასახავს ევროკავშირის „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივის“ მკაცრ მოთხოვნებს, რომელთა შორისაა „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის გაფართოება, რომელზედაც აღნიშნული დირექტივა არის დაფუძნებული.
117. პირველი, საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებულებას პრევენციისა და გამოსწორების მოთხოვნების შესრულებისას, კერძო კი „გარემოსდაცვითი პროგრამის“ მეშვეობით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. უფრო კონკრეტულად, როდესაც ოპერატორი ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს პრევენციის/შერბილების კუთხით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შეუძლია, რომ მიმართოს „გარემოსდაცვითი პროგრამის კომისიას“, რათა მან საჭირო ზომები მიიღოს. ამ შემთხვევაში, ოპერატორმა უნდა აუნაზღაუროს ყველა ხარჯი „გარემოსდაცვით პროგრამას“. გარდა ამისა, თუ ოპერატორი ადმინისტრაციული

სანქციის მიღების შემდეგაც ვერ განახორციელებს გამოსასწორებელ ღონისძიებებს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შეუძლია მიმართოს გარემოსდაცვით პროგრამას გამოსასწორებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად. ეს ფუნქცია არ არის მოცემული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივაში და ეს ქმნის რისკს, რომ „დამზინძურებელი იხდის“ პრინციპი დაირღვეს. გარემოსდაცვითი ფონდი „დამზინძურებელი იხდის“ პრინციპს დაარღვევს, თუკი სუბსიდირებას გაუწევს ოპერატორის მიერ პრევენციის, ან გამოსწორებისთვის გაწეულ ხარჯებს, ან როცა ოპერატორის საქმიანობის შედეგად სხეულის ან ქონების დაზიანების შესახებ კომპენსაციის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს (European Commission, 1993). ასეთი სუბსიდიები მაშინ ხდება, როდესაც დამზინძურებელს არ ეკისრება მიყენებული ზიანის სრული ღირებულების ანაზღაურება, და ფონდის სხვა კონტრიბუტორებს მოუწევთ იმ დეფიციტის დაფარვა, რაც არსებობს დამზინძურებლის მიერ ფონდში შეტანილ წვლილსა და ზიანის ღირებულებას შორის. ეს შეიძლება მოსალოდნელი იყოს საქართველოში ამჟამად არსებული მარეგულირებელი მიდგომით. ფინანსური უზრუნველყოფის მოთხოვნები უნდა იქნას გამოყენებული ასეთი შედეგის თავიდან ასაცილებლად.

118. მეორე, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი მიუთითებს, როგორც ჩანს, რომ კანონი არ ვრცელდება მიწის კერძო მესაკუთრისთვის მიყენებულ ზიანზე. თუ ასეა, ეს მკვეთრად შეზღუდავს პასუხისმგებლობის შესახებ კანონის ფარგლებს და მარეგულირებელ ფუნქციას. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში ნათქვამია, რომ ის არ ვრცელდება „*კერძო მესაკუთრისთვის*“ ზიანის მიყენებაზე, რაც არ გამორიცხავს ამ კერძო მესაკუთრის უფლებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვოს ზიანის მიმყენებელს მიყენებული ზიანის ანაზღაურება“. ევროკავშირის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივა არ ვრცელდება „*კერძო საკუთრების დაზიანებაზე*“, მაგ. როგორცაა ავტომობილი, სახლი ან სხვა ნივთები, მაგრამ ეს არ „ზემოქმედებს არც ერთ უფლებაზე“ ამ ტიპის დაზიანებასთან დაკავშირებით (EU ELD, პუნქტი 14). ეს ნიშნავს, რომ სარჩელი კერძო საკუთრების მიყენებული ზიანის შესახებ კვლავ შეიძლება განხილულიყო სასამართლოში სამოქალაქო წარმოების გზით. თუმცა, ეს ქმედება არ ეხებოდა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივის დარღვევას, რადგან სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ქმედებები მის ფარგლებს სცდება. თუმცა, ევროკავშირის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივა კვლავ ვრცელდება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე. როგორც ჩანს, საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ბუნდოვანს ხდის ევროკავშირის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივის ჭეშმარიტ მასშტაბს, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწასთან დაკავშირებით. ეს უნდა განიმარტოს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ‘გ’ ქვეპუნქტის გადამუშავების გზით. ამ დებულების ფარგლები გადამწყვეტია იმისთვის, რომ საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ქმედითი გახდეს და უფრო ფართოდ იქნას უზრუნველყოფილი მისი თავსებადობა ევროკავშირის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივასთან.
119. მესამე, საქართველოს კანონში მოცემული განმარტება „გარემოსთვის მიყენებული ზიანი“ და „სამრეწველო ავარია“ ვიწრო და შეუსაბამოა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივასთან. საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ განსაზღვრავს ტერმინს „გარემოსთვის მიყენებული ზიანი“ როგორც სამრეწველო ავარიით ან/და პირის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებით გამოწვეული გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება.“ „სამრეწველო ავარია“ განმარტება როგორც „აფეთქება, ხანძარი ან საშიში ნივთიერების (ნივთიერებების) გაჟონვა, რომელიც გამოწვეულია *ობიექტზე* ტექნოლოგიური (საწარმოო) პროცესების უკონტროლო განვითარებით და რომელიც *უეცარ*, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და გარემოს, როგორც ამ ობიექტის შიგნით, ისე მის გარეთ“. თუმცა, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივა არ შემოიფარგლება მხოლოდ ობიექტებით და შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, დამზინძურებელი ნივთიერებების ჩაღვრას ტრანზიტის დროს. გარემოსდაცვითი

პასუხისმგებლობის დირექტივის მიხედვით ასევე არ არსებობს მოთხოვნა, რომ გარემოსთვის მიყენებული ზიანის „უეცარი“ იყოს.

120. მეოთხე, საქართველოს კანონის I დანართში მოცემული „მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელი კრიტერიუმები“ არ არის თავსებადი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივასთან, ან ევროკომისიის 2021 წლის სახელმძღვანელო დოკუმენტთან გარემოსდაცვითი ზიანის შესახებ (European Commission, 2021). I დანართში მნიშვნელოვანი ზიანის კრიტერიუმები გარკვეულწილად „თვითნებურია“. ევროკომისიის გაიდლაინებში ტერმინის „მნიშვნელოვანი“ განმარტება არის „ობიექტური, ტექნიკური შეფასების საკითხი გაზომვადი მონაცემების საფუძველზე“. თუმცა, საქართველოს კანონის I დანართში დადგენილი ზღვრები არამეცნიერულად გამოიყურება. მაგალითად, მიწის მნიშვნელოვანი ზიანი განსაზღვრულია როგორც შემთხვევა, როდესაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 500 კვადრატული მეტრი ან მეტი ფართობი დაბინძურებულია (დაბინძურების დონე ორჯერ ან მეტჯერ აღემატება საბაზისო მდგომარეობას). არც ამ ზღვარის სამეცნიერო საფუძველი არ არის ნათელი და არც ის, თუ რატომ ეხება ეს ზღვარი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწას.
121. გარდა ამისა, საჭიროა გაუმჯობესდეს ცოდნა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის და მისი აღსრულების შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ზოგიერთმა კომპანიამ არ იცოდა ამ კანონის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა მის შემუშავებაში.
122. და ბოლოს, საქართველოში უნდა გადაიდგას ნაბიჯები გარემოსდაცვითი ზიანის ფინანსური უზრუნველყოფის შემოღების მიზნით. „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ ახალი კანონის მე-13 მუხლი ადგენს, რომ განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია ჰქონდეს ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება, როგორცაა დაზღვევა ან საბანკო გარანტია. გარანტიის ფინანსური ღირებულება გარემოს მიმართ ზიანის რისკის შეფასებას უნდა ეფუძნებოდეს. ეს გამომდინარეობს 1997 წლის „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლიდან, სადაც მოცემულია მოთხოვნა, რომ გარემოს მიმართ მაღალი ზიანის მქონე საქმიანობისთვის დაზღვევა უნდა არსებობდეს. საქართველოში ახლა მუშავდება რეგულაცია ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განხორციელებით გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის შესახებ, რომელიც სავარაუდოდ 2023 წლის ივლისში უნდა ამოქმედებულიყო.

# 6 კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების ხელშემწყობი მექანიზმები

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების ნებაყოფლობით შესრულების წახალისების მიზნით ინფორმაციის გაზიარება, ინფორმირებულობის ამაღლება და ტრენინგი

123. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების წახალისება საქართველოში სხვადასხვა არხების მეშვეობით ხორციელდება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტები ახდენენ ინფორმაციის ონლაინ გაზიარებას, ასევე ორგანიზებას უკეთებენ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების და გარემოსდაცვითი რეგულაციების შესახებ ინფორმირებულობის ასამაღლებელ და ტრენინგის ღონისძიებებს.

## ინფორმაციის მიწოდება და ცნობიერების ამაღლება

124. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური ვებგვერდი, ხოლო გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს თავისი საკუთარი ვებგვერდები აქვთ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვებგვერდზე აქვეყნებს ყველაწარმოებულ გარემოსდაცვით ნორმას, მათ შორის, გარემოსდაცვით კანონებს და კანონპროექტებს, დადგენილებებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რეგულაციას თავის კომპეტენციებზე და თავისი დეპარტამენტების დებულებებს. მისი ყოველწლიური ანგარიშები ასევე მოიცავს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ საქმიანობებსაც.

125. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი თავის ვებგვერდზე სხვადასხვა სახის შესაბამის ინფორმაციას აქვეყნებს, მათ შორისაა:

- ბრძანებები, კანონები, დადგენილებები და საერთაშორისო ხელშეკრულებები;
- ინსპექტირების გეგმები და ანგარიშები;
- წლიური ანგარიშები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას თავისი ორგანიზაციული სტრუქტურისა და ბიუჯეტის, შესაძლებლობების გაძლიერების თაობაზე, ამას გარდა, საინფორმაციო სისტემების განვითარების და თავისი ცხელი ხაზის „153“-ის შესახებ, ასევე დარღვევების და ინსპექტირების ამსახველ სტატისტიკას, ინფორმაციას პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და მომავალი წლის გეგმების შესახებ;
- სიახლეები გამოვლენილი დარღვევების შესახებ, რომლებიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას სამართალდარღვევის მასშტაბის, ადგილმდებარეობის და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეაგირების შესახებ, დარღვისთვის დამახასიათებელ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად. 2019 წლის ივლისიდან 2021 წლის ივლისამდე გამოქვეყნებულ ახალ ამბებს შორის 170-ზე მეტი შეტყობინება დარღვევების შესახებ იყო.

- სიახლეები კანონმდებლობის შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობების შესახებ დროის სხვადასხვა პერიოდებისთვის, მაგალითად, ყოველთვიური სტატისტიკური მონაცემები, ექვსი თვის სტატისტიკა, ასევე სტატისტიკა ნადირობის სეზონის განმავლობაში, და ა.შ.
- ვიდეოებს, ცალკე ნაწილში, რომელთაგან ზოგიერთი ჯარიმებისა და დარღვევების შესახებაა, რაც ხელს უწყობს დამნაშავეთა „საჯაროდ დასახელებას და შერცხვენას“;
- ზოგადი ინფორმაცია, მათ შორის პერსონალით დაკომპლექტება, სახელმწიფო შესყიდვები და სახელმწიფო ქონების პრივატიზება „პროაქტიულად გამოქვეყნებული დოკუმენტების“ ჩანართში, ასევე ინფორმაცია დაფინანსების შესახებ;
- გვერდი „ხშირად დასმული შეკითხვების“ შესახებ.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი გეგმავს განახლოს ვებგვერდი და პროაქტიულად გამოაქვეყნოს ინსპექტირების ანგარიშები, ასევე ინფორმაცია გამოვლენილი დარღვევების შესახებ.

126. ამასთან, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოსახლეობას აწვდის ინფორმაციას „153“ ცხელი ხაზის მეშვეობით, რომლის დახმარებითაც ის ასევე იღებს შეტყობინებებს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შესახებ. ის ასევე ფეისბუქის გვერდსაც იყენებს.
127. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მხრიდან კანონმდებლობის აღსრულების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების ღონისძიებების უმეტესობა ახალი ამბების სტატიებით ქვეყნდება თავიანთ შესაბამის ვებგვერდებზე. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტატიები ძირითადად ტყის რესურსებით სარგებლობას და ნადირობას ეხება და, როგორც წესი, წელიწადის დროებს შეესაბამება.
128. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული ცნობიერების ამაღლებისა და სხვა კამპანიების შესახებ. სულ ბოლო მაგალითებია „მწვანე ჯილდო“ მასწავლებლებისთვის, გარემოსდაცვითი და სასოფლო-სამეურნეო განათლებისთვის; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით წამოწყებული კონკურსი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ტყის მდგრადი მართვის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების კამპანიების შესაქმნელად, რომლებიც ახალგაზრდებზეა ორიენტირებული (გდსმს, 2021; Angenda.ge, 2022); საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ორგანიზებული კონკურსი „სუფთა რეგიონი 2021“, რომლის მიზანია იმ სიკეთის დემონსტრირება, რომელიც მოაქვს ველური, სოფლისა და ქალაქის ბუნების დაბინძურების თავიდან აცილებას ან დასუფთავებას (გდსმს, 2021); ასევე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ დაფინანსებული GreenNovation-ის კონკურსი ეკოლოგიური გამოწვევების მოგვარების შესახებ (MEPA, 2021). ბევრი ინიციატივა დონორების მიერ არის დაფინანსებული და ძირითადად მიმართულია სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე. მაგალითად, ისინი უფრო მეტად ხალხს მოუწოდებენ არ დაანაგვიანონ გარემოდა ტყის და წყლის რესურსები პასუხისმგებლობით გამოიყენონ, ვიდრე აამაღლონ ცნობიერება გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და მათთან შესაბამისობის შესახებ.
129. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი თავისი ვებგვერდის ახალი ამბების სექციაში აქვეყნებს განმარტებით სტატიებს გარემოსდაცვითი რეგულაციების, გადასახდელების და ჯარიმების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურისა და დამოუკიდებელი ანგარიშების შესახებ. ამ სტატიებში ის ასევე აქტიურად უწევს რეკლამირებას თავის ცხელი ხაზის ნომერ „153“-ს. მიუხედავად ამისა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი აქტიურად არ აწარმოებს ინფორმირებულობის ამაღლების კამპანიას, მაგალითად, ვიდეოების, რადიოს, საინფორმაციო სტენდების გამოყენებით. ჩვენ

მოვუწოდებთ დეპარტამენტს, რომ უფრო მეტად პროაქტიული იყოს ამ თვალსაზრისით. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა, „სატყეო სექტორის საკომუნიკაციო სტრატეგიის“ ფარგლებში, 2019 წლის ოქტომბერში ჟურნალისტებთან შეხვედრა მოაწყო გარემოსდაცვით საკითხებზე. შეხვედრაზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა მედიის წარმომადგენლებს მოკლე ინფორმაცია მიაწოდა თავისი საქმიანობის, გეგმებისა და საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ, ასევე უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს (გზდ, 2019).

130. „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს გარემოსდაცვით ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, საზოგადოებაში გარემოს დაცვის და სასოფლო-სამეურნეო თემების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ამ საკითხებზე განათლების ამაღლებაში. ცენტრის ვებგვერდზე მოცემულია გარემოსდაცვითი ანგარიშები, სტრატეგიები და სხვა დოკუმენტები. ბოლო განახლების შედეგად, ვებგვერდი უკვე მისაწვდომი გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ცენტრი ასევე ახორციელებს თავისი ცნობიერების ამაღლების აქტივობების თვითშეფასებასაც.

### **ტრენინგი გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვის თემაზე**

131. „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ მთავარი ფუნქციაა განათლების მხარდაჭერა, ინფორმირებულობის ამაღლება, ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა და საზოგადოების მონაწილეობის წახალისება. ამას გარდა, ცენტრი აორგანიზებს ტრენინგებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, მათ შორის, ბავშვების, სტუდენტების, მასწავლებლების, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, როგორც წესი, უფასოდ. ტრენინგის თემები მრავალფეროვანია, მათ შორის, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ), პასუხისმგებლობა, ნარჩენები, მწვანე ეკონომიკა, *ეკოლოგიური დემოკრატია და ადამიანის უფლებები*. ამას გარდა, „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“ აორგანიზებს შეხვედრებს კერძო სექტორთან ისეთი საკითხების განმარტებისთვის, როგორცაა გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, ჰაერის ხარისხი, მდგრადი შესყიდვები და მგვ. ის ასევე ატარებს გარემოს დაცვის მენეჯერის მოსამზადებელ კურსებს წელიწადში 4-6-ჯერ, ანაზღაურების სანაცვლოდ. ცენტრი ამჟამად მუშაობს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ ახალ კანონთან დაკავშირებულ ტრენინგზე. კიდევ ერთი სამუშაო მიმართულებაა პროფესიული განათლების აკრედიტაციის მოპოვება.
132. თავად გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა დეპარტამენტები იშვიათად აწყობენ ასეთ ტრენინგებს კერძო სექტორთან. თუმცა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ზოგჯერ თანამშრომლობს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან ტრენინგის ჩატარების მიზნით. 2019 წლის ივლისიდან 2021 წლის ივლისამდე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა მხოლოდ ერთი ტრენინგი გამართა ამ მიმართულებით: შეხვედრა მეთევზეებთან თევზჭერის წესების ასახსნელად და ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დანაშაულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა დეპარტამენტები ასევე აწყობენ გარკვეული სახის ახსნა-განმარტებით ღონისძიებას სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რომელიც ძირითადად გარემოსდაცვითი ნორმების ახსნაზეა ორიენტირებული.

### **კანონმდებლობის შესრულების წამახალისებელი საქმიანობის შეფასება**

133. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საქმიანობას დადებითი გამოხმაურება აქვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამოქალაქო საზოგადოება და კერძო სექტორი



ზოგადად მიიჩნევა, რომ მთავრობა საკმარისად არ ზრუნავს ინფორმირებულობის ამაღლებაზე, გარემოსდაცვითი ნორმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და გარემოსდაცვითი ნორმებისა და მათი შესრულების შესახებ ტრენინგის ჩატარებაზე.

134. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, მომზადებულია ახალი კანონის პროექტი, ყველა ბიზნეს-ოპერატორი ინფორმირებული იქნება როცა მზად იქნება ახალი კანონმდებლობა და როცა ძალაში შევა კანონები. კანონმდებლობა ხელმისაწვდომია ინტერნეტში, თუმცა, კერძო სექტორის ზოგიერთმა წარმომადგენელმა არ იცოდა ისეთი მნიშვნელოვანი კანონების შესახებ, როგორცაა 2021 წელს მიღებული კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“.
135. ცოდნისა და ინფორმირებულობის ასეთ ნაკლებობას ის ფაქტიც აძლიერებს, რომ ინფორმაციის გაზიარების პროცესი უმეტესად უფრო პასიურია, ვიდრე პროაქტიული. ბიზნეს-ოპერატორებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მუდმივად სჭირდებათ ინფორმაციის მოძიება და ისინი არ არიან ინფორმირებულნი ონლაინ განახლებული ინფორმაციის შესახებ. საქართველომ უფრო პროაქტიული მეთოდები უნდა გამოიყენოს კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან გარემოსდაცვითი ნორმებისა და მათი შესრულების უზრუნველყოფის თემებზე კომუნიკაციისთვის. ეს შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, ინფორმაციის აქტიურ გავრცელებას ბიზნეს ასოციაციებისა და სავაჭრო პალატების მეშვეობით, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებების გარდა. ვინაიდან გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი სპეციალიზებულია გარემოსდაცვითი კონტროლის სფეროში, მას შეუძლია გაზარდოს და მუდმივად ცვალოს ცნობიერების ამაღლების ტიპები გარემოსდაცვითი ინსპექტირებისა და კანონალსრულების უზრუნველყოფის სხვა თემებზე (მაგ. სანქციები), რაც გიგც-ის მიერ განხორციელებულ ცნობიერების ამაღლების აქტივობებს შეავსებს.
136. უფრო მეტი ტრენინგი და საგანმანათლებლო ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს კერძო სექტორისთვის და ფართო საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ნორმების ახსნის კუთხით. „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა“ შეიძლება გაითვალისწინოს უფრო მეტი სასწავლო კურსის ჩატარება, მიუხედავად იმისა, რომ ამის განსახორციელებლად საჭიროა მისი სრულ განაკვეთზე მომუშავე პერსონალის რაოდენობის გაზრდა. ის უნდა დაეყრდნოს ონლაინ კურსების ჩატარების მხრივ საკუთარ გამოცდილებას (მწვანე ეკონომიკა, გარემოსდაცვითი დემოკრატია და გარემოსდაცვითი და სოფლის მეურნეობის განათლება სკოლებში) და მეტი ონლაინ ტრენინგი შესთავაზოს. იმედისმომცემია, რომ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“ ონლაინ მართვისა და ტრენინგ პლატფორმას ავითარებს GIZ-ის მხარდაჭერით.

# 7 დასკვნები და სამომავლო გეგმები

137. საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო გარემოს დაცვის სფეროში ყოვლისმომცველია. სხვა ახალ მნიშვნელოვან კანონებს შორის არის 2021 წელს მიღებული კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელიც გადასახდელებს აწესებს გარემოზე მიყენებული ზიანისთვის და მისი გამოსწორებისთვის. სამრეწველო ემისიების შესახებ კანონპროექტით, რომელიც 2023 წელს იქნა მიღებული, ქვეყანაში მალე დაინერგება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გამოყენება. საქართველოსთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყნის ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება. გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავების პროცესი და ეკოლოგიური კონტროლის საქმიანობა გამიჯნულია, რადგან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გზდ) პასუხისმგებელი გარემოს დაცვაზე კონტროლის საქმიანობაზე 2013 წლიდან. გზდ ატარებს გარემოსდაცვით ინსპექტირებას რისკის შეფასების 2019 წლის მეთოდის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს რისკის კატეგორიებს და ინსპექტირების ჩატარების შესაბამის სიხშირეს. შესამჩნევი გაუმჯობესებაა გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვისა და მის საზოგადოებისთვის გაზიარების პროცესში, განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერსა და წყალთან დაკავშირებით. გარემოსდაცვითი მონიტორინგის სადგურების რიცხვი იზრდება და ასევე გაძლიერდა გარემოს ეროვნული სააგენტოს (გეს) ლაბორატორიების შესაძლებლობები. კანონმდებლობის აღსრულების პირამიდის მიხედვით, საქართველო იყენებს სხვადასხვა სახის სასჯელს და ცოტა ხნის წინ მცირედით გაზარდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმების ოდენობები. ასევე ხდება გარემოსდაცვითი სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადასინჯვა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებული ცალკე ერთეული, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, მთლიანად არის ორიენტირებული გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაზიარებაზე, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციაზე გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ინფორმირებულობის ამაღლებისა და ტრენინგის საკითხებში. ცენტრის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხმა დაინტერესებული მხარეების მხრიდან შექებას დაიმსახურა.
138. იმისათვის, რომ ვებრძოლოთ საქართველოში არსებულ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევების მაღალ დონეს, აუცილებელია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემის სხვადასხვა ასპექტის გაუმჯობესება ქვეყანაში. სამწუხაროდ, არსებობს აზრი, რომ ქვეყნის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და სანებართვო პროცესის ზოგიერთი ასპექტი მოძველებულია. ის დაწესებულებები, რომლებიც გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობენ, განიცდიან კოორდინირების, აპარატურის და კვალიფიციური პერსონალის, ასევე ორმხრივად მისაღები ნებართვის გაცემის მონაცემთა ბაზების ნაკლებობას. შესაძლებელია ინსპექტირების რეჟიმისა და მონიტორინგის დანარჩენი ინსტრუმენტების გაუმჯობესება, ხელმისაწვდომი რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით. უნდა გაიზარდოს ინსპექტირების რაოდენობა და გაუმჯობესდეს მონიტორინგის ლაბორატორიების შესაძლებლობები. საქართველოს შეუძლია იფიქროს უფრო ფართო მასშტაბის ინსტრუმენტების გამოყენებაზე კანონმდებლობის დარღვევისთვის, ადმინისტრაციული ჯარიმების გარდა. ამასთან, უფრო პროაქტიულად უნდა გააზიაროს ინფორმაცია; უნდა გააფართოოს ინფორმირებულობის ამაღლებისა და სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან და გარემოსდაცვითი

კანონალსრულების სისტემასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, კერძო სექტორთან. ცხრილში 7.1 ჩამოთვლილია ის ძირითადი დადებითი მახასიათებლები და ხარვეზები, რომლებიც გამოვლინდა ამ ანგარიშში განხილულ საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემაში, ასევე მოყვანილია გაუმჯობესებისთვის სასურველი რეკომენდაციები.

139. ზოგადად, ქვეყანას მეტის გაკეთება შეუძლია „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის გამოყენების ხელშესაწყობად. ინსპექტორთა სამუშაო დროის ოპტიმალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საქართველომ უნდა დანერგოს კომპლექსური სტრატეგია კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევების შესამცირებლად და თავისი ძალისხმევა უფრო მეტად კანონმდებლობის დარღვევის იმ შემთხვევებზე მიმართოს, რომელთაც გარემოზე ყველაზე დიდი ზიანის გააჩნია. ამისათვის უნდა მოხდეს მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხების გამოვლენა, მათ მოგვარება და შედეგების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება.
140. საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემაში არსებული მრავალი პრობლემური საკითხი სხვა ქვეყნებში არსებული პრობლემების მსგავსია. შესაბამისად, საქართველომ უნდა განაგრძოს ისეთ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქსელებთან ურთიერთობა, რომლებიც გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფის საკითხებზე მუშაობენ, როგორცაა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელებისა და აღსრულების ევროკავშირის ქსელი (IMPEL). ამ გზით, საქართველო მათი პერსპექტივების და გამოცდილების გამოყენებას შეძლებს.
141. „ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) პროგრამა განაგრძობს საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემის მხარდაჭერის გზების მოძიებას. პროგრამა ამ მხარდაჭერას განახორციელებს როგორც თავისი საქმიანობით, ისე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის შესაბამის საერთაშორისო ქსელებთან კომუნიკაციის ხელშეწყობით.

**ცხრილი 7.1. დადებითი მახასიათებლების, ხარვეზებისა და რეკომენდაციების შეჯამება საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემის გაუმჯობესების მიზნით**

CAS სისტემის კომპონენტი	დადებითი მახასიათებლები, ხარვეზები და რეკომენდაციები
საკანონმდებლო და ნებართვის გაცემის პროცედურა	<p><b>დადებითი მახასიათებლები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ყოვლისმომცველია.</li> <li>• 2021 წელს მიღებული იქნა კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“.</li> <li>• 2023 წელს მიღებული კანონი სამრეწველო ემისიების შესახებ არის პროგრესი ინტეგრირებული ნებართვის გაცემისა და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვის თვალსაზრისით.</li> <li>• არსებობს სხვადასხვა არხი გარემოსდაცვით კანონებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისთვის.</li> <li>• გაუმჯობესდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.</li> <li>• არსებობს ნებართვის გაცემის პროცესის გაციფრულებასთან დაკავშირებული გეგმები, მათ შორის საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული ნებართვების მონაცემთა ბაზის და ბუნებრივი რესურსების „ელექტრონული ლიცენზირების სისტემის“ მეშვეობით.</li> </ul> <p><b>ხარვეზები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ზოგიერთი ნაწილი არ არის განახლებული და მათში მოცემული ფორმულირებები და განმარტებები ერთმანეთთან ჰარმონიზებული არ არის.</li> <li>• „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც ნებართვების გაცემის საკითხს აწესრიგებს, გაუგებარია ბიზნეს-ოპერატორებისთვის.</li> <li>• ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირებას არ გააჩნია გამჭვირვალობა და არ შეიცავს შესაბამისობის და სათანადოობის ტესტს.</li> <li>• ნებართვები უვადოა, რომელთაგან ყველაზე ძველი 1996 წლით თარიღდება.</li> <li>• ნებართვების გაცემა ხელით წარმოებს.</li> <li>• ნებართვის გამცემი ორგანოები იშვიათად მიმართავენ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს კონსულტაციისთვის გარემოსდაცვით ნებართვებთან დაკავშირებით.</li> <li>• გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ არსებობს საერთო მონაცემთა ბაზა ნებართვებთან დაკავშირებით, რაც ხელმისაწვდომი იქნებოდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის.</li> <li>• კერძო სექტორი ნაკლებად არის ინფორმირებული ახალი კანონების, მასთან დაკავშირებული ვადების და ხარჯების შესახებ.</li> <li>• ნებართვის საფასური დაბალია.</li> </ul>

	<p><b>რეკომენდაციები</b></p> <p><u><b>მოკლევადიანი:</b></u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გადასინჯვა; მომველებული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განახლება ან გაუქმება და მისი უფრო მეტად შესაბამისობაში მოყვანა.</li> <li>• გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებაში კერძო სექტორის მონაწილეობის გაზრდა.</li> <li>• ინტეგრირებული ნებართვების გაცემის პროცესზე გადასვლის და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გამოყენების პროცესის დაჩქარება.</li> <li>• „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესახებ მეტი ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება.</li> <li>• ნებართვების ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყველა შესაბამისი დეპარტამენტისთვის, მათ შორის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის.</li> <li>• ნებართვის ფიქსირებული ვადის დაწესება ნებართვის ხელახლა მოთხოვნამდე.</li> <li>• კონსულტაციების გაუმჯობესება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან მნიშვნელოვანი კანონების და სანებართვო განაცხადების შესახებ.</li> <li>• სანებართვო მოსაკრებლების განსაზღვრა უფრო პროპორციულად და ეტაპობრივად, აქტივობის ზომისა და სირთულის მიხედვით.</li> </ul> <p><u><b>საშუალოვადიანი:</b></u></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრესის გაგრძელება ნებართვების გაციფრულების მიმართულებით.</li> <li>• შესაფერისობის და სათანადოობის ტესტირების ვალდებულების დაწესება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ტენდერში მონაწილეებისთვის და ტენდერის პროცესის უფრო მეტად გამჭვირვალობა.</li> <li>• დაინტერესებული მხარეების ჩართულობით დამატებითი საკითხების მოგვარება, რაშიც შედის ინფორმაციის მიწოდების ხარისხი, ჩანაწერების წარმოება და შემდგომი რეაგირება, მისაწვდომობა, საზოგადოების ინფორმირებულობა და საჩივრების განხილვის მექანიზმების მართვა.</li> </ul>
<p><b>ინსტიტუციური სტრუქტურა</b></p>	<p><b>დადებითი მახასიათებლები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პოლიტიკის შემუშავებისა და კონტროლის საქმიანობები გამიჯნულია. არსებობს ცალკე უწყება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გზდ), ანუ გარემოს დაცვის ინსპექცია.</li> <li>• გზდ-ს აქვს რეგიონული ფილიალები.</li> <li>• გზდ აუმჯობესებს და აციფრულებს ინფორმაციის მართვის პროცესს, ასევე გეგმავს ელექტრონული სისტემის შემოღებას ინსპექტირების მართვისა და რისკის კლასიფიცირებისათვის.</li> <li>• გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დეპარტამენტი.</li> </ul>

- „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“ ხელს უწყობს გარემოსდაცვით საკითხებზე საგანმანათლებლო საქმიანობას და ინფორმირებულობის ამაღლებას, მხარს უჭერს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში და უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აღჭურვილობა ახლახან განახლდა.

### **ხარვეზები**

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ძალიან ბევრი ცალკე უწყებაა, რომლებიც გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების საკითხებზე თანამშრომლობენ.
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებს შორის ინსტიტუციური კოორდინირება არ არის საკმარისი.
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების საკითხებზე მომუშავე დაწესებულებები კვალიფიცირებული პერსონალის ნაკლებობას განიცდის.
- გზდ საჭიროებს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროცესის ავტომატიზაციას და მისი მონაცემთა ბაზა მოძველებულია დარღვევებზე თვალის მიდევნებისთვის.
- გზდ-ს საჭიროებს აპარატურას, განსაკუთრებით საველე და ლაბორატორიული სინჯების აღების აღჭურვილობას და ელექტრონულ ტექნოლოგიას.

### **რეკომენდაციები**

#### **მოკლევადიანი:**

- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების პროცესში მონაწილე სხვადასხვა ორგანოს სტრუქტურული მიმოხილვის ჩატარება და უფრო მოწესრიგებული სტრუქტურის შექმნის მიზნით რამდენიმე მათგანის გაერთიანება.
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებს შორის კოორდინირების გაუმჯობესება, განსაკუთრებით გზდ-სთვის შესაფერისი პროცესისა, რომ მოამზადოს შენიშვნები მნიშვნელოვან გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან და ნებართვებთან დაკავშირებით.
- კომპლექსური ტრენინგის პროგრამის განხორციელება, განსაკუთრებით, ტრენინგი ახალი ინსპექტორებისთვის, უნარების შენარჩუნებისა და ამაღლების ტრენინგები.

#### **საშუალოვადიანი:**

- გზდ-ში ძირითადი პროცესებისთვის ინფორმაციის მართვის გაუმჯობესება, მათ შორის, ინსპექტირების დაგეგმვა და შედეგები, საჩივრების განხილვა და დარღვევებზე საპასუხო ზომების მიდევნება.
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემის დაწესებულებებში კვალიფიციური პერსონალის დაბალი რიცხოვნობის და მაღალი გადინების პრობლემის მოგვარება ფინანსური წახალისების გაუმჯობესებით.



	<ul style="list-style-type: none"> <li>• გზდ-ში აღჭურვილობის, განსაკუთრებით სავლელ და ლაბორატორიული სინჯების აღების აღჭურვილობის და ელექტრონული ტექნოლოგიების გაუმჯობესება.</li> </ul>
<b>მონიტორინგი</b>	<p><b>დადებითი მახასიათებლები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მონიტორინგის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება.</li> <li>• გეგმური შემოწმებები რისკის შეფასების მეთოდის საფუძველზე ტარდება.</li> <li>• გზდ ინსპექტირების გეგმებს და შედეგებს ინტერნეტში აქვეყნებს.</li> <li>• გზდ-ს აქვს ინსპექტირების სახელმძღვანელო რეკომენდაციები, სადაც ჩამოყალიბებულია ინსპექტირების პროცედურები და მიმდინარეობს მუშაობა ინსპექტირებისთვის საჭირო საკითხების საკონტროლო ჩამონათვალების (ჩეკლისტის) შემუშავებაზე.</li> <li>• გზდ ატარებს გარემოსდაცვით აუდიტებს ბიზნეს-ოპერატორის მიერ კანონმდებლობის შესრულებისა და გარემოსდაცვითი მართვის სისტემის ეფექტურობის ანალიზის მიზნით.</li> <li>• გზდ-ს და გარემოს ეროვნული სააგენტოს (გეს) სისტემაში ლაბორატორიები არსებობს.</li> <li>• გარემოს ეროვნული სააგენტო ინტერნეტში აქვეყნებს მონიტორინგის ინფორმაციას, ასევე ყოველკვარტალურ და ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენებს.</li> <li>• გარემოს ეროვნული სააგენტო იღებს საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერას შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით.</li> <li>• მთავრობა ზრდის გარემოსდაცვითი მონიტორინგის სადგურების რაოდენობას.</li> <li>• მთავრობა აუმჯობესებს ონლაინ მონიტორინგის სისტემებს, მათ შორის, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს და ტყის რესურსების მონაცემთა ბაზას.</li> <li>• კომპანიებს მოეთხოვებათ თვითმონიტორინგის ყოველწლიური ანგარიშების წარდგენა, ხოლო ბევრ მსხვილ კომპანიას მოეთხოვება უწყვეტი თვითმონიტორინგის განხორციელება.</li> <li>• გზდ-ს აქვს ცხელი ხაზი, მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) და ელექტრონული ფოსტის სერვისები საზოგადოებისთვის შეტყობინების დასაგზავნად.</li> <li>• გზდ-ს ჰყავს 24/7 რეჟიმში მომუშავე რეაგირების ჯგუფი.</li> <li>• სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროცესში.</li> </ul>

### **ხარვეზები**

- წლიურად ჩატარებული გარემოსდაცვითი ინსპექტირების რიცხვი დაბალია.
- ინსპექტირება ობიექტზე შეიძლება ძალიან დიდხანს გაგრძელდეს, 120 დღემდეც კი.
- შემოწმების ანგარიშები ძალიან დიდი მოცულობისაა, 100 გვერდამდეც კი.
- გარემოს ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიებში დაბალია სამუშაო პოტენციალი და პერსონალის რიცხვი.
- ბევრი კომპანია არ წარადგენს ან დაგვიანებით წარადგენს უწყვეტი თვითმონიტორინგის ანგარიშს.
- არ არსებობს „დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრი“ (PRTR).
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის სადგურების რაოდენობა არ არის საკმარისი.
- მიწისქვეშა წყლების ხარისხის მონიტორინგი არ არის საკმარისი.

### **რეკომენდაციები**

#### **მოკლევადიანი:**

- ყოველწლიურად ჩატარებული ინსპექტირების მცირე რაოდენობის საკითხის შემოწმება და გადაჭრა, რათა მინიმუმ დაფაროს ნებართვის მქონე, მაღალი და საშუალო რისკის ობიექტები.
- ინსპექტირების დროის უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით, შემოწმების ადგილზე ინსპექტირების დროის შემცირება აუცილებელ მინიმუმამდე (2-5 დღემდე).
- ინსპექტირების ანგარიშების მოცულობის შემცირება აუცილებელ მინიმუმამდე (იდეალურ შემთხვევაში, ორიდან ათ გვერდამდე).
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირების მეთვალყურეობისთვის საჭირო პროცესის შექმნა
- ინსპექტირებისთვის რისკის შეფასების მეთოდის მოქნილობის უზრუნველყოფა.

#### **საშუალოვადიანი:**

- არსებული აპარატურის გაუმჯობესება და გარემოს ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიებში პერსონალის რიცხვის გაზრდა.
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის სადგურების საჭირო რაოდენობის დადგენა, განსაკუთრებით მიწისქვეშა წყლების მონიტორინგისთვის და ზომების მიღება მათი გაზრდის მიზნით, მათ შორის დაფინანსების მოზიდვის გზით.
- კომპანიების წახალისება სავალდებულო უწყვეტი თვითმონიტორინგის ანგარიშების დროზე წარსადგენად.
- 24/7 რეჟიმში რეაგირების ჯგუფის უფლებამოსილების სფეროს გაფართოება სერიოზული გარემოსდაცვითი ავარიების/ინციდენტების მოსაგვარებლად და სათანადო ტრენინგის უზრუნველყოფა.

	<p><b>გრძელვადიანი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• „დამაბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრის“ (PRTR) შექმნა, არსებული ელექტრონული სისტემების ბაზაზე.</li> </ul>
<p><b>აღსრულება</b></p>	<p><b>დადებითი მახასიათებლები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კანონმდებლობის აღსრულების პირამიდის მიხედვით, საქართველო იყენებს სხვადასხვა სახის სასჯელს.</li> <li>• ხორციელდება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის რეჟიმის დანერგვა 2021 წელს მიღებულ „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონთან ერთად.</li> <li>• ბოლო დროს მცირედით გაიზარდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმები.</li> <li>• კომპანიები გაფრთხილებულნი არიან გარემოსდაცვითი ჯარიმების შესახებ, რაც შეიძლება მათ დაეკისროს.</li> <li>• გარემოსდაცვითი დანაშაულის კანონმდებლობაში ცვლილებები შედის, უფრო მკაცრი სასჯელის დაწესების მიზნით.</li> </ul> <p><b>ხარვეზები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ და „სისხლის სამართლის კოდექსი“ მოძველებულია.</li> <li>• არ არსებობს კანონმდებლობის აღსრულების პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ყოვლისმომცველი ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც ზოგადად იქნებოდა ასახული არსებული სასჯელები.</li> <li>• ადმინისტრაციული ჯარიმების გარდა, საქართველოში საკმარისად არ ხდება სხვა სასჯელის გამოყენება.</li> <li>• არ არსებობს სერიოზული დანაშაულის ჩადენისთვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სურვილი.</li> <li>• ჯარიმები დაბალია და არ არის ინდექსირებული ინფლაციის გათვალისწინებით; ზოგ შემთხვევაში, ისინი სამართალდარღვევის სიმწვავეს არ ასახავს.</li> <li>• „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონი ევროკავშირის „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივისგან“ განსხვავებულ დებულებებს შეიცავს და მის შესახებ ინფორმირებულობა დაბალია.</li> <li>• ადმინისტრაციული ჯარიმების ამოღების მაჩვენებელი დაბალია.</li> </ul> <p><b>რეკომენდაციები</b></p> <p><b>მოკლევადიანი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კანონმდებლობის აღსრულების პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ყოვლისმომცველი დოკუმენტის მიღება, რომელშიც ზოგადად იქნება ასახული კანონმდებლობის დარღვევისთვის დაწესებული სასჯელები და მისი საჯაროდ გამოქვეყნება.</li> <li>• „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ და „სისხლის სამართლის კოდექსის“ განახლება.</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმების განახლება და მათი ინდექსირება ინფლაციის გათვალისწინებით; განსხვავებული ჯარიმების დაწესება სამართალდარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე და ჯარიმების ამოღების დაბალი მაჩვენებლის გამოსწორება.</li> <li>• „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონში ევროკავშირის „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დირექტივისგან“ განსხვავებული დებულებების განხილვა და ინფორმირებულობის გაზრდა ამასთან დაკავშირებით.</li> </ul> <p><b><u>საშუალოვადიანი:</u></b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასჯელების უფრო ფართო სპექტრის გამოყენება, მათ შორის, აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, დამრღვევების დასახელება და შერცხვენა და ორმხრივად შეთანხმებული გეგმები ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად.</li> <li>• იმ საკითხის შესწავლა, თუ რატომ არ გამოიყენება სისხლის სამართლის კანონმდებლობის აღსრულების საშუალებები და მიღებული შედეგების განხილვა.</li> <li>• პოლიციის თანამშრომლებისთვის, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის გარემოს დაცვის საკითხებზე ტრენინგის ჩატარება.</li> <li>• გარემოს დაცვის საკითხებზე სპეციალიზებული პროკურორების მომზადების შესაძლებლობის განხილვა.</li> </ul> <p><b><u>გრძელვადიანი:</u></b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბება, დაზღვევის ჩათვლით.</li> </ul>
<p><b>კანონმდებლობის შესრულების წახალისების საშუალებები</b></p>	<p><b>დადებითი მახასიათებლები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გზდ) სხვადასხვა სახის ინფორმაციას აქვეყნებენ თავიანთ ვებგვერდებზე, მათ შორისაა გარემოსდაცვითი რეგულაციები, ყოველწლიური ანგარიშები და სტატიები ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით.</li> <li>• გზდ ინფორმაციის მიწოდებას ასევე უზრუნველყოფს ცხელის ხაზის და „ფეისბუქის“ გვერდის მეშვეობით.</li> <li>• გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცალკე უწყება, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, ინფორმაციას ონლაინ აზიარებს, ინფორმირებულობას ამაღლებს და ტრენინგებს აორგანიზებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.</li> </ul> <p><b>ხარვეზები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციის გაზიარების პროცესი უფრო რეაგირებაზეა ფოკუსირებული, ვიდრე პროაქტიულ ქმედებაზე.</li> </ul>

- გზდ, ინტერნეტში ინფორმაციის მიწოდების გარდა, მცირე ძალისხმევას მიმართავს ინფორმირებულობის ასამაღლებლად გარემოსდაცვითი რეგულაციების და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემის შესახებ.
- გზდ, „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგში დახმარების გარდა, მცირე დოზით ეწევა სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობას გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების შესახებ.
- კერძო სექტორის ზოგიერთ წარმომადგენელს კარგად არ აქვს გაგებული მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი კანონები.

### **რეკომენდაციები**

#### **მოკლევადიანი:**

- გარემოსდაცვითი რეგულაციების და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების შესახებ გზდ-ს მიერ ჩატარებული ინფორმირებულობის ამაღლების ღონისძიებების რაოდენობების გაზრდა და მათი სახეების ცვლა.
- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დაფინანსების და პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა უფრო მეტად შეძლოს ინფორმირებულობის ამაღლების და სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.
- ახალი კანონების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების გაზრდა, განსაკუთრებით, კერძო სექტორში.

#### **საშუალოვადიანი:**

- ინფორმაციის გაზიარებისთვის უფრო აქტიური მიდგომის გამოყენება.

*წყარო:* მომზადებულია ავტორის მიერ.

## გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო. (2021). მისია და მიზნები. ვებ გვერდი წაკითხულია 2021 წლის 2 ივნისს, <http://apa.gov.ge/en/saagento/saagentos-misia>
- Angenda.ge. (2022). ქართველი მასწავლებლები იღებენ ჯილდოებს გარემოსდაცვითი და სასოფლო-სამეურნეო განათლების ხელშეწყობისთვის. 6 ივნისი, Agenda.GE. <https://agenda.ge/en/news/2022/2122>
- გზდ. (2016). 2016 წლის საქმიანობის ანგარიში. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.
- გზდ. (2018). 2018 წლის საქმიანობის ანგარიში. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.
- გზდ. (2019). 2019 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2 750 შემოწმება ჩაატარა. 30 დეკემბერი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. <https://des.gov.ge/Ge/News/Details/8057>
- გზდ. (2019). ჟურნალისტებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საქმიანობა გააცნეს. 8 ოქტომბერი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. <https://des.gov.ge/Ge/News/Details/8043>
- გზდ. (2019). გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს ახალი ტექნიკური აღჭურვილობა გადაეცა. 18 ოქტომბერი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/11698>
- გზდ. (2021). ქაქმიანობის. ვებ გვერდი. წაკითხვის თარიღი: 2021 წლის 11 ივნისი, <https://des.gov.ge/Ge/Page/activity/>
- გზდ. (2021). 2020 წელს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 6 405 შემთხვევა გამოვლინდა. 16 დეკემბერი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. <https://des.gov.ge/Ge/News/Details/8102>
- გზდ. (2021). გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტსა და ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. 9 ივნისი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. <https://des.gov.ge/Ge/News/Details/9237>
- გიგც. (2021). ცენტრის შესახებ. გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი. <https://www.eiec.gov.ge/Ge/Page/AboutEIEC>
- საქართველოს მთავრობა. (2015). საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ.
- საქართველოს მთავრობა. (2018). საქართველოს მესამე ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა 2017-2021 წწ. საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს მთავრობა. (2021). საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა.
- საქართველოს პარლამენტი. (1997). საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ.
- საქართველოს პარლამენტი. (1999). საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.
- საქართველოს პარლამენტი. (2015). ნარჩენების მართვის კოდექსი. საქართველოს პარლამენტი.



საქართველოს პარლამენტი. (2017). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.

საქართველოს პარლამენტი. (2021). კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ.

კორკოტაძე, ნ. (2022). სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი – გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი - შემოწმების შედეგები. 5 დეკემბერი, პრეზენტაცია EU4Environment-ის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების რეგიონულ სემინარზე თემაზე: "უკეთესი გარემოსდაცვითი ინსპექტირება უფრო ძლიერი გარემოსადმი მდგრადობისთვის".

კორკოტაძე, ნ. (2022). საქართველოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სახელმწიფო საქვეუწყებო დეპარტამენტი – გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულება და ხელშეწყობა. 5 დეკემბერი, პრეზენტაცია EU4Environment-ის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების რეგიონულ სემინარზე თემაზე: "უკეთესი გარემოსდაცვითი ინსპექტირება უფრო ძლიერი გარემოსადმი მდგრადობისთვის".

კორკოტაძე, ნ. (2022). სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი – საკანონმდებლო და ინსტიტუციური წყობა. 2022 წლის 5 დეკემბერი, პრეზენტაცია EU4Environment გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების რეგიონულ სემინარზე თემაზე: „უკეთესი გარემოსდაცვითი ინსპექტირება უფრო ძლიერი გარემოსადმი მდგრადობისთვის“.

გდსმს. (2019). საქართველოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება რეგულირების ობიექტების გეგმური შემოწმების პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

გდსმს (2019). 2019 წლის საქმიანობის ანგარიში. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. გდსმს. (2020). ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კონტროლის გამკაცრებასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა. 21 თებერვალი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.  
<https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/12846>

გდსმს. (2021). დაგეგმილია ბუნებრივი საფრთხეების მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება. 21 ივლისი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20434>

გდსმს. (2021). ECOserve-ის კონკურსი გარემოსდაცვითი კამპანიის განხორციელებისთვის. 20 ივლისი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20453>

გდსმს. (2021). 29 მარტი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20288>

გდსმს. (2021). კონკურსი „სუფთა რეგიონი 2021“ იწყება. 5 ივნისი. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/2037>

გდსმს. (2021). ლევან დავითაშვილი: „RMG-ის მიერ გარემოზე ზიანის შემცირების მიზნით გაწეული საქმიანობის მონიტორინგს სამინისტრო მუდმივად ახორციელებს" 17 ივნისი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20387>

გდსმს. (2021). ახალი ამბები. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 12 ივლისი, 2021, <https://mepa.gov.ge/En/NewsByDate>

გდსმს. (2021). დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია. 27 მაისი, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

<https://des.gov.ge/Ge/News/Details/9210>

გდსმს. (2021). გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონპროექტის მესამე მოსმენაზე განხილვას მხარი დაუჭირა. 2 მარტი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20241>

საქართველოს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო. ჩვენს შესახებ. წაკითხულია 2021 წლის 4 ივნისს, <https://www.anrs.gov.ge/>

Circabc. (2014). National Enforcement Strategy. Circabc. Retrieved from

<https://circabc.europa.eu/sd/a/e967ea37-e3f0-48dc-9963-a433f8206f6b/NL-2014-V-1.7-National-Enforcement-Strategy.pdf>

EEA. (2018). *Country Briefing on State of the Environment in Georgia*. European Environment Agency, Copenhagen.

EEA. (2020). *Sharing and Dissemination of Environmental Information, Country Maturity Report: Georgia*. European Environment Agency, Copenhagen.

Environment Agency. (2019). Environment Agency Enforcement and Sanctions Policy. In *Policy Paper*. Environment Agency of England, London. Retrieved from

<https://www.gov.uk/government/publications/environment-agency-enforcement-and-sanctions-policy/environment-agency-enforcement-and-sanctions-policy>

European Commission. (1993). Green Paper on Remedying Environmental Damage. In *Policy Paper*. European Commission, Brussels.

European Commission. (2021). European Commission publishes analytical reports on Ukraine, Moldova, and Georgia's alignment with the EU acquis. 2 February. Retrieved from [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/european-neighbourhood-policy/countries-region/georgia\\_en](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/european-neighbourhood-policy/countries-region/georgia_en)

European Commission. (2021). *Guidelines Providing a Common Understanding of the Term 'Environmental Damage' as Defined in Article 2 of Directive 2004/35/EC of the European Parliament and of the Council*. European Commission, Brussels. Retrieved October 25, 2022, from [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52021XC0407\(01\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52021XC0407(01))

European Commission. (2022). *Opinion on the EU Membership Application by Georgia*. 17 June, European Commission, Brussels. Retrieved from

[https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda\\_22\\_3800](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800)

European Union. (2014). *Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part*. European Union, Brussels.

Kramers, R. (2020). IMPEL 'Doing the Right Things' methodology. presentation to the EU4Environment Action regional environmental compliance assurance seminar on risk-based approaches to compliance assurance.

Mazur, E. (2022). Compendium of Good Practices in promoting, monitoring and enforcing environmental compliance. 18 November, presentation, OECD, Paris. Retrieved from

<https://www.eu4environment.org/app/uploads/2021/08/OECD-compendium-of-good-practices-in-compliance-assurance.pdf>

OECD. (2019). Mortality, Morbidity and Welfare Cost from Exposure to Environment-Related Risks. In *OECD.stat*. (database). Retrieved January 4, 2022, from

[https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=EXP\\_PM2\\_5](https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=EXP_PM2_5)

OECD. (2020). Exposure to PM2.5 in Countries and Regions. In *OECD.stat*. (database). Retrieved February 28, 2023, from [https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=EXP\\_PM2\\_5](https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=EXP_PM2_5)

OECD. (2021). *Developing a Water Policy Outlook for Georgia, the Republic of Moldova and Ukraine*. OECD

- Studies on Water, OECD Publishing, Paris. Retrieved from <https://doi.org/10.1787/512a52aa-en>
- UNECE. (2016). *Environmental Performance Review of Georgia*. United Nations Economic Commission for Europe, Geneva.
- WHO. (2021). *Ambient (Outdoor) Air Pollution*. World Health Organization, Geneva.
- World Bank. (2018). *Country Partnership Framework for Georgia for 2019-2022*. World Bank, Washington, DC.
- World Bank. (2020). *Analysis of Gaps between the National Legislation of Georgia and the World Bank Environmental and Social Framework*. World Bank, Washington, DC.
- World Bank. (2020). *Georgia: Towards Green and Resilient Growth*. World Bank, Washington, DC.

# დანართი A. გარემოსდაცვითი კანონალსრულების სფეროში საქართველოს ძირითადი კანონმდებლობა

დოკუმენტი	თარიღი	აღწერა
<b>ჩარჩო კანონები</b>		
საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	1997	<p>ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის გარემოს დაცვის და ბუნებათსარგებლობის სფეროში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი ტერიტორიული წლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შეღვის და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით.</p> <p>ის განსაზღვრავს ძირითად გარემოსდაცვით პრინციპებს; მოქალაქეების უფლებებს და მოვალეობებს გარემოს დაცვის სფეროში; გარემოსდაცვით სფეროში განათლების და სამეცნიერო კვლევების დებულებებს; სახელმწიფოს გარემოსდაცვითი მართვის დებულებებს, მათ შორის კომპეტენციებს (მაგ. სამინისტროს კომპეტენცია); გარემოსდაცვითი საკითხების ეკონომიკურ განზომილებას და მის საინფორმაციო მხარდაჭერას; განსაზღვრავს სავალდებულო გარემოსდაცვით სტანდარტებს, გარემოსდაცვით სტანდარტებს ნარჩენების მართვის საკითხებში, გარემოსდაცვითი ინტერესების გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღების დროს და საქმიანობის განხორციელებისას, გარემოსდაცვით საგანგებო სიტუაციებს, ბუნებრივი ეკოსისტემის და დაცული ტერიტორიების დაცვას. კანონი ასევე აყალიბებს დებულებებს, რაც ეხება გარემოს დაცვის გლობალური და რეგიონული მართვის საკითხებს, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს, ასევე პასუხისმგებლობას გარემოსთვის მიყენებული ზიანის მიმართ და კომპენსაციის გადახდის საკითხებს.</p>
საქართველოს კონსტიტუცია	1995	<p>მოცემულ საკანონმდებლო დოკუმენტში გარემოსდაცვითი უფლებები ასახულია მის 29-ე მუხლში. გარდა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებისა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების თაობაზე, მასში ასახულია სრული ინფორმაციის მიღების უფლება გარემოს მდგომარეობის შესახებ, გარემოს დაცვაზე ზრუნვა და მონაწილეობის მიღება გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.</p>
<b>გარემოზე ზეგავლენის შეფასება და ნებართვების გაცემა</b>		
კანონი სამრეწველო ემისიების შესახებ	2023	<p>აღნიშნული კანონის მიზანია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვების სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში.</p>

<p>გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება - მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედეგის და გადაწყვეტილებების მიღების წესების დამტკიცების შესახებ</p>	<p>2018</p>	<p>2017 წლის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისი დებულებების აღსრულების მიზნით, ეს რეგულაცია მიღებულ იქნა 2018 წელს. ის ითვალისწინებს გარემოსდაცვითი აუდიტის ანგარიშების მომზადებას, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მათ შესწავლას და შეფასებას, გადაწყვეტილების მიღებას 2015 წლის 1 ივნისამდე დაწყებული ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელების შესახებ იმ საწარმოებისათვის, რომლებზეც სამინისტროს არანაირი გარემოსდაცვითი ნებართვა არ გაუცია.</p>
<p>საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი</p>	<p>2017</p>	<p>ეს კოდექსი არეგულირებს საკითხებს, რომლებიც კავშირშია სტრატეგიულ დოკუმენტებთან და საჯარო ან კერძო საქმიანობასთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე. კოდექსის რეგულირების სფეროში შედის <b>გზმ, სგმ, სასაზღვრო გზმ</b> და საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.</p>
<p>საქართველოს მთავრობის განკარგულება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე</p>	<p>2014</p>	<p>დოკუმენტი ამტკიცებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საწარმოო და არასაწარმოო ობიექტების ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ტექნიკურ რეგლამენტს (დანართი 1);</li> <li>• ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკურ რეგლამენტს (დანართი 2);</li> <li>• ტექნიკური რეგლამენტი ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობისთვის (დანართი 3);</li> </ul> <p>ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტის ფორმა (დანართი 4).</p>
<p>საქართველოს კანონი ლიცენზიების და ნებართვების შესახებ</p>	<p>2005</p>	<p>ეს კანონი არეგულირებს ისეთ საქმიანობას ან ქმედებებს, რომელიც ხასიათდება ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს და დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. ის აწესრიგებს ლიცენზიით და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიის და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიის და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილების შეტანის და მათი გაუქმების წესებს.</p>
<p><b>ნორმების Compliance-ის უზრუნველყოფის ინსტიტუციური ჩარჩო</b></p>		
<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების შესახებ</p>	<p>2015</p>	<p>ეს დადგენილება განსაზღვრავს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისთვის საჭირო საბაზისო პრინციპებს, მოთხოვნებს და პროცედურებს, რაშიც შედის ინსპექტირება და მასთან დაკავშირებული საქმის მართვა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გზდ-ის მიერ.</p> <p>დადგენილების მიზანია უზრუნველყოს გზდ-ის თანმიმდევრული, პროპორციული, სამართლიანი, შედეგზე ორიენტირებული და ეფექტური საქმიანობა.</p> <p>ეს რეგულაცია არ ვრცელდება ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, მოპოვების, გადამამუშავების, ტრანსპორტირების და ა.შ. ჩათვლით, რომლებიც რეგულირდება „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით</p>

<p>საქართველოს გარემოს და ზუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება #26, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ</p>	<p>2013</p>	<p>ეს ბრძანება განსაზღვრავს გზდ-ს მუშაობის პრინციპებს, მისი აქტივობების სფეროს და ძირითად ამოცანებს, უფლებებს და მოვალეობებს, მის სისტემას, სტრუქტურას და ადმინისტრაციას, მისი სხვადასხვა განყოფილებების ამოცანებს, მართვას, სახელმწიფო კონტროლს, დაფინანსებას, რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას.</p>
<p><i>კანონები Compliance-ის უზრუნველყოფის მონიტორინგის შესახებ</i></p>		
<p>გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება, რეგულირების საწარმოების ინსპექტირების დაგეგმვის პრიორიტეტების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ</p>	<p>2019</p>	<p>ამ ბრძანების მიზანია ინსპექტირების დაგეგმვის სისტემური მიდგომის დამკვიდრება და გზდ-ის დახმარება რეგულირებას დაქვემდებარებული ერთეულების ინსპექტირების შესაბამისი პრიორიტეტების დასახვაში.</p> <p>ბრძანებით ასევე დადგენილია გეგმური ინსპექტირების სახეები და სიხშირე, რეგულირების ობიექტების ინსპექტირების დაგეგმვის ზოგადი სისტემა, წლიური ინსპექტირების გეგმების შინაარსი, ინსპექტირების დაგეგმვის ეტაპები, ინსპექტირების წლიური გეგმის გასაჯაროების მოთხოვნა, რისკის შეფასების სისტემა, ინსპექტირების პრიორიტეტების განსაზღვრის ეტაპები, ნებართვის მქონე და რეგულირების ობიექტი საწარმოებისთვის გარემოსდაცვითი და საოპერაციო რისკების კრიტერიუმები, გარემოსდაცვითი და ობიექტთან დაკავშირებული რისკების შეფასების კრიტერიუმები იმ ობიექტისთვის, რომელსაც აქვს ხე-ტყის წარმოების სპეციალური ლიცენზია, აგრეთვე, გარემოსდაცვითი და ობიექტის რისკების შეფასების კრიტერიუმები სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მქონე ობიექტისთვის; და გარემოსდაცვითი და ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის შეფასების კრიტერიუმები თევზჭერის ობიექტისთვის.</p>
<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე</p>	<p>2013</p>	<p>ტექნიკური რეგლამენტის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების წესის დადგენა.</p>



<i>კანონები, რომლებიც საჯარო სანქციებს ითვალისწინებს გარემოსდაცვითი ნორმების დარღვევისათვის</i>		
საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ	2021	ეს კანონი არეგულირებს იმ საკითხებს, რაც დაკავშირებულია გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების პრევენციასთან, და თუ ეს შეუძლებელია, გარემოსთვის მიყენებული ზიანის შერბილებასთან, ასევე, გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში განსახორციელებელ ღონისძიებებს. კანონში ჩამოთვლილია გამონაკლისები, როგორცაა დაბინძურება დიფუზიური ემისიით და დაბინძურება ბირთვული გამოსხივებით. კანონის მიზანია გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის ჩამოყალიბება „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად.
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი	1999	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს და განსაზღვრავს, რომელი ქმედებები წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ დანაშაულს, შესაბამისი სასჯელის მითითებით. XXXVI თავში მოცემულია „დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ“.
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი	1984	საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს ქმედებებსა თუ უმოქმედობას, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას შეადგენს, აგრეთვე ადმინისტრაციულ სახდელს, მათი დაკისრების წესს და ადმინისტრაციულ ორგანოებს (ოფიციალურ პირებს), რომლებსაც ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების უფლებამოსილება გააჩნიათ.
<i>სექტორისთვის შემუშავებული მთავარი კანონები</i>		
საქართველოს ტყის კოდექსი	2020	
წყლის რესურსების მართვის კანონპროექტი	პროექტი (2019)	
საქართველოს კანონპროექტი ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ	პროექტი (2019)	
საქართველოს კანონი სახიფათო ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ	2016	
საქართველოს კოდექსი ნარჩენები მართვის შესახებ	2015	
საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	1999	
საქართველოს კანონი ნავთობის და გაზის შესახებ	1998	
საქართველოს კანონი წყლის შესახებ	1997	
საქართველოს კანონი წიაღის შესახებ	1996	
საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ	1994	

წყარო: ავტორის ნაშრომი, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

## დანართი B. საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები, რომლის მონაწილე მხარეა საქართველო

ხელშეკრულებები	რატიფიკაციის/ მიერთების თარიღი
შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენცია	1993
ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია	1994
გაერო-ს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენცია	1994
კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნის და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES)	1996
კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადრო, ტერიტორიების შესახებ	1996
კონვენცია შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ	1999
კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ	1999
გაერო-ს კონვენცია გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ	1999
კონვენცია გარეული ფრინველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ	2000
კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის კონვენცია)	2000
კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (POPs) შესახებ	2006
კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ	2006
ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი საბინადრო გარემოს დაცვის კონვენცია	2008
ევროპის ლანდშაფტების კონვენცია	2010
საქართველოს და საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუფრცხვლებლობის შესახებ ხელშეკრულებით (INFIRC/617) გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ.	2003
კონვენცია ბირთვული მასალების ფიზიკური დაცვის შესახებ (INFIRC/274/Rev.1)	2006
გაერთიანებული კონვენცია გამოყენებულ საწვავთან მოპყრობის უსაფრთხოებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის უსაფრთხოების შესახებ (INFIRC/546)	2009
კონვენცია ბირთვული ავარიის შემთხვევაში ადრეული შეტყობინების შესახებ (INFIRC/335)	2010

წყარო: (Government of Georgia, 2017).

## დანართი C. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების გარემოს შესახებ მე-3 თავის დანართიდან ამონარიდები გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის (ELD) და სამრეწველო ემისიების შესახებ (IED) ევროკავშირის დირექტივებზე

ევროპის პარლამენტის და ევროსაბჭოს 2004 წლის 21 აპრილის დირექტივა 2004/35/EC გარემოსთვის მიყენებული ზარალისთვის პასუხისმგებლობის დაწესების, პრევენციის და ზარალის აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ

დირექტივის შემდეგი დებულებები მოქმედებს:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და შესაბამისი კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოს გამოვლენა (მუხლი 11);

გრაფიკი: ამ დირექტივით გათვალისწინებული დებულებები წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში უნდა შესრულდეს.

- გარემოსთვის (წყალი, ნიადაგი, დაცული სახეობები და ბუნებრივი ჰაბიტატები) მიყენებული ზიანის პრევენციასა და ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებებზე მიმართული წესების და პროცედურების ჩამოყალიბება, რომლებიც დაფუძნებული იქნება „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპზე (მუხლი 5, 6, 7, დანართი II).

დებულებები, რომლებიც გამოსასწორებელი ღონისძიებების ალტერნატიული ვარიანტების შეფასებას შეეხება „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის“ გამოყენებით, იმავე ვადაში უნდა შესრულდეს, როგორც ეს მითითებულია შესაბამის დირექტივებში;

- მკაცრი პასუხისმგებლობის ზომების დაწესება საშიში პროფესიული საქმიანობისთვის (მუხლი 3(1)(ა) და დანართი III). საჭიროა მათი წაკითხვა ამ თავში მითითებულ დირექტივებთან ერთად;
- ოპერატორებისთვის სავალდებულო უნდა გახდეს აუცილებელი პრევენციული და გამოსასწორებელი ღონისძიებების გატარება, მათ შორის, ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება (მუხლები 5, 6, 7, 8, 9 და 10);
- მექანიზმების ჩამოყალიბება, რომლებიც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ მოქმედება მოითხოვონ კომპეტენტური უწყებების მხრიდან, გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, რაშიც შედის მიმოხილვა დამოუკიდებელი მხარის მიერ (მუხლი 12 და 13).

გრაფიკი: აღნიშნული დირექტივის ზემოხსენებული მუხლები ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან

ოთხი წლის ვადაში უნდა შესრულდეს.

## **ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2010 წლის 24 ნოემბრის დირექტივა 2010/75/EU სამრეწველო ემისიების შესახებ.**

აღნიშნული დირექტივის შემდეგი დებულებები არის ძალაში:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და უფლებამოსილი ორგანოს/ორგანოების დანიშვნა;

გრაფიკი: დირექტივის ეს დებულებები ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში უნდა შესრულდეს.

- იმ მანქანა-დანადგარების იდენტიფიკაცია, რომელთა ექსპლუატაცია ნებართვას მოითხოვს;

გრაფიკი: დირექტივის ეს დებულებები ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის განმავლობაში უნდა შესრულდეს. დირექტივის 1-ლი დანართის 6(3), 6(4), და 6(6) პუნქტებით გათვალისწინებული დანადგარებისთვის ასოცირების საბჭო განსხვავებულ ზღვარს დაადგენს. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის ვადაში, ამგვარი გადაწყვეტილებისთვის შესაბამისი წინადადება წარედგინება ასოცირების საბჭოს.

- ინტეგრირებული ნებართვების სისტემის აღსრულება (მუხლები 4-დან 6-მდე, 12, 17(2), 21 და 24 და დანართი IV);

გრაფიკი: დირექტივის ეს დებულებები ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში უნდა შესრულდეს; ხოლო ამ დირექტივის I დანართის 6(3), 6(4), და 6(6) პუნქტებით გათვალისწინებული მანქანა-დანადგარებისთვის - ასოცირების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან მაქსიმუმ ექვსი წლის ვადაში.

- საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულების მონიტორინგის მექანიზმის ჩამოყალიბება (მუხლი 8, 14(1)(დ) და 23(1));

გრაფიკი: დირექტივის ეს დებულებები შეთანხმების ძალაში შესვლიდან 6 წლის ვადაში უნდა შესრულდეს.

- „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის“ (BAT) გამოყენება, ამგვარი ტექნოლოგიის მიმართ BREF-ის დასკვნების გათვალისწინებით (მუხლი 14(3) - (6) და მუხლი 15(2) - (4));

გრაფიკი: დირექტივის ეს დებულებები შეთანხმების ძალაში შესვლიდან 12 წლის ვადაში უნდა შესრულდეს.

- იმ საწარმოებისთვის, რომლებიც გამოიყენებენ შიგაწვის დანადგარებს, ემისიების ზღვრული მნიშვნელობები უნდა დადგინდეს (მუხლი 30 და დანართი V);

გრაფიკი: დირექტივის ეს დებულებები ახალი დანადგარების მიმართ უნდა შესრულდეს ოთხი წლის ვადაში წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან, ხოლო წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან 12 წლის შემდეგ - არსებული დანადგარებისთვის.

- არსებული საწარმოებიდან ყოველწლიური ჯამური ემისიების შემცირების მიზნით, გარდამავალი ეროვნული გეგმების მომზადება (ალტერნატიული ვარიანტია არსებული საწარმოებისთვის მაქსიმალურად დასაშვები ზღვრული ემისიების დადგენა) (მუხლი 32).

გრაფიკი: დირექტივის ეს დებულებები შეთანხმების ძალაში შესვლიდან 12 წლის ვადაში უნდა შესრულდეს.



## გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემა საქართველოში: არსებული მდგომარეობა და რეკომენდაციები

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა საკვანძოა ქვეყნებისთვის გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად და დაბინძურების შესამცირებლად.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების ეფექტური სისტემა მოიცავს: მაღალი ხარისხის გარემოსდაცვით რეგულაციებსა და ნებართვებს; ადეკვატურ ინსტიტუციურ მოწყობას, მათ შორის გარემოსდაცვით ზედამხედველობას; ნორმებთან შესაბამისობის მკაცრ მონიტორინგს; აღსრულების იძულების ღონისძიებებს და კანონის მოთხოვნების ნებაყოფლობითი შესრულების პროაქტიულ ხელშეწყობას.

დოკუმენტის მიზანია დაეხმაროს საქართველოს გარემოსდაცვით ორგანოებს მოახდინონ პრიორიტეტიზაცია და დაგეგმონ ღონისძიებები მიმართული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემის გაძლიერებისკენ. ის აღწერს საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი კანონაღსრულების სისტემის სხვადასხვა კომპონენტს, განსაზღვრავს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და იძლევა რეკომენდაციებს შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ეს ანგარიში წარმოადგენს ქვეყნების გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების სისტემების მიმოხილვების სერიის ნაწილს და ის მომზადდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული EU4Environment პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხელს უწყობს მწვანე ეკონომიკას და გარემოს გაუმჯობესებას ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში.

### დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით:

Ms Olga OLSON (OECD): [olga.olson@oecd.org](mailto:olga.olson@oecd.org)

Mr Krzysztof MICHALAK (OECD): [krzysztof.michalak@oecd.org](mailto:krzysztof.michalak@oecd.org)

### ფოტო:

©Shutterstock.com/yanatul

Action implemented by:

